N 1 2021

მასწავლებელი

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„სხვა გაკვეთილების ცხრილი“



მასწავლებელი

№1(68), 2021

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
ბერიკა შუკაკიძე,
მანანა რატიანი,
მარიკა სიხარულიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
მანანა ბოჭორიშვილი,
ლელა კოტორაშვილი,
ქეთევან ოსიაშვილი, ნინო ლომიძე,
თამთა დოლიძე, ნათია უჩავა,
თემურ სუყაშვილი, მაკა სახურია,
თეონა ბექიშვილი, მაია ჯალიაშვილი,
შორენა ტყეშელაშვილი,
ლელა მანგოშვილი, მაია ფირჩხაძე,
ნინო ჭიაბრიშვილი,
გიტა თვალაბეიშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, სანდრო ეულის ქ. 5,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.

ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 ∂-374

www.tpdc.ge

რედაქტორისგან

ნატო ინგოროყვა

განათლებაში არსებულ გამოწვევებზე საუბრისას ხშირად ვიყენებთ სიტყვას „თანამედროვე“. თან იმაზეც გვეფიქრება, როგორ გაუძლებს დროს ეს თანამედროვე განათლება და გამოსადეგი იქნება თუ არა დღეს შეძენილი ცოდნა და უნარები თუნდაც ხუთი წლის შემდეგ.

ამერიკელი განათლების ფილოსოფოსი ჯონ დიუი ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ამბობდა, რომ განათლება თავად ცხოვრებაა და არა მომავალი ცხოვრებისთვის მზადება. არადა, განათლებას მომავალი ცხოვრებისთვის ვიძენთ. სულ იმის მოლოდინში ვართ, როდის დავასრულებთ სწავლას და დავიწყებთ ცხოვრებას.

დიუის ეს მოსაზრება დღესაც აქტუალურია.

იუვალ ნოა ჰარარი, სამეცნიერო- პოპულარული ბესტსელერების ავტორი და განათლების ისტორიის მკვლევარი, მიიჩნევს, რომ გაურკვევლობაში გარკვევის უნარი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უნარია, რომელიც მოზარდებმა სკოლაში უნდა შეიძინონ. ჰარარის თქმით, ჩვენ გაურკვეველ სამყაროში ვცხოვრობთ. ის იმდენად ბუნდოვანია, რომ გაუგებარია, რისთვის უნდა ვიყოთ მზად და, რაც მთავარია, როგორ მოვამზადოთ ამისთვის ჩვენი შვილები, ბოლოს და ბოლოს, რა ვასწავლოთ მათ. „ჩვენ წარმოდგენა არ გვაქვს, რა უნდა ვისწავლოთ ოცი წლის შემდეგ. ერთადერთი, რაც დანამდვილებით ვიცით, ისაა, რომ რაღაც ახლის შესწავლა მოგვიწევს“, – ამბობს მეცნიერი, რომელსაც საუკეთესო გამოსავლად მიაჩნია ბავშვების მომზადება ცოდნისა და უნარების მუდმივი განახლებისთვის.

მეორე აუცილებელი უნარი, მისი აზრით, მარცხის აღიარება და მასთან გამკლავებაა: „თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა უდიდეს ყურადღებას უთმობს წარმატებას, მაგრამ საერთოდ არ ასწავლის დარტყმის ატანას, ეს კი მნიშვნელოვანია, რადგან, როგორც ვთქვი, მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით, ბევრს ხელახლა სწავლა მოუწევს“.

ჰარარი წერს იმაზეც, რომ ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის განვითარება კაცობრიობას მეთვალყურეობის საფრთხის ქვეშ აყენებს. მისი თქმით, ჩვენმა შვილებმა უნდა იცოდნენ, რომ მრავალი სირთულე შეხვდებათ წინ. „როგორ მოვიქცეთ, როცა უჩვეულო სიტუაციაში აღმოვჩნდებით? როგორ მოვიქცეთ, თუ უზარმაზარმა ინფორმაციამ დაგვტბორა და მისი გააზრებისა და ანალიზის საშუალება არ გაგვაჩნია? როგორ ვიცხოვროთ სამყაროში, სადაც გაურკვევლობა შეცდომა კი არა, არამედ მახასიათებელია?“ – კითხულობს ის.

ჰარარის აზრით, ასეთ პირობებში კიდევ ორი რამ დაგვჭირდება: მოქნილი გონება და განვითარებული ემოციური ინტელექტი. „თქვენ გამუდმებით მოგიწევთ საკუთარი თავის აღმოჩენა, მორგება შრომის ბაზრის საჭიროებებზე, რომლებიც სულ უფრო და უფრო ცვალებადი გახდება. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია გონების მოქნილობისა და ემოციური ინტელექტის განვითარება“, – ამბობს მეცნიერი.

მაშ, რა ვასწავლოთ და როგორ ვასწავლოთ, თანაც – იმ რთულ გარემოში, რომელშიც აღმოვჩნდით? – ეს ჩვენი განათლების მკვლევრებისა და მასწავლებლების მთავარი საფიქრალია. კარგი იქნება, თუ ამაზე ხშირად ვისაუბრებთ, ვიკამათებთ და ვაღიარებთ, რომ ბევრი რამ ჩვენც ხელახლა გვაქვს სასწავლი, ცნება „თანამედროვეს“ შინაარსს რომ არ ჩამოვრჩეთ.



გამოცდილება

ლელა კოტორაშვილი

8 ინსტრუქციის როლი საშინაო დავალების შესრულებისას

ინსტრუქცია ბავშვებს ეხმარება კონსტრუქტორის აწყობაში, თამაშის წესების გარკვევაში, სასწავლო პროცესში კი ყველა საგნის დავალება სწორედ რომ ინსტრუქციას მოიცავს.

თამთა დოლიძე

15 ინფორმაციის უსიერ ტყეში

თანამედროვე ტექნოლოგიების საუკუნეში მედიაწიგნიერების უნარ-ჩვევების ფლობა პროფესიული განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ინფორმაციის მოძიება, შემოწმება-დამუშავება და სანდო წყაროს არასანდოსგან გარჩევა საკმაოდ შრომატევადი პროცესია.

ნათია უჩავა

18 ჯადოსნური ამბები – კომპლექსური დავალება

მასწავლებლები ვცდილობთ, მოსწავლეებს ცოდნა ისე მივაწოდოთ, რომ რაც შეიძლება მეტხანს დაამახსოვრდეთ და პრაქტიკაშიც შეძლონ მისი გამოყენება.

თემურ სუყაშვილი

21 ენერჯაიზერები ონლაინგაკვეთილებისთვის

ენერჯაიზერების გამოყენების მიზანი შეიძლება იყოს ტრენინგის მონაწილეების/მოსწავლეების ერთმანეთთან მეტად დაახლოება, გაცნობა, დაძაბულობის მოხსნა, შეხვედრისათვის/გაკვეთილისთვის განწყობისა და მზაობის ამაღლება, გუნდის შეკვრა/შეკავშირება, კრეატიულობის წახალისება და სხვა.

შორენა ტყეშელაშვილი

37 რატომ უნდა მოვუსმინოთ ბავშვებს

ბავშვებსაც უწევთ სირთულეების გადალახვა. ისინიც, ჩვენსავით, ბევრ უჩვეულო ამბავს უმკლავდებიან – პანდემიის მიერ ნაკარნახევ დღის რეჟიმს, დისტანციურ სწავლებას, იზოლაციას, ერთფეროვნებას, ცუდ ამბებს და ყველაზე დიდ განსაცდელს – მეგობრების მონატრებას.

ლელა მანგოშვილი

39 როგორ? რატომ? საიდან? ანუ როგორ ვასწავლოთ ფიქრი

კრიტიკული აზროვნება მოითხოვს დამაჯერებელ არგუმენტაციას. ყველა არგუმენტს აქვს თავისი კონტრარგუმენტი, ამიტომ არგუმენტაციის ჩამოყალიბებას სერიოზული მოფიქრება და წესების დაცვა სჭირდება. მასწავლებელმა მოსწავლეებს დამაჯერებელი არგუმენტირება უნდა ასწავლოს.

განათლების ფსიქოლოგია

ქეთევან ოსიაშვილი

11 რა არის საჭირო გაკვეთილის ეფექტიანად ჩასატარებლად

კარგი იქნება, თუ გაკვეთილზე გამოვიყენებთ სწავლების მრავალფეროვან მეთოდებსა და აქტივობებს. ერთი და იმავე მეთოდისა თუ აქტივობის ყოველდღიური გამოყენება, რა საინტერესოც უნდა იყოს ის, მოსაწყენია.

საგანმანათლებლო რესურსი

გიტა თვალაბეიშვილი

53 „ზარმაცი“ თუ უხილავი პრობლემების მქონე ბავშვები

დისლექსია დაწყებით კლასებში სიტყვების დონეზე კითხვის ჩამოყალიბების დეფიციტია, რაც ვიზუალური სიმბოლოების ბგერებთან დაკავშირების დაქვეითებული უნარის გამო იქმნება. ვარაუდობენ, რომ დისლექსია ბავშვის განვითარების პროცესში ყალიბდება. მისი ხარისხი შესაბამისი მკურნალობითა და დამხმარე, სწორად შერჩეული მეთოდების გამოყენებით შეიძლება შემცირდეს.

სასწავლო რესურსი

თეონა ბექიშვილი

31 ინტეგრირებული ონლაინგაკვეთილი – „ჰარი-ჰარალე, დედაო!“

მასწავლებელმა ხანდახან უნდა გადაუხვიოს ე. წ. პროგრამას, ჩვეულ, მოსალოდნელ მასალას, მოსწავლესთან ერთად გახდეს „კანონდამრღვევი“ და ალტერნატიული გზებით შეეცადოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას.

27 გურამ მეგრელიშვილი
„არავინ ურტყამს მკვდარ ძაღლს“

28 ნასტასია არაბული
მომავლის უნარები

29 რუსუდან რუხაძე
Tango Echo Alpha

30 ირმა კახურაშვილი
ის, რაც შვილებს აუცილებლად უნდა ვასწავლოთ

რესურსი

ნინო ლომიძე

13 წერითი მეტყველების გაუმჯობესება დისტანციური სწავლების პირობებში

ზოგიერთ მოსწავლეს ჰყოფნის ის საშინაო თუ საკლასო წერითი სავარჯიშოები, რომლებსაც ჩვეულებრივ ვაწვდით. ასრულებენ, კითხულობენ ჩვენს მითითებებს, არედაქტირებენ საკუთარ ნაწერებს ამ მითითებების მიხედვით და ნელ-ნელა ხვეწენ წერით უნარებს.

მოსაზრება

მანანა ბოჭორიშვილი

4 განმავითარებელი შეფასება და მასალის უჩვეულო გამეორება

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების დაბალანსებული გამოყენება მოსწავლეებს აძლევს რწმენას, რომ მასწავლებლები საკმარის ძალისხმევას იჩენენ მათი ცოდნის გასაუმჯობესებლად.

მაკა სახურია

24 როგორი არ უნდა იყოს ლიტერატურის მასწავლებელი

აბსურდულია მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება საზეპიროების მოთხოვნით, ანალიტიკური უნარების ფაქტობრივი ცოდნით ჩანაცვლება, რაც არაფრის მომცემია მათი განვითარებისთვის და, ამასთანავე, უინტერესო მოსასმენია, განსაკუთრებით - მხატვრული ლიტერატურის სწავლებისას.

მაია ჯალიაშვილი

34 ავტორიტეტული აზრი და მასწავლებელი

მთავარია ყველა ხელმისაწვდომი გზისა თუ ფორმის მოსინჯვა, გაბედულება და კრიტიკული აზროვნება, რათა არცერთი ავტორიტეტული აზრი არ იქცეს დამოუკიდებელი და თავისუფალი შემოქმედებითი თვალთახედვის დამაბრკოლებლად.

მაია ფირჩხაძე

42 ევრისტიკული სწავლების მოდელირება დიალოგური ფორმით – გზა შემოქმედებითი კომპლექსური დავალებისკენ

ევრისტიკული სწავლების სისტემაში დიალოგის კომპონენტების ჩართვით (მიზანი, შინაარსი, ფორმა, მეთოდები, კრიტერიუმები, შეფასება) საშუალებას ვაძლევთ მოსწავლეს, მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება და უფრო შემოქმედებითი გახდეს.

ნინო ჭიაბრიშვილი

48 საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება გულისხმობს მეთოდს, რომლის დროსაც მოსწავლეები სწავლობენ გაჯერებულად, ორგანიზებულ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობით.

მანანა ბოქორიშვილი

განმავითარებელი შეფასება და მასალის უჩვეულო გამეორება

ყველა მასწავლებელმა კარგად იცის, რომ ნასწავლ მასალას გარკვეული პერიოდის შემდეგ დავიწყება ემუქრება. გერმანელმა მეცნიერმა ჰერმან ებინგჰაუსმა შექმნა დავიწყების მრუდი. ამ მრუდზე კარგად ჩანს არა მარტო ის, რამდენი დრო სჭირდება ადამიანს შესასწავლი საკითხის დასამახსოვრებლად, არამედ ისიც, ინფორმაციის რამდენი პროცენტი რჩება მას მეხსიერებაში. მრუდიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვიმსჯელოთ ნასწავლი მასალის გამეორების პერიოდულობის მნიშვნელობაზეც.



ჰერმან ებინგჰაუსის კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ინფორმაციის დამახსოვრებიდან 20 წუთის შემდეგ შესაძლებელია მისი მხოლოდ 60%-ის გამოხმობა მეხსიერებიდან, ერთი საათის შემდეგ 45%-ია დამახსოვრებული, ერთი დღის შემდეგ კი მეხსიერებაში ინფორმაციის 34% რჩება. ექვსი დღის შემდეგ გახსენების ხარისხი 23%-მდე დადის. დიდი ხნის შემდეგ კი ნასწავლი ინფორმაციის მხოლოდ 15% რჩება გონებაში.

ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ დავიწყებადობის ხარისხი ყოველთვის პირდაპირ კავშირშია:

1. შესასწავლი მასალის ტიპთან;
2. სწავლების მეთოდთან;
3. მასალის გამეორების დროსა და სიხშირესთან.

ჰერმან ებინგჰაუსის კვლევის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ დაიწყო აქტიური სამეცნიერო დისკურსი ამ მიმართულებით და მეცნიერთა გარკვეული ნაწილი დღესაც აგრძელებს მუშაობას აღნიშნულ საკითხებზე.

ფაქტია: როდესაც გვსურს, მოკლე დროში რაღაც მასალა გააზრებულად დავიმახსოვროთ, მნიშვნელოვანია მისი პერიოდული გამეორება. კვლევები აჩვენებს, რომ მასალის სწრაფად დამახსოვრებისთვის აუცილებელია:

1. **პირველი გამეორება** მოხდეს წაკითხვისთანავე/მასალის მიწოდებისთანავე;
2. **მეორე გამეორება** მოხდეს პირველი გამეორებიდან 20 წუთის შემდეგ;
3. **მესამე გამეორება** მოხდეს მეორე გამეორებიდან 8 საათის შემდეგ;
4. **მეოთხე გამეორება** მოხდეს მესამე გამეორებიდან 24 საათის შემდეგ.

თუ დიდი ხნით გვსურს მასალის დამახსოვრება, სასურველია:

1. **პირველი გამეორება** მოხდეს წაკითხვისთანავე;
2. **მეორე გამეორება** მოხდეს პირველი გამეორებიდან 20-30 წუთის შემდეგ;
3. **მესამე გამეორება** მოხდეს მეორე გამეორებიდან ერთი დღის შემდეგ;
4. **მეოთხე გამეორება** მოხდეს მესამე გამეორებიდან 2-3 კვირის შემდეგ;
5. **მეხუთე გამეორება** მოხდეს მეოთხე გამეორებიდან 2-3 თვის შემდეგ.

შესასწავლი მასალის სიღრმისეულად გააზრების, მეხსიერებაში ხანგრძლივად შენახვისა და ტრანსფერულ ცოდნად ქცევისთვის უმნიშვნელოვანე-

სია, სასწავლო პროცესში ინტენსიურად დაინერგოს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები.

კვლევები მოწმობს, რომ განმავითარებელი შეფასების სტრატეგიების დანერგვა სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სწავლის შედეგებს (Black and Wiliam, 1998).

არსებულ დისკურსში ბოლო ხანს ხშირად ისმის კითხვები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების გამოყენების ინტენსივობის თაობაზე. დარგის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა დაიცვას ბალანსი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების გამოყენების დროს. შეფასებათა ასეთი დაბალანსებული გამოყენება მოსწავლეებს აძლევს რწმენას, რომ მასწავლებლები საკმარის ძალისხმევას იჩენენ მათი ცოდნის გასაუმჯობესებლად.

შესასწავლი მასალის სიღრმისეულად გააზრების, მეხსიერებაში ხანგრძლივად შენახვისა და ტრანსფერულ ცოდნად ქცევისთვის უმნიშვნელოვანესია, სასწავლო პროცესში ინტენსიურად დაინერგოს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები.

მიუხედავად იმისა, რომ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები საკმაოდ მრავალფეროვანია, მათი გამოყენების არეალიდან აქცენტი შეიძლება დაისვას შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

1. გაგება-გააზრების შემოწმება მოკლე წერილობითი პასუხების საშუალებით;
2. გაგება-გააზრების შემოწმება კითხვა-პასუხის გზით;
3. გაგება-გააზრების შემოწმება ტექნოლოგიების გამოყენებით.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ განმავითარებელი შეფასების სტრატეგიების ნაწილი სწავლა-სწავლების მოკლევადიან ან გრძელვადიან გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული.

გთავაზობთ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების იმ ათეულს, რომელთა დანერგვა სწავლების გრძელვადიან გაუმჯობესებაზეა გათვლილი:

1. ერთწუთიანი პასუხები;
2. რეაქციის ბარათები;
3. საკვანძო იდეების ბარათები;
4. ახალი ცნებების განსაზღვრება ან გამოყენება;
5. შეჯამების ბარათები;
6. დინამიკური კითხვების ჩამონათვალი;
7. ათწუთიანი მოხსენება (დებრიფინგი);
8. გენერირებული დავალება;
9. ინტერაქცია დისკუსიის ფორმატში;
10. ხმის მიცემა ონლაინ.

1. ერთწუთიანი პასუხები

გაკვეთილის დასრულებამდე 5 წუთით ადრე მოსწავლეები ბარათებზე ანონიმურად პასუხობენ ორ კითხვას:

1. რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი იქიდან, რაც დღეს ვისწავლე?
2. რა კითხვა მიმაჩნია ყველაზე აქტუალურად დღევანდელი გაკვეთილის დასრულების შემდეგ?

კითხვა: რითია სასარგებლო ასეთი დავალება მოსწავლისა და მასწავლებლისთვის?

არასრული პასუხი: მასწავლებელი მიუბრუნდება საკითხებს, რომლებიც პრობლემური, არასწორად ან არასრულად გააზრებული დარჩა, მოსწავლე კი... (სცადეთ თქვენს პრაქტიკაში ამ ინსტრუმენტის გამოყენება და დაასრულეთ წინადადება მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით)

2. რეაქციის ბარათები

მათი გამოყენება რამდენიმე ეტაპად ხდება:

პირველი ეტაპი – გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს ურიგდებათ ბარათები, რომლებზეც აწერენ თავიანთ სახელებს.

მეორე ეტაპი – გაკვეთილის მსვლელობისას, ნებისმიერ დროს, აკეთებენ კომენტარს, მაგ., მასწავლებლის დასმულ კითხვაზე, მოსწავლეთა კითხვებზე ან კლასში მიმდინარე სასწავლო პროცესზე.

მესამე ეტაპი – გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი ბარათებს აგროვებს და მომდევნო გაკვეთილისთვის მოკლე უკუკავშირით უბრუნებს მოსწავლეებს.

შეგვიძლია, დავნერგოთ სასწავლო პროცესში ეს ინსტრუმენტი და ვიმსჯელოთ, რამდენად სასარგებლოა ასეთი დავალება მოსწავლისა და მასწავლებლისთვის.

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების დაბალანსებული გამოყენება მოსწავლეებს აძლევს რწმენას, რომ მასწავლებლები საკმარის ძალისხმევას იჩენენ მათი ცოდნის გასაუმჯობესებლად.

3. საკვანძო იდეების ბარათი

თემის, თავისა თუ საკითხის ირგვლივ მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები, მასწავლებლის თხოვნით, ავსებენ საკვანძო იდეების ბარათს. სანამ **შემაჯამებელი დავალება** მიეცემათ, ამ ბარათებზე აყალიბებენ წერილობით იმ საკითხებს, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნიეს.

კითხვა: რითია სასარგებლო ასეთი დავალება მოსწავლისა და მასწავლებლისთვის?

პასუხი: მასწავლებელი არკვევს, რამდენად სიღრმისეულად გაიგეს საკითხი მოსწავლეებმა და რომელიმე მნიშვნელოვანი ასპექტი ხომ არ დარჩა მათი ყურადღების მიღმა. მოსწავლე კიდევ ერთხელ გაიაზრებს განვლილ მასალას და დაფიქრდება – ხომ არაფერი გამორჩა?

4. ახალი ცნებების გამოყენება

გაკვეთილის დასრულებამდე 10 წუთით ადრე მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოაყალიბონ დებულებები, რომლებიც გაკვეთილის თემასთან არის დაკავშირებული:

1. **როგორც გავიგე, დღევანდელი გაკვეთილის მთავარი საკითხი (ცნება ან იდეა) იყო...**
2. **ამ საკითხის / იდეის კარგი მაგალითი შეიძლება იყოს...**
3. **დღევანდელი გაკვეთილის მთავარი საკითხი ყველაზე მეტად დაკავშირებული იყო შემდეგ ცნებებთან/ პროცესთან/ მოვლენასთან/ საგნებთან...**

კითხვა: რამდენად სასარგებლოა ასეთი დავალება მოსწავლისა და მასწავლებლისთვის?

არასრული პასუხი: მასწავლებელი მისი საშუალებით მიუბრუნდება საკითხებს, რომლებიც პრობლემური, არასწორად ან არასრულად გააზრებული დარჩა, მოსწავლე კი... (სცადეთ თქვენს პრაქტიკაში ამ ინსტრუმენტის გამოყენება და დაასრულეთ წინადადება მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით)

5. შეჯამების ბარათი

ინდივიდუალურად, წყვილში ან მცირე ჯგუფში მოსწავლეები გაკვეთილის დასასრულს მოკლედ აყალიბებენ:

1. გაკვეთილის მთავარ საკითხებს;

2. წერენ ერთ კითხვას, რომელზე პასუხის მიღების იმედიც აქვთ შემდეგი შეხვედრისთვის.

კითხვა: რითია სასარგებლო ასეთი დავალება მოსწავლისა და მასწავლებლისთვის?

არასრული პასუხი: მასწავლებელი მიუბრუნდება საკითხებს, რომლებიც პრობლემური, არასწორად ან არასრულად გააზრებული დარჩა, მოსწავლე კი... (სცადეთ თქვენს პრაქტიკაში ამ ინსტრუმენტის გამოყენება და დაასრულეთ წინადადება მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით)

6. დინამიკური კითხვების ჩამონათვალი

საშინაო დავალების ფარგლებში მოსწავლეები საკითხის ირგვლივ აყალიბებენ კითხვების ნუსხას, რომლებზეც სურთ მიიღონ პასუხი მომდევნო გაკვეთილზე.

გაკვეთილის მსვლელობისას: მოსწავლეები ხაზს უსვამენ პასუხგაცემულ კითხვებს, წერენ ახლად გაჩენილ კითხვებს.

გაკვეთილის ბოლოს: ჩაბარებული კითხვების ნუსხით მასწავლებელი ადგენს მოსწავლეთა მომზადების, გაკვეთილის პროცესში ჩართულობისა და სწავლის ხარისხს, ასევე ავლენს იმ საკითხებს, რომლებიც გაკვეთილის ფარგლებში უპასუხოდ დარჩა.

7. ინტერაქცია დისკუსიის ფორმატში

პირველი ეტაპი – მოსწავლეებს მოეთხოვებათ მცირე ჯგუფებში კონკრეტულ საკითხზე შეჯერება და აზრთა გაზიარება.

მეორე ეტაპი – პანელის ფორმატში იმართება ჯგუფთაშორისი დისკუსია, რომელიც მეტწილად მიმდინარეობს მასწავლებლის ფასილიტაციით, საგანგებოდ მომზადებული კითხვების საშუალებით.

შენიშვნა: შესაძლოა, მოსწავლეები იცავდნენ ურთიერთსაპირისპირო ხედვებს, მოსაზრებებს ან პოზიციებს საკუთარ ჯგუფში მოგროვილი არგუმენტების საშუალებით.

8. ხმის მიცემა ონლაინ

პირველი ეტაპი – ახალი მასალის ახსნის შემდეგ, თუ საკლასო ოთახში არის ინტერნეტკავშირი (მეტწილად – უკაბელო სისტემა), მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, მასწავლებლის კითხვაზე/ კითხვებზე რამდენიმე სავარაუდო პასუხიდან აირჩიონ ერთი, რომელსაც ხმას აძლევენ.

მეორე ეტაპი – ხმის მიცემის შედეგები აჩვენებს, რამდენმა მოსწავლემ უპასუხა სწორად კითხვებს ანუ გაიგო ახალი მასალის ძირითადი თეზისები.

მესამე ეტაპი – მასწავლებელი კითხულობს, ვინ აირჩია კითხვაზე ის პასუხი, რომელიც სწორია, მერე კი ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს აძლევს საკუთარი აზრის / არჩევანის დაცვის საშუალებას - არგუმენტებით, ისე, რომ ყველასთვის გასაგები გახდეს, რატომ არის კონკრეტული პასუხი სწორი.

ასეთი დავალებები სასარგებლოა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის.

9. მოსწავლეების გენერირებული დავალება

მოსწავლეები თავად ირჩევენ საკითხს / სათაურს. ამას შეიძლება ჰქონდეს მათეული შეფასების ან ესეს ფორმა.

ასეთი დავალებები სასარგებლოა იმისთვის, რომ მასწავლებელი მიუბრუნდეს მნიშვნელოვან საკითხებს და მოსწავლეს მისცეს შესაძლებლობა, თავად აირჩიოს და შეასრულოს დავალება.

10. ათწუთიანი მოხსენება (დებრიფინგი)

გაკვეთილის ბოლო ათი წუთის განმავლობაში მოსწავლეები გაკვეთილის დროს გამართული დისკუსიების ეფექტიანობას აანალიზებენ.

ასეთი დავალებები სასარგებლოა იმისთვის, რომ მასწავლებელი მიუბრუნდეს საკითხებს, რომლებიც გაკვეთილზე განიხილა და მისცეს მოსწავლეებს შესწავლილი საკითხების გახსენებისა და მასალის შეჯამების საშუალება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ესგ 2018-2024
2. Trumbull, E., & Lash, A. (2013). Understanding formative assessment: Insights from learning theory and measurement theory. San Francisco: WestEd.
3. Green, S., K., Johnson, R., L. Kim, D-H., Pope, N., S., (2007) Ethnics in Classroom assessmentpractices: Issues and Attitudes, Teaching and Teacher Education 23 (2007) 999-1011
4. HEPPLESTONE, S., and CHIKWA, G., (2014). Understanding how students process and use feedbackto support their learning. Practitioner Research in Higher Education, 8 (1), 41-53

ლელა კოტორაშვილი

ინსტრუქციის როლი საშინაო დავალების შესრულებისას

შესასწავლი მასალის სიღრმისეულად გააზრების, მეხსიერებაში ხანგრძლივად შენახვისა და ტრანსფერულ ცოდნად ქცევისთვის უმნიშვნელოვანესია, სასწავლო პროცესში ინტენსიურად დაინერგოს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები.

მგონია, რომ საშინაო დავალების არსი გასაგებად ავხსენი, მაგრამ მაინც მეკითხებიან: „მასწავლებელო, რა გვაქვს საშინაო დავალებად?“ როცა ეს კითხვა გაისმის, ფიქრს ვიწყებ: რას ვერ ვამბობ კარგად? ამ პატარ-პატარა ამბებმა, კითხვებმა, თვითჩაღრმავებამ შემდეგ დასკვნამდე მიმიყვანა: დაწყებით საფეხურზე ძალიან დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ **ინსტრუქციის** სწავლებას. ამგვარად თავიდან ავიცილებთ გაურკვევლობას საშინაო დავალების ირგვლივ და სწავლა-სწავლების პროცესიც გახალისდება. საშინაო დავალების წარმატება კი სწორედ მკაფიო ინსტრუქციაზეა დამოკიდებული.

რა არის ინსტრუქცია?

უცხო სიტყვათა ლექსიკონში „ინსტრუქცია“ ამგვარადაა განმარტებული: instructio ლათინური სიტყვაა და ნიშნავს სახელმძღვანელო მითითებებს. საბაზო საფეხურის ცნებათა მატრიცაში ერთ-ერთ სამიზნე ცნებად გვხვდება ჟანრები, რომელთა ჩამონათვალში ინსტრუქციაც არის გატანილი და მკაფიოდ არის განმარტებული მისი მიზანი, აგებულება და მისთვის შესაფერისი ენა. ინსტრუქცია ბავშვებს ეხმარება კონსტრუქტორის აწყობაში, თამაშის წესების გარკვევაში, სასწავლო პროცესში კი ყველა საგნის დავალება სწორედ რომ ინსტრუქციას მოიცავს.

ცნებათა მატრიციდან დავიმოწმებ ინსტრუქციის შესახებ დატანილ ინფორმაციას:

მიზანი:

- იმის სწავლება/ჩვენება, როგორ უნდა გავაკეთოთ რაღაც, რა კონკრეტული ქმედებებია საჭირო მიზნის მისაღწევად.

აგებულება, სტრუქტურა

- აქვს სათაური;
- დაწერილია მოქმედებათა თანამიმდევრობის დაცვით;
- ზოგჯერ ტექსტი დაყოფილია ნაწილებად (მოქმედებათა თანამიმდევრობის მიხედვით).

ენა

- გამოყენებულია მოკლე წინადადებები;
- გამოყენებულია ბრძანებითის ფორმები (აუცილებლად შესასრულებელი);
- ზოგჯერ გამოყენებულია სიტყვები: თავიდან..., ჯერ..., მერე..., ბოლოს...

ინსტრუქცია სასწავლო პროცესში

საკუთარ გამოცდილებაზე დაკვირვებით გაგიზიარებთ, როგორ დავუკავშიროთ სასწავლო პროცესს ინსტრუქციის სწავლება.

დისტანციური გაკვეთილების დროს თუ საკლასო ოთახში საშინაო დავალების ინსტრუქციას ბავშვებთან ერთად ვადგენ ხოლმე. ვიწყებ ხმამაღლა ფიქრს და წერილობით ვაფიქსირებ.

პირველი ნაბიჯი საშინაო დავალების ინსტრუქციისთვის **სათაურის** მოფიქრებაა. ის უნდა იყოს ადვილად შესასრულებელი და საინტერესო, მაგალითად: მისწერე წერილი ბებოს ან ბაბუს; ალაპარაკე ბექობის არწივი; შექმენი კომიქსი.

მეორე ნაბიჯად მოქმედებათა თანამიმდევრობის დაწერა უნდა შევთავაზოთ. აზრის ჩამოყალიბებას ვიწყებთ ზმნით და ვცდილობთ, წინადადებები იყოს მოკლე.

მესამე ნაბიჯი – კიდევ ერთხელ ვკითხულობთ ინსტრუქციას, საჭიროებისამებრ ვასწორებთ და ვსვამთ

კითხვებს გაუგებარი საკითხების შესახებ.

საშინაო დავალების ინსტრუქციის შედგენისას ვითვალისწინებთ მოსწავლეთა ასაკს, მათ შესაძლებლობებს, შესწავლილ მეთოდებს. წინააღმდეგ შემთხვევაში საშინაო დავალება კვლავ აქილევსის ქუსლად იქცევა.

დააკვირდით პრაქტიკას

საკუთარი გამოცდილებისთვის თვალის მიდევნება და შეცდომების დროული აღმოჩენა იმაში დაგვეხმარება, რომ სასწავლო პროცესი სახალისო და შედეგიანი იყოს. მაგალითად ერთ პატარა ამბავს მოვიყვან.

მეორეკლასელებთან ერთად დიდი გულმოდგინებით მოვიფიქრე ინსტრუქციის ნაბიჯები. ინსტრუქცია საშინაო რვეულებშიც ჩაინიშნეს:

ინსტრუქცია

შექმენი კომიქსი:

1. მოიფიქრე, რომელ სათამაშოს აჩუქებდი გივის;
2. დაწერე ორი წინადადება;
3. დახატე შენი თავი და გივი;
4. პირველ წინადადებაში შესთავაზე გივის შენი სათამაშო;
5. მეორე წინადადებაში მოიფიქრე, რას გიპასუხებდა გივი;
6. წაიკითხე ხმამაღლა შენი დაწერილი წინადადებები.

ჩემმა მეორეკლასელმა შვილმა დავალების შესრულების შემდეგ გაკვირვებულმა აღნიშნა, რამდენი წინადადება იყო ინსტრუქციაში და რა პატარა დავალება გამოვიდაო. ამ გულწრფელმა შენიშვნამ დამაფიქრა და მას შემდეგ ინსტრუქციას კიდევ უფრო დიდი სიფრთხილით ვადგენ.

მიუხედავად ვრცელი ნაბიჯებისა, ბავშვებმა კომიქსის შექმნას არაჩვეულებრივად გაართვეს თავი.

როგორც ვიცით, კომპლექსური დავალება მკაფიოდ გაწერილი ინსტრუქციისგან შედგება. გიზიარებთ რამდენიმე ინსტრუქციას, რომლებიც კომპლექსური დავალებების აკინძვაში დაგეხმარებათ. მთავარია, საგაკვეთილო მასალას, მოსწავლეთა განვითარების ეტაპს მოვარგოთ და ჩვენეული ინდივიდუალიზმით გავამრავალფეროვნოთ.

ინსტრუქცია ბავშვებს ეხმარება კონსტ-რუქტორის აწყობაში, თამაშის წესების გარკვევაში, სასწავლო პროცესში კი ყველა საგნის დავალება სწორედ რომ ინსტრუქციას მოიცავს.

II კლასი:

ინსტრუქცია:

მისწერე წერილი ბებოს ან ბაბუს:

1. მიესალმე;
2. მოიკითხე;
3. უამბე შენ შესახებ;
4. უთხარი, როგორ გიყვარს;
5. უსურვე ჯანმრთელობა;
6. დაემშვიდობე.

- **წერილი საშინაო დავალების რვეულში დაწერე დამოუკიდებლად;**
- **მერე წაიკითხე ხმამაღლა;**
- **შეასწორე;**
- **თავიდან გადაწერე.**

IV კლასი:

პირველ პირში ალაპარაკე ფშა.

- გამოიყენე სიტყვები ტექსტიდან;
- გადმოეცი ფშის განცდები;
- წაიკითხე დაწერილი ტექსტი ხმამაღლა და შეასწორე;
- დახატე ილუსტრაცია.

VI კლასს შემაჯამებელ სამუშაოდ წერილის დაწერა შევთავაზე. მირზა გელოვანის ლექსი „ცხრაკარა“ საპროგრამო მასალაშია შეტანილი. პარალელურად გავაცანი მირზას მშობლებისადმი მიწერილი წერილი. პოეტი დედ-მამას თქვენობით მიმართავდა. მისი გავლენით ბავშვებმაც თქვენობითი ფორმა გამოიყენეს, რამაც ხიბლი შემატა ნაწერს.

ინსტრუქცია

მისწერე წერილი მშობლებს:

- გამოიყენე მიმართვის თქვენობითი ფორმა (1 ქულა);
- I აბზაცი – გაახსენე მშობლებს ტკბილი მოგონება თქვენი ერთობლივი ცხოვრებიდან და აღწერე (2 ქულა);
- II აბზაცი – გაიხსენე შენი მშობლების საუკეთესო თვისებები, რომლებიც ძალიან მოგწონს (2 ქულა);
- III აბზაცი – გაუზიარე შენი ფიქრები, დარდი და სიხარული (2 ქულა);
- IV აბზაცი – ურჩიე მათ ერთი მოთხრობა განვლილი მასალიდან და დაასაბუთე, რატომ უნდა წაიკითხონ (2 ქულა);
- დაემშვიდობე (1 ქულა).

გთავაზობთ კიდევ ერთი კომპლექსური დავალების ინსტრუქციას.

ინსტრუქცია:

წარმოიდგინე, რომ ჭიჭო და ელგუჯა სელფის იღებენ.

- შეარჩიე ერთი ეპიზოდი და შეეცადე, დახატო ჭიჭოს და ელგუჯას ერთობლივი სელფი.

ის შეიძლება „გადაღებული“ იყოს ტყეში წასვლამდე, ან ურმით მგზავრობისას, ან შინ დაბრუნების შემდეგ, აგიზგიზებულ ღუმელთან რომ ვახშმობენ დედასთან ერთად.

- სელფი საშინაო დავალების რვეულში ჩახატე;
- აღწერე, როდის არის გადაღებული და ახსენი, რატომ შეარჩიე ეს ეპიზოდი.

მოსწავლეების გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ინსტრუქცია მათ ეხმარება, ინტერესით შეასრულონ საშინაო დავალებები. აღნიშნეს, მუშაობის პროცესსაც ახალისებს და დაგროვილი ცოდნის გამოყენებაშიც გვეხმარებაო.

ერთ-ერთ გაკვეთილზე კი შევთავაზე, თავად მოეფიქრებინათ ინსტრუქცია. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ვფიქრობ, ბავშვების მიერ მოფიქრებული ინსტრუქცია თქვენთვისაც საინტერესო იქნება.

1. **ამოიწერე ლექს „ცხრაკარადან“ ეპითეტები და შედარებები:**
   - **კიდევ ერთხელ კარგად წაიკითხე ლექსი;**
   - **დააკვირდი თითოეულ სტრიქონს;**
   - **თუ ვერ გაიგებ, ეს სიტყვა ეპითეტია თუ არა, დაუსვი კითხვა: „როგორი?“**
2. **მისწერე წერილი შენთვის ჯადოსნურ ადამიანს:**
   - **დაწერე ადრესატი და ადრესანტი;**
   - **დაწერე მიმართვა;**
   - **პირველ აბზაცში უთხარი, რატომ არის ის შენთვის ჯადოსნური;**
   - **მეორე აბზაცში დაუსვი კითხვები მისი ცხოვრების შესახებ;**
   - **მესამე აბზაცში უთხარი, რაში გინდა დაემსგავსო მას;**
   - **მეოთხე აბზაცში მიიწვიე სადმე (შენთან სახლში, გასართობ ადგილას...).**

ეს მეექვსეკლასელი დეას მიერ მოფიქრებული ინსტრუქციაა. საინტერესოა, თქვენთვის ვინ არის ჯადოსნური ადამიანი? წერილის მიწერის სურვილი ხომ არ გაგიჩნდათ? მე დავფიქრდი და თავადაც ვაპირებ წერილის დაწერას. ვფიქრობ, შეცვლილი როლები მოსწავლეებს მოტივაციას აუმაღლებს და უფრო მეტი გულისყურით მოეკიდებიან ქართულის დავალებებს.

ქეთევან ოსიაშვილი

რა არის საჭირო გაკვეთილის ეფექტიანად ჩასატარებლად

ბოლო დროს მასწავლებლებისა თუ მშობლებისგან ხშირად მესმის ბავშვების მიმართ გამოთქმული საყვედურები: „ახლანდელ მოზარდებს არაფერი აინტერესებთ“, „სწავლა ეზარებათ“, „ყველაფრის იოლად მიღება უნდათ...“ სასწავლო პროცესის მიმართ გულგრილი ბავშვები, რასაკვირველია, არსებობენ, მაგრამ ისინი ყოველთვის იყვნენ. ჩვენი ბავშვობა გავიხსენოთ: რამდენი ჩვენი თანატოლი ცდილობდა, სწავლისთვის თავი აერიდებინა და ხშირად სკოლიდანაც იპარებოდა. საერთოდაც, ვფიქრობ, მოსწავლე – როგორი კარგიც უნდა იყოს – ყოველთვის ერთნაირი ინტერესითა და მონდომებით არ არის ჩართული სასწავლო პროცესში და თუ საშუალება მიეცა, შესაძლოა, იოლი გზებიც გამოიყენოს წარმატების მისაღწევად. ისიც უნდა ითქვას, რომ მოსწავლეები, რომლებიც ზოგიერთი პედაგოგის გაკვეთილებზე გულგრილად სხედან, შესაძლოა, სხვებს დიდი ინტერესით უსმენდნენ და სიამოვნებით სწავლობდნენ მათ საგნებს.

ვფიქრობ, საინტერესო იქნება იმ ფაქტორების მიმოხილვა, რომლებიც სწავლისადმი მოსწავლეთა ინტერესს ზრდის და პედაგოგებს გაკვეთილის ეფექტიანად ჩატარებაში უწყობს ხელს:

- სასურველია, გაკვეთილის დასაწყისშივე გავაცნოთ ბავშვებს ჩვენი მიზანი და აქტივობები, რომელთა ჩატარებასაც ვაპირებთ საგაკვეთილო პროცესში. კარგი იქნება, თუ ამ ყველაფერს ბავშვებს მარტივად, გასაგები ენით მივაწვდით. შეიძლება, დაფაზე წინასწარ ჩამოვწეროთ აქტივობათა ჩამონათვალი. გაკვეთილის მიზნისა და ჩასატარებელი აქტივობების წინასწარ გაცნობის შემთხვევაში მოსწავლეები ადვილად მოახერხებენ ყურადღებისა და აზროვნების მობილიზებას, თავიანთი საქმიანობის სწორად ორგანიზებას გაკვეთილზე. გაკვეთილის მიზნის ასეთნაირად მიწოდება სწავლის სწავლებასაც შეუწყობს ხელს.
- კარგი იქნება, თუ გაკვეთილზე გამოვიყენებთ სწავლების მრავალფეროვან მეთოდებსა და აქტივობებს. ერთი და იმავე მეთოდისა თუ აქტივობის ყოველდღიური გამოყენება, რა საინტერესოც უნდა იყოს ის, მოსაწყენია.
- გაკვეთილზე დასმული კითხვები ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ პასუხი ზედაპირზე არ იდოს და მის მოსაფიქრებლად მოსწავლეს წაკითხულის გააზრება სჭირდებოდეს. ხშირად ბავშვები ჩქარობენ და პასუხის ტექსტში მოძიების ნაცვლად ზეპირად პასუხობენ. გააზრებული კითხვის უნარის გამომუშავებისთვის სასურველია, ბავშვის ყურადღების ტექსტზე კონცენტრირება ვცადოთ. როცა მასწავლებელი მოსწავლეთა ზეპირი პასუხით კმაყოფილდება, ის მეხსიერებაზეა ორიენტირებული, ტექსტის გასააზრებლად კი აუცილებელია ორიენტირება მაღალი დონის საზროვნო ოპერაციებზე.
- ვინაიდან მასწავლებელს სხვადასხვა შესაძლებლობების ბავშვებთან უწევს მუშაობა, სწავლების პროცესში ინდივიდუალური მიდგომა აუცილებელია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობათა მაქსიმალური რეალიზებისთვის. ინდივიდუალური მიდგომის ერთ-ერთი ფორმაა დავალებების დიფერენცირება და ბავშვების შესაძლებლობებზე მორგება. ამ შემთხვევაში თითოეულ მოსწავლეს მიეცემა წარმატების განცდის შანსი. ეს შემატებს ბავშვს საკუთარი თავის რწმენას და დადებითად განაწყობს ყველაფრის მიმართ, რასაც მასწავლებელი გაკვეთილზე შესთავაზებს.
- სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს გაკვეთილზე ჯგუფური მუშაობის სწორად წარმართვა. ცხადია, ჯგუფური მუშაობა ძალიან კარგი საშუალებაა სოციალური უნარების, კერძოდ, თანამშრომლობის უნარის განვითარებისთვის, მაგრამ სასურველია, მისი

კარგი იქნება, თუ გაკვეთილზე გამოვიყენებთ სწავლების მრავალფეროვან მეთოდებსა და აქტივობებს. ერთი და იმავე მეთოდისა თუ აქტივობის ყოველდღიური გამოყენება, რა საინტერესოც უნდა იყოს ის, მოსაწყენია.

იმ უნარებს შორის, რომლებიც ბავშვებს უნდა გამოვუმუშაოთ, შეფასების უნარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუნდაც იმიტომ, რომ თვითშეფასების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

გამოყენება თვითმიზნად არ იქცეს. ჯგუფური მუშაობა მაშინაა გამართლებული, როდესაც კონკრეტულ დავალებაზე ინდივიდუალურად მუშაობა არ არის ეფექტიანი.

- აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ უმცროსკლასელები, რომელთათვისაც მასწავლებელი ავტორიტეტია, იშვიათად გამოთქვამენ მის საწინააღმდეგო აზრს. კარგი იქნება, თუ ბავშვებს დამოუკიდებელი აზროვნებისთვის კომფორტულ გარემოს შევუქმნით, ყურადღებით მოვისმენთ მათ მოსაზრებებს და ყოველივე ამას ადეკვატურად გამოვიყენებთ მუშაობის პროცესში.
- განმავითარებელი შეფასების გამოყენება ყურადღებას მოითხოვს ნებისმიერ ასაკობრივ საფეხურზე, განსაკუთრებით კი დაწყებით კლასებში, ვინაიდან ამ პერიოდში ის შეფასების ერთადერთი ფორმაა. იმ უნარებს შორის, რომლებიც ბავშვებს უნდა გამოვუმუშაოთ, შეფასების უნარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუნდაც იმიტომ, რომ თვითშეფასების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ქულებით შეფასების გაუქმების შემდეგ დაწყებითი კლასების მასწავლებლები პრობლემებს შეეჯახნენ. სიმბოლოების გამოყენებას ისინი ისევ განმსაზღვრელ შეფასებამდე მიჰყავს, განმავითარებელი შეფასებისთვის კი მხოლოდ „ყოჩაღ“ და „კარგია“ არ არის საკმარისი. თუ გვინდა, კომენტარის გაკეთება გაგვიადვილდეს, კარგად უნდა გამოვკვეთოთ შეფასების კრიტერიუმები და ბავშვებსაც გავაცნოთ ისინი. შეფასების უნარის განვითარების დაბალი დონე მოგვიანებით პედაგოგებსა და მშობლებს სერიოზული პრობლემების წინაშე აყენებს.
- სასურველია, საგაკვეთილო პროცესში განსახილველი საკითხები რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებს დავუკავშიროთ. ბავშვებს აინტერესებთ, ცხოვრებაში როგორ გამოიყენებენ სკოლაში მიღებულ ცოდნას. „ამის ცოდნა რაში გამომადგება?“ „რა დამაკლდება, ეს თუ არ მეცოდინება?“ – ასეთი კითხვები აღიზიანებთ უფროსებს. „დღევანდელი ბავშვები ძალიან პრაგმატულები არიან, ჩვენ მათ ასაკში ასეთები არ ვიყავით“, – ამბობენ ისინი. ყველამ ვიცით, რომ დღეს სწავლებისგან სამ რამეს ელიან: ცოდნას, უნარებსა და განწყობა-დამოკიდებულებებს. ამდენად, სწავლების პროცესში არა მხოლოდ სასურველი, აუცილებელიც კია, ბავშვებს ცოდნასთან ერთად იმის შესახებაც გადავცეთ ინფორმაცია, მომავალში როგორ გამოიყენებენ მას. ასეთი მიდგომით სწავლა-სწავლებისადმი მათ დამოკიდებულებასაც დადებითად შევცვლით. აღმზრდელობითი მიზნით განსაკუთრებით კარგად შეიძლება გამოვიყენოთ ლიტერატურა. ლიტერატურის გაკვეთილები ბავშვის ქცევაში კორექტივების შეტანის ერთ-ერთი ძლიერი საშუალებაა.

რასაკვირველია, გაკვეთილის ეფექტიანობას უამრავი სხვა ფაქტორიც განაპირობებს, მაგრამ განხილული ფაქტორების გათვალისწინება, ერთი მხრივ, სასწავლო პროცესისადმი ბავშვების ინტერესს გაზრდის, მეორე მხრივ კი პედაგოგს თავისი საქმიანობით კმაყოფილებასა და ბედნიერებას განაცდევინებს.

ნინო ლომაძე

წერითი მეტყველების გაუმჯობესება დისტანციური სწავლების პირობებში

თხზულება, ესე, საშინაო წერითი ნაშრომი, მოკლე შინაარსი, პარაფრაზი, ხედვის სხვადასხვა კუთხის წარმოჩენა, პერსონაჟის დახასიათება, თავისუფალი თემა, კომენტირებული კითხვა, კითხვებზე პასუხი – კარგი იქნება, თუ ამ და სხვა „საპროგრამო“ წერითი სავარჯიშოების მიღმა წერის მასტიმულირებელ შემოქმედებით, საინტერესო სავარჯიშოებსაც შევასრულებინებთ.

როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს წერითი მეტყველების დახვეწაში?

ეს კითხვა აქტუალურია, განსაკუთრებით – დისტანციური სწავლების პირობებში.

ზოგიერთ მოსწავლეს ჰყოფნის ის საშინაო თუ საკლასო წერითი სავარჯიშოები, რომლებსაც ჩვეულებრივ ვაწვდით. ასრულებენ, კითხულობენ ჩვენს მითითებებს, არედაქტირებენ საკუთარ ნაწერებს ამ მითითებების მიხედვით და ნელ-ნელა ხვეწენ წერით უნარებს.

ზოგიერთი მოსწავლისთვის კი ეს არ არის საკმარისი. მათ დამატებითი ვარჯიში სჭირდებათ – უფრო ინტენსიური, ინდივიდუალურად შერჩეული, მათი ინტერესების გათვალისწინებით შედგენილი.

თხზულება, ესე, საშინაო წერითი ნაშრომი, მოკლე შინაარსი, პარაფრაზი, ხედვის სხვადასხვა კუთხის წარმოჩენა, პერსონაჟის დახასიათება, თავისუფალი თემა, კომენტირებული კითხვა, კითხვებზე პასუხი – კარგი იქნება, თუ ამ და სხვა „საპროგრამო“ წერითი სავარჯიშოების მიღმა წერის მასტიმულირებელ შემოქმედებით, საინტერესო სავარჯიშოებსაც შევასრულებინებთ.

ქვემოთ რამდენიმე ასეთ სავარჯიშოს შემოგთავაზებთ, რომლებიც ონლაინ/დისტანციური სწავლა-სწავლების პირობებში გამოგადგებათ.

ამბავი ფოტოკადრის მიხედვით

https://writingexercises.co.uk – ეს ვებსაიტი შემოქმედებითი წერის სავარჯიშოების ნამდვილი საბადოა. საიტი ინგლისურენოვანია, მაგრამ ეს განყოფილება – https://writingexercises.co.uk/random-image-generator.php – „შემთხვევითი ფოტოკადრის“ გვერდია. აქ თავმოყრილია ფოტოები, სურათხატები, ვიზუალური მასალა. ქვემოთ, ილუსტრაციაში, მონიშნულია ადგილი, რომელსაც უნდა დააწკაპოთ სურათის მისაღებად:

Random Image

Here are two suggestions for how to use these images:
1. Use an image as a free-writing exercise. Write about whatever it makes you think of. Just make notes, if you like. Is there a story here? Setting yourself a time limit might be helpful.
2. Use the image as an exercise in observation and writing description. Look closely at the picture. Describe colours, texture, shapes, sounds and smells.

Press for a random picture

Note: images are suitable for all age groups.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ფოტოები ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფისთვისაა შესაფერისი და ამ მხრივ არავითარი შეზღუდვა არ არის.

სავარჯიშოს ინსტრუქცია:

პირველი ვარიანტი

1. დააწკაპეთ ფანჯარაზე;
2. დააკვირდით მოცემულ სურათს.

დაწერეთ ყველაფერი, რაც გონებაში გაგიელვებთ. გამოიყენეთ **თავისუფალი წერის ტექნიკა.**

განუსაზღვრეთ საკუთარ თავს დროის ლიმიტი („შესვენების გარეშე ვიმუშავებ 10/15/20 წუთის განმავლობაში“).

ზოგიერთ მოსწავლეს ჰყოფნის ის საშინაო თუ საკლასო წერითი სავარჯიშოები, რომლებსაც ჩვეულებრივ ვაწვდით. ასრულებენ, კითხულობენ ჩვენს მითითებებს, არედაქტირებენ საკუთარ ნაწერებს ამ მითითებების მიხედვით და ნელ-ნელა ხვეწენ წერით უნარებს.

მეორე ვარიანტი

1. ყურადღებით დააკვირდით შემთხვევით შერჩეულ სურათს.
2. აღწერეთ დეტალურად: რას ხედავთ ფოტოზე? აბზაცებად მოაწესრიგეთ სხვადასხვა კატეგორიის საგნები – მათი ფორმები, ფერები, „ხმები“, რომლებიც „ისმის“; რა, სად და როგორ არის განლაგებული?

„გვაქვს უთვალავი ფერითა“

ეს სავარჯიშო დაკვირვებისა და მიღებული ინფორმაციის მოწესრიგებისთვისაა სასარგებლო. ვითარების გათვალისწინებით, აირჩიეთ სასურველი ვარიანტი:

სავარჯიშოს ინსტრუქცია

პირველი ვარიანტი

1. შეარჩიეთ ფერი. 15 წუთით გაისეირნეთ გარეთ (უსაფრთხოების წესების დაცვით). გონებაში მონიშნეთ ყველა ის საგანი, რომელიც თქვენ მიერ შერჩეული ფერისაა. შეგიძლიათ, გააკეთოთ ჩანაწერებიც. შინ დაბრუნებისთანავე დაწერეთ იმის შესახებ, რაც მონიშნეთ. დაყავით ნაწერი აბზაცებად. დაურთეთ შესავალი და დასკვნითი წინადადებები.

მეორე ვარიანტი

1. შეარჩიეთ ფორმა (ოთხკუთხედი, წრე, სამკუთხედი...).
2. მიმოიხედეთ ოთახში, რომელშიც იმყოფებით. მონიშნეთ ყველა ნივთი, რომელიც ამ ფორმისაა.
3. აღწერეთ ნივთები. აღწერითი ხასიათის ტექსტს დაურთეთ შესავალი და დასკვნითი ნაწილი. აუცილებლად დაყავით ნაწერი აბზაცებად.

ლექსიკონები – საბადო შემოქმედებითი წერისთვის

https://www.ice.ge/liv/liv/index.php – ამ ბმულზე თავმოყრილია სხვადასხვა ლექსიკონი: განმარტებითი, დარგობრივი, პარონიმების, იდიომების, ორთოგრაფიული...

დაავალეთ მოსწავლეებს, აირჩიონ ერთ-ერთი განმარტებითი ლექსიკონის განყოფილებაში არსებული ლექსიკონებიდან.

შერჩეული ონლაინლექსიკონიდან აირჩიონ 5 შემთხვევითი სიტყვა. ამოიწერონ.

მოიფიქრონ ამბავი, რომელშიც ამ სიტყვებს გამოიყენებენ.

ამბავი გადმოცემული უნდა იყოს თანმიმდევრულად, საინტერესოდ. კარგი იქნება, თუ შეარჩევენ ისეთ სიტყვებს, რომლებიც აქამდე არ იცოდნენ ან აქტიურ ლექსიკურ მარაგში არ ჰქონდათ.

განსაკუთრებით საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს **იდიომების ლექსიკონზე** მუშაობა (ნახავთ ისრით მონიშნულ განყოფილებაში).

ბმულზე გადასვლისას გაიხსნება ფანჯარა, რომელშიც ერთი ასოს ჩაწერის შემთხვევაში იმ ასოზე დაწყებული იდიომები გახდება ხელმისაწვდომი.

მოსწავლეებმა უნდა აირჩიონ სხვადასხვა ფრაზეოლოგიზმი და შექმნან ამბავი მათი გამოყენებით (იხ. ილუსტრაცია).



თამთა დოლიძე

ინფორმაციის უსიერ ტყეში

თანამედროვე ტექნოლოგიების საუკუნეში მედიაწიგნიერების უნარ-ჩვევების ფლობა პროფესიული განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ინფორმაციის მოძიება, შემოწმება-დამუშავება და სანდო წყაროს არასანდოსგან გარჩევა საკმაოდ შრომატევადი პროცესია, ზოგჯერ კი მრავალფეროვან მედიარესურსში ტყუილ-მართლის განცალკევება კონკიას მიერ მუხუდოსა და ოსპის მარცვლების გადარჩევას ემსგავსება.

სკოლებში მედიაწიგნიერების ცალკე საგნად სწავლების იდეა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეშიც არაერთხელ ქცეულა განხილვის საგნად, თუმცა ჯერჯერობით ამ დისციპლინისთვის სასწავლო პროგრამების ჩამონათვალში ადგილი ვერ მოინახა. არადა, ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხი და, ამასთან, ინფორმაციის დამუშავების უნარ-ჩვევების განვითარება ზოგადსაგანმანათლებლო მიზნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს.

თუ სკოლაში მასწავლებლის მხარდაჭერა და ჯგუფზე გადანაწილებული პასუხისმგებლობა მოსწავლეს მისი წილი დავალების შესრულებას უადვილებდა, დისტანციური სწავლების პირობებში მას მიზნობრივი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება-დახარისხება და სრულ სასწავლო პროდუქტად ჩამოყალიბება დასჭირდა. შედეგად მივიღეთ ვიკიპედიის ერთგვარი კონსპექტებისგან შეკოწიწებული დავალებები და გადაუმუშავებელი (წყაროს სანდოობის შემოწმება, ინფორმაციის დაწურვა მეორეხარისხოვანი თემებისგან, ზოგ შემთხვევაში კი – copy-paste) ინფორმაცია, რომლის სწორად ფორმულირება და პრეზენტირება დავალებების ავტორთა უმეტესობას საკმაოდ გაუჭირდა. ეს სულაც არ ყოფილა გასაკვირი, რადგან ინტერნეტსივრცეში არსებული ზღვა რესურსის სწორად შერჩევა-გამოყენებას გარკვეული ცოდნისა და გამოცდილების დაგროვება სჭირდება.

ზოგიერთ თქვენგანს ალბათ დააინტერესებს, რატომ არ გადავიტანეთ ჯგუფური მუშაობის ფორმატი დისტანციური სწავლების პროცესში. ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორებად დავასახელებდი კომპიუტერთან მეტი დროის გატარების აუცილებლობას (საფრთხე ჯანმრთელობისთვის), კიბერუსაფრთხოების საკითხს (კონფლიქტის წარმოშობის საშიშროება) და სამუშაო პროცესზე დაკვირვების სირთულეს (მასწავლებელი ყველა ჯგუფის ფასილიტაციას ვერ შეძლებდა).

დაბრკოლებების მიუხედავად, ზემოაღნიშნულ პრობლემას დისტანციურ ფორმატშიც შევეჭიდე და კოლეგებთან ერთად მედიაწიგნიერების კვირეულის ჩატარება გადავწყვიტე. პროექტი მეოთხე-მეხუთეკლასელებისთვის დაიგეგმა, აქტივობები და სასწავლო რესურსებიც ამ საფეხურის მოსწავლეთა უნარ-ჩვევებსა და საჭიროებებს მოვარგეთ. გარდა ამისა, კვირეულის დღეები ერთმანეთს შინაარსობრივადაც დავუკავშირეთ. ასე დაიბადა რეზიკო – მეოთხეკლასელი ბიჭუნა, რომელსაც რამდენიმე თავსატეხის ამოხსნაში დავეხმარეთ.

პირველ დღეს რეზიკომ თავისი საყვარელი თამაში გამოგვიგზავნა. მოსწავლეებს ვიქტორინის ფორმატში აწყობილი დავალების დახმარებით საკუთარი თავი უნდა შეემოწმებინათ და ნამდვილი და გამოგონილი ამბები ერთმანეთისგან გაერჩიათ (ვიქტორინაში გამოყენებული იყო რეალური ფაქტები, მითები და ლეგენდები). თამაშის დახმარებით მოსწავლეები თავად უნდა მისულიყვნენ დასკვნამდე, რომ ე.წ. საკვანძო სიტყვებზე დაკვირვებით რეალური და გამოგონილი ამბების ერთმანეთისგან გარჩევა შეიძლება.

თანამედროვე ტექნოლოგიების საუკუნეში მედიაწიგნიერების უნარ-ჩვევების ფლობა პროფესიული განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ინფორმაციის მოძიება, შემოწმება-დამუშავება და სანდო წყაროს არასანდოსგან გარჩევა საკმაოდ შრომატევადი პროცესია.

ვიქტორინას კონკრეტული (დაზუსტებული) და ზოგადი (დაუზუსტებელი) ინფორმაციის ერთმანეთისგან გარჩევის გაკვეთილი მოჰყვა. რეზიკომ თანატოლებს ეს გამოცდილებაც გაუზიარა. ქვემოთ შეგიძლიათ, გაეცნოთ დავალების დეტალურ ინსტრუქციას და ელექტრონულ რესურსს (ჩემ მიერ სახელდახელოდ შეთხზულ საგაზეთო სტატიას), რომელშიც მოსწავლეებს დაუზუსტებელი ინფორმაციის მანიშნებელი ზოგადი სიტყვები უნდა აღმოეჩინათ:

დავალების ინსტრუქცია

რეზიკო „ახალი ამბების“ სამეფოში

მეორე დღეს რეზიკო სკოლაში ვერ წავიდა და ქართული მასწავლებელმა დავალება კომპიუტერით გაუგზავნა. რეზიკოს მითითებულ ლინკზე დახვდა „ახალი ამბავი“ - ამოწარიდი გაზეთიდან და „სიტყვის ყუთი“. სტატიაში უნდა მოეძებნა ზოგადი სიტყვები, რომლებიც დაუზუსტებელ ინფორმაციაზე მიანიშნებდა. სკივრში თუ ჩაიხედავდი, დავალების შესრულება სულაც არ იყო ძნელი, რადგან მასში, სხვა ფრაზებთან ერთად, მოსაძებნი სიტყვებიც ეწყო. საეჭვო სიტყვები მაუსის დაწკაპუნებით წითლდებოდა. პასუხების შემოწმებას თუ დააჭერდი, მოწიშნულ სიტყვებს აწ V (სწორია) აწ X (შეცდომაა) წიშანი დაასკუპდებოდა თავზე. რეზიკო „სკივრს “და „ახალ ამბავს “ყურადღებით გაეცნო და 6 ზოგადი სიტყვა აღმოაჩინა, მასწავლებელმა კი დაწარჩენი ორი აპოვნინა.

დამხმარე რესურსი

სამუშაო ფურცლის სანახავად მიჰყევით ბმულს:
https://learningapps.org/display?v=psqrxphdn20&fbclid=IwAR0TatICSebzFch4TPY-Is8EuVxzi_Q25_wR8ETW0FnPYM6s_P-jXwsr83A

როგორც ხედავთ, მოსწავლეებს ზოგად სიტყვებზე („ამბობენ“, „ალბათ“ და სხვ.) უნდა დაეწკაპუნებინათ და ამ გზით სტატიაში არსებული დაუზუსტებელი ინფორმაცია აღმოეჩინათ. მომდევნო შეხვედრაზე, დავალებაში მოძიებული ზოგადი ცნობების სანდოობის განხილვასთან ერთად, დაზუსტებული ინფორმაციის (ფაქტების) შემცველი მაგალითებიც გავარჩიეთ.

ლიტერატურაშიც რომ მტყუან-მართალი არ ეძებნათ, შემდეგი შეხვედრა მხატვრული და საინფორმაციო ტექსტების შედარებას დავუთმეთ და შევთანხმდით, რომ ხელოვნებაში „ტყუილი მოსულა“. შემდეგ მოსწავლეებს ერთგვარი ექსპერიმენტის ჩატარება შევთავაზე და ყველასათვის ნაცნობი ზღაპარი „წითელქუდა“ საგაზეთო სტატიად ვაქციეთ. ბოლოს კი „დანაშაულის ადგილზე“ მოსულ „ექსპერტებს“ ქვემოთ მოცემული კითხვარის შევსება შევთავაზე:

1. *სინამდვილეში რა ჰქვია წითელქუდას?*
   - *ა. ვარდო*
   - *ბ. მალინა*
   - *გ. სახელის დარქმევა დაავიწყდათ*
   - *დ. ნამდვილი სახელი უცნობია*

2. *სად ცხოვრობს წითელქუდას ბებია?*
   - *ა. თბილისის გარეუბანში*
   - *ბ. ტყის პირას*
   - *გ. სოფლის შუაგულში*
   - *დ. ზღვის სანაპიროზე*

3. *რატომ წავიდა წითელქუდა ბებიასთან?*
   - *ა. წითელი ქუდი უნდა დაებრუნებინა*
   - *ბ. დედამ დაავალა და რა ექნა?!*
   - *გ. ავად იყო და უნდა მოენახულებინა*
   - *დ. ღვეზლების გამოცხობა უნდა ესწავლა*

4. *ვინ უთხრა დედას, რომ ტყეში მგელი ცხოვრობდა?*
   - *ა. დაესიზმრა*
   - *ბ. მონადირემ გააფრთხილა*
   - *გ. ბებიამ გააგებინა*
   - *დ. შარლ პერომ უთხრა*

თუ სკოლებში ტექსტების „მოშინაურების“ გაკვეთილებს ხშირად ჩავატარებთ, დროთა განმავლობაში მოსწავლეებს ტყუილ-მართლის გარჩევა გაუადვილდებათ და თამამად გაიგნებენ გზას ინფორმაციის „უსიერ ტყეში“.

5. *ვინ გაუმხილა მგელს პირადი ინფორმაცია ბებიას საცხოვრებელი ადგილის შესახებ?*
   ა. *დედამ*
   ბ. *ბებიამ*
   გ. *წითელქუდამ*
   დ. *მონადირემ*

6. *უსაფრთხოების რომელი წესი დაარღვია წითელქუდამ?*
   ა. *ბილიკიდან გადაუხვია და მგელს გამოელაპარაკა*
   ბ. *ტყეში ყვავილების კრეფა დაიწყო*
   გ. *ბებიას ფუნთუშებით სავსე კალათა წაუღო*
   დ. *მგელს ფუნთუშები არ აჭამა*

7. *ვინ მოჰყვებოდა ამ ამბავს ყველაზე ობიექტურად, ანუ გაზვიადების გარეშე?*
   ა. *წითელქუდა*
   ბ. *ბებია*
   გ. *მგელი*
   დ. *მონადირე*

8. *წარმოიდგინე, რომ ჟურნალისტი ხარ და მონადირეს ინტერვიუს ართმევ. პირველ რიგში, რას ჰკითხავდი მას?*

კვირეულის ბოლო შეხვედრა ახალი ცოდნისა და გამოცდილების შეჯამებას დავუთმეთ. მოსწავლეებს დამხმარე კითხვებზე დაყრდნობით უნდა შეედგინათ „რჩევების ბარათი“, რომელზეც კვირეულის მთავარ მიგნებებს განათავსებდნენ და უმცროსკლასელებს გაუზიარებდნენ. მოსწავლეებმა ბოლო დავალებაც რეზიკოსგან მიიღეს:

მალე მათგან ფერად-ფერადი, საჭირო რჩევებით სავსე ბარათები მივიღე. კვირეულის მსვლელობისას მოსწავლეებს ახალი ცოდნისა და გამოცდილების გამოყენების არაერთი შესაძლებლობა ჰქონდათ, თუმცა „რჩევების ბარათში“ მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან აღმოჩენებს მოუყარეს თავი და გამოცდილების გაზიარების საშუალებაც მიეცათ. ჩემი აზრით, თუ სკოლებში ტექსტების „მოშინაურების“ გაკვეთილებს ხშირად ჩავატარებთ, დროთა განმავლობაში მოსწავლეებს ტყუილ-მართლის გარჩევა გაუადვილდებათ და თამამად გაიგნებენ გზას ინფორმაციის „უსიერ ტყეში“.

გამარჯობა, ჩემო მეგობარო!

ჩემთვის ეს კვირა განსაკუთრებული იყო, ვიცი, რომ შენ მთელი ეს დრო ჩემთან ერთად გაატარე და შენც ასრულებდი დავალებებს. მიწდა მადლობა გადაგიხადო და კვირის ბოლო დღისთვის კიდევ გთხოვო ერთი დავალების შესრულება. ვფიქრობ, რაც ჩვენ ახლა ვისწავლეთ, აწუ იწფორმაცაზე დაკვირვება და იმის გარჩევა, სიმართლეა თუ არა, ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანია. ამიტომ ჩემი პარასკევის დავალება ძალიან მომეწონა, მასწავლებელმა გვთხოვა, დაგვემზადებინა ჩვენი სკოლის მოსწავლეებისთვის რჩევების ბარათი.

ამ ბარათის დახმარებით ისინი შეძლებენ:
1. გაარჩიონ ერთმანეთისგან ნამდვილი და გამოგონილი ამბავი.
2. ნიწადადებებს, სადაც ზოგადი სიტყვები (ალბათ, ვფიქრობ, შეიძლება...) იქნება გამოყენებული არ ჩათვლიან დადასტურებულ იწფორმაციად.

მიწდა გთხოვო, რომ შენც დაუმზადო შენს თანასკოლელ პატარებს რჩევების ბარათი.

გაიხსენე, რა ვისწავლეთ გასული კვირის განმავლობაში და ბარათზე ჩამოწერე 4-5 პუნქტად, რა უნდა გაითვალისწინონ ინფორმაციის მოძიება-დამუშავებისას.

ბარათის სურათები აუცილებლად გამომიგზავნე.

გისურვებ წარმატებას!

ნათია უჩავა

ჯადოსნური ამბები – კომპლექსური დავალება

„მომიყევი – დამავიწყდება; მაჩვენე – შესაძლოა, დავიმახსოვრო; გამაკეთებინე და გავიგებ“.
ჩინური ანდაზა

მასწავლებლები ვცდილობთ, მოსწავლეებს ცოდნა ისე მივაწოდოთ, რომ რაც შეიძლება მეტხანს დაამახსოვრდეთ და პრაქტიკაშიც შეძლონ მისი გამოყენება.

მასწავლებლები ვცდილობთ, მოსწავლეებს ცოდნა ისე მივაწოდოთ, რომ რაც შეიძლება მეტხანს დაამახსოვრდეთ და პრაქტიკაშიც შეძლონ მისი გამოყენება.

ჩემს მესამეკლასელებთან ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე განვიხილავდი ერთ-ერთ თავს ჯადოსნურ ამბებზე. წინასწარ შევისწავლეთ რამდენიმე ასეთი ტექსტი. გადავწყვიტე, მოსწავლეებისთვის მიმეცა ისეთი დავალება, რომელიც მათ საშუალებას მისცემდა, გამოევლინათ თავიანთი შესაძლებლობები, განევითარებინათ შემოქმედებითი უნარ-ჩვევები და შესწავლილი პრაქტიკაში განეხორციელებინათ.

სტატიაში აღვწერ კომპლექსურ დავალებას, რომელიც მოსწავლეებს მივეცი:

ძირითადი ტექსტი: „როგორ გაჩნდა მთვარე და ვარსკვლავები“

სამიზნე ცნება: ტექსტის გაგება, ინტერპრეტირება

შედეგები: I2; I3; I4; I5; I6; I. 7; I. 8; I. 9; I. 12; I. 13; I. 14; I. 15

ქვეცნებები/საკითხები:
პერსონაჟის ემოციების ამოცნობა, ტექსტის შედგენა, ილუსტრაციის შექმნა მოცემულ ტექსტზე, სიუჟეტის განვითარების საფეხურები (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული)

საკვანძო შეკითხვები:
- როგორ გამოვიყენოთ ტექსტში მოცემული ინფორმაცია შინაარსობრივად/ჟანრობრივად მსგავსი ტექსტის შესაქმნელად?
- როგორი შეიძლება იყოს ჩვენი თვალით დანახული ზღაპრული ამბავი?
- ტექსტზე დაყრდნობით როგორ შევადგინოთ ზღაპრული ამბავი?
- როგორ გადმოვცეთ ნახატით ჩვენი მოფიქრებული ამბავი?
- ნახატზე დაყრდნობით როგორ დავახასიათოთ პერსონაჟი?

კომპლექსური დავალების პირობა:

ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი. გამოყავით, რა არის ნამდვილი და რა – გამოგონილი. დაფიქრდით, როგორ ამბებს შეიძლება ვუწოდოთ ჯადოსნური? ოდესმე თუ შეგითხზავთ ჯადოსნური ამბავი? როგორ ფიქრობთ, რატომ იგონებენ ადამიანები ჯადოსნურ ამბებს? გაიხსენეთ ანიმაციური ფილმი, წიგნი, ზღაპარი, სადაც გამოგონილი ამბები გხვდებათ. დაუკავშირეთ თქვენი გამოცდილება შესწავლილი ტექსტის თემას. მოიფიქრეთ და დაწერეთ ზღაპრული ამბავი. შეეცადეთ, გადმოსცეთ პერსონაჟის ემოციები. შემდეგ შექმენით გამოგონილი ამბის ილუსტრაცია, რომელსაც ერთ ეპიზოდს ან მთელ ამბავს დაუკავშირებთ.

ნაშრომის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:
- ჯადოსნური, გამოგონილი ამბავი;
- პერსონაჟის ემოციები;
- შექმნილი ილუსტრაცია, რომელიც კონკრეტულ ეპიზოდს ან მოფიქრებული ამბის შინაარსს აღწერს.

პრაქტიკული რჩევები, რეკომენდაციები:
- თემის გაცნობამდე მოიყვანეთ რამდენიმე მაგალითი გამოგონილ ამბებზე, გაიხსენეთ ანიმაციური ფილმები, ზღაპრები;
- ნახეთ ილუსტრირებული წიგნი ან ზღაპარი, დაასახელეთ კავშირი ამბავსა და ილუსტრაციას შორის.

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ეტაპები

მოსწავლეები მოვამზადე დავალების შესასრულებლად. განვიხილეთ შესწავლილი ტექსტი: „როგორ გაჩნდა მთვარე და ვარსკვლავები“. ვიმსჯელეთ, ვიმუშავეთ **T სქემაზე**:

ტექსტი	ინდივიდუალური კომენტარი
მონაკვეთი 1 მზეც ჩავიდა და საღამოს ბინდი გადაეფარა არემარეს.	მოსწავლის კომენტარი: ეს მონაკვეთი რეალურად შეიძლება მოხდეს, რადგან მზის ჩასვლის შემდეგ ბინდი ჩნდება ხოლმე.
მონაკვეთი 2 მაღლა ასროლილი ხორბლის მარცვლები აენთნენ, ცას შეერივნენ და ზეცა მოციმციმე ვარსკვლავებით მოიჭედა.	მოსწავლის კომენტარი: ეს მონაკვეთი არის ჯადოსნური, რადგან რეალურ ცხოვრებაში ვარსკვლავები ხორბლის მარცვლებისგან არ ჩნდება.
მონაკვეთი 3 დედამ ჯიბეში ჩარჩენილი ერთი მარცვალი ცერცვიც მაღლა შეისროლა. ცერცვის მარცვალი ყვითლად მოელვარე მთვარედ გადაიქცა და ღამე გააშუქა.	მოსწავლის კომენტარი: ეს მონაკვეთი არის გამოგონილი, რადგან მთვარე დედამიწის თანამგზავრია და ის ცერცვის მაღლა ასროლით ვერ გაჩნდებოდა.

T სქემის შევსებისა და მსჯელობის შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვე, შესწავლილ ტექსტებზე დაყრდნობით თვითონვე მოეფიქრებინათ ჯადოსნური ამბავი, დაერქმიათ მისთვის სათაური, ნამუშევარში ესაუბრათ პერსონაჟზე.

პრეზენტაციის დროს მოსწავლეებმა წარმოადგინეს ნამუშევარი.

მეორე დავალების შესრულებამდე მოსწავლეებს ვთხოვე, დაეთვალიერებინათ კლასგარეშე წიგნი, რომელსაც ვკითხულობდით - „ვინი პუჰის თავგადასავალი“. განვიხილეთ წიგნში მოცემული ილუსტრაციები - რამდენად გადმოსცემდა ნახატი კონკრეტული მონაკვეთის სათქმელს, როგორ ჰქონდა ილუსტრატორს ის გამოყენებული. ამის გათვალისწინებით მივეცი შემდეგი დავალება: მოსწავლეებს საკუთარი ტექსტის მიხედვით უნდა შეექმნათ ილუსტრაცია, რომელიც კონკრეტულ მონაკვეთს ან ამბის შინაარსს გადმოსცემდა. დასასრულს უნდა წარმოედგინათ პრეზენტაციები.

ილუსტრაციის წარმოდგენისას მათ გადმოსცეს შინაარსი, დაიცვეს ეპიზოდების თანამიმდევრობა. ზოგიერთმა მოსწავლემ შექმნა მთელი ამბის ერთი ილუსტრაცია, ზოგმა – რამდენიმე ეპიზოდის. გთავაზობთ მაგალითს:



პრეზენტაციის შემდეგ მოსწავლეებმა შეაჯამეს დავალება. ისაუბრეს იმაზე, რა იყო მათთვის საინტერესო, რა გაუჭირდათ, როგორ გადაჭრეს პრობლემა, რა დაამახსოვრდათ ყველაზე მეტად.

მოსწავლეებმა ძალიან საინტერესო, კეთილი, ჯადოსნური ამბები შეთხზეს, შეუსაბამეს ილუსტრაციები და ამით შემოქმედებითი უნარ-ჩვევები გამოიმუშავეს, შესწავლილი თემა კი განახორციელეს პრაქტიკაში და მოახდინეს ცოდნის ტრანსფერი.

მოსწავლეების ნამუშევრებს თავი მოვუყარე და **ჯადოსნური**

ამბების ელექტრონული წიგნი შევქმენი.

შეგიძლიათ, ისიამოვნოთ კეთილი და ჯადოსნური ამბების კითხვით.

გადავწყვიტე, მოსწავლეებისთვის მიმეცა ისეთი დავალება, რომელიც მათ საშუალებას მისცემდა, გამოევლინათ თავიანთი შესაძლებლობები, განევითარებინათ შემოქმედებითი უნარჩვევები და შესწავლილი პრაქტიკაში განეხორციელებინათ.



თემურ სუყაშვილი

ენერჯაიზერები ონლაინ-გაკვეთილებისთვის

ენერჯაიზერებს სხვადასხვა დანიშნულება აქვს. მათი გამოყენების მიზანი შეიძლება იყოს ტრენინგის მონაწილეების/მოსწავლეების ერთმანეთთან დაახლოება, გაცნობა, დაძაბულობის მოხსნა, შეხვედრისთვის/გაკვეთილისთვის განწყობისა და მზაობის ამაღლება, გუნდის შეკვრა/შეკავშირება, კრეატიულობის წახალისება და სხვა.

ჩვენ, ზრდასრულები, ტრენინგებზე დიდი სიამოვნებით ვერთვებით ტრენერების/მწვრთნელების მიერ შემოთავაზებულ სახალისო აქტივობებში. რა გასაკვირია, რომ ახალგაზრდებსაც ძალიან უყვართ ენერჯაიზერები.

დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის კვალდაკვალ საჭირო გახდა ონლაინრეჟიმისთვის შესაფერისი სახალისო აქტივობების მოძიება. გთავაზობთ რამდენიმე მარტივ აქტივობას, რომლებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ დისტანციური სწავლებისას სხვადასხვა მიზნით, როგორც გაკვეთილის დასაწყისში, ისე შუაში და ბოლოს. სავარჯიშო შეიძლება გაგრძელდეს ხუთ წუთს ან მეტ ხანს.

1. „ვინ იქნება პირველი“

შეხვედრის დასაწყისში მოსწავლეებმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოაგროვონ სურათზე მოცემული ნივთები და ეკრანთან მოიტანონ.

ეს აქტივობა მარტივი, განწყობის ასამაღლებელი ენერჯაიზერების კატეგორიას მიეკუთვნება. შეგიძლიათ, სურვილისამებრ შეადგინოთ ახალი

ენერჯაიზერების გამოყენების მიზანი შეიძლება იყოს ტრენინგის მონაწილეების/მოსწავლეების ერთმანეთთან დაახლოება, გაცნობა, დაძაბულობის მოხსნა, შეხვედრისთვის/გაკვეთილისთვის განწყობისა და მზაობის ამაღლება, გუნდის შეკვრა/შეკავშირება, კრეატიულობის წახალისება.



რაც შეიძლება სწრაფად მოაგროვეთ ჩამოთვლილი ნივთები თქვენს სახლებში და მოიტანეთ ეკრანთან

ჩამონათვალი. თუ მოსწავლეები სოფელში იმყოფებიან, დაუმატეთ ისეთი ნივთები, რომელთა მოსაძიებლადაც გარეთ გასვლა მოუწევთ.

აქტივობის დასრულების შემდეგ ბევრს იხალისებთ. პირადი პრაქტიკიდან გაგიზიარებთ ჩემივე მოსწავლის ბებიის ფრაზას: „ეს ტაფის თავსახური რატომ მიგაქვს გაკვეთილზე?!“

2. ეს კი წინა ენერჯაიზერის ერთგვარი ვარიაციაა:

სთხოვეთ მოსწავლეებს, გადახედონ ნივთებს თავიანთ გარშემო (მაგალითად, იმას, რაც სამუშაო მაგიდაზე დევს), აირჩიონ ერთი მათგანი და აჩვენონ თანაკლასელებს. მას შემდეგ, რაც ყველა აარჩევს ნივთს, დაუსვით მათ შემდეგი კითხვები:

- რა კავშირი აქვს შენთან არჩეულ ნივთს?
- რითია ის შენთვის მნიშვნელოვანი?

მოსაფიქრებლად მიეცით 30 წამი.

3. ანბანი

სთხოვეთ მოსწავლეებს, რიგრიგობით ჩამოწერონ სასაუბროში/ჩატში ანბანი ორი წესის დაცვით:

- წინასწარ არ უთანხმდებიან ერთმანეთს, რომელ ასო-ბგერას დაწერენ და არც ჩამოწერის დროს აქვთ ერთმანეთთან კომუნიკაცია;
- ორმა მოსწავლემ ერთდროულად ერთი და იგივე ასო-ბგერა არ უნდა დაწეროს.

როგორც წესი, ორივე ცდაზე ხდება ასო-ბგერების განმეორება ან თანამიმდევრობის დარღვევა. ამის შემდეგ ნება დართეთ, წესებზე თავად შეთანხმდნენ. აუცილებლად გამოჩნდება ინიციატორი, რომელიც თანაკლასელებს შესთავაზებს გარკვეულ წესს/წესებს, რომელთა მიხედვითაც ჩამოწერენ ანბანს.

აქტივობის დასასრულს, რეფლექსიისთვის, შეგიძლიათ დაუსვათ შემდეგი შეკითხვები:

- რატომ ვერ მოახერხეთ ანბანის უშეცდომოდ ჩამოწერა პირველ და მეორე ცდაზე?
- რატომ გამოგივიდათ მესამე ცდაზე?
- რა მნიშვნელობა აქვს წესებზე შეთანხმებას?

ეს აქტივობა რამდენჯერმე გამოვიყენე. ერთ-ერთ გაკვეთილზე, მესამე ცდის წინ, მოსწავლემ თანაკლასელების სახელების ჩამოთვლა დაიწყო. ვის სახელსაც კითხულობდა, ის წერდა სასაუბროში შესაბამის ასო-ბგერას. ამ მიდგომით მათ ანბანის უშეცდომოდ ჩამოწერა შეძლეს.

4. „თქვენ არ იცით, რომ მე...“

ამ ენერჯაიზერისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ Padlet ან სხვა ვირტუალური დაფა. თითოეული მოსწავლე სახელის მიუთითებლად წერს დაფაზე წინადადებას: „თქვენ არ იცით, რომ მე...“

როდესაც წერას დაასრულებენ, იწყება წინადადებების ავტორთა გამოცნობის სახალისო პროცესი.

5. „ორი სიმართლე და ერთი ტყუილი“

მოსწავლეები, ამჯერად უკვე სახელის მითითებით, წერენ padlet-ის დაფაზე სამ წინადადებას, რომელთაგან ორი სიმართლეა, ერთი – ტყუილი, მერე კი ერთად ცდილობენ, ამოიცნონ, ვინ რა მოიტყუა.

ვირტუალურ დაფაზე განთავსებულ პოსტებს პარამეტრებიდან ჩაურთეთ კომენტარების ფუნქცია. მოსწავლეები ნახულობენ თანაკლასელების პოსტებს და კომენტარებში წერენ, რომელი წინადადებაა ტყუილი.

შემოიტანეთ შეჯიბრებითობის ელემენტი. გამარჯვებულად დაასახელეთ ის მოსწავლე, რომელიც ყველაზე მეტ მცდარ წინადადებას გამოიცნობს.

6. „სამი სიტყვა“

ეს აქტივობა შესანიშნავად ავარჯიშებს სხარტი აზროვნების უნარს. მოსწავლეებთან ერთად შეარჩიეთ ნებისმიერი თემა. მაგალითად, მოგზაურობა. თითოეული მოსწავლე სასაუბროში რაც შეიძლება სწრაფად წერს სამ სიტყვას ამ თემის შესახებ. **მნიშვნელოვანია, რომ სხვის მიერ დაწერილი სიტყვები არ გაიმეორონ.** ერთმა მოსწავლემ შესაძლოა დაწეროს: „ზურგჩანთა, კარავი, ბილიკი“; მეორემ – „მთა, ფოტოაპარატი, ხელჯოხი“ და ა.შ.

ეს ენერჯაიზერი შეგიძლიათ დაუკავშიროთ შესწავლილ ან შესასწავლ თემას. ეს ერთგვარი გონებრივი იერიში და წინარე ცოდნის შემოწმებაც იქნება.

გასაკვირი არ არის, რომ ახალგაზრდებს ძალიან უყვართ ენერჯაიზერები. დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის კვალდაკვალ კი საჭირო გახდა ონლაინრეჟიმისთვის შესაფერისი სახალისო აქტივობების მოძიება.

7. გაკვეთილის გახსნა/დაწყება ზოგადი კითხვებით

ნებისმიერი გაკვეთილის დასაწყისში ეკრანის გაზიარებით გამოიტანეთ სლაიდი ან ვორდის დოკუმენტი შემდეგი კითხვებით:

- რას ეტყოდით დედამიწის ყველა მცხოვრებს, მათთვის შეტყობინების გაგზავნა რომ შეგეძლოთ?
- რას ნიშნავს თქვენთვის სიტყვა „წარმატება“?
- როგორ აღიქვამს საზოგადოება წარმატებას?
- წარმოიდგინეთ, რომ მაღაზიაში ხუთი წუთის განმავლობაში ესაუბრებით სრულიად უცნობ ადამიანს. რას იტყოდა თქვენზე ეს უცნობი? რას ეტყოდით თქვენ შესახებ ამ ადამიანს?

კითხვები შეგიძლიათ თვითონვე მოიფიქროთ. შეიძლება შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული კითხვების დასმაც. მაგალითად, თუ ადამიანის უფლებებზე საუბრობთ, შეგიძლიათ, დაუსვათ მოსწავლეებს შემდეგი კითხვები:

- რომელი სამი უფლებაა შენთვის მნიშვნელოვანი?
- ადამიანის რომელი უფლება ირღვევა ყველაზე ხშირად თემში?

8. რა გვაქვს საერთო?

გაკვეთილის დასაწყისში დაყავით მოსწავლეები სამკაციან ჯგუფებად და თიმისის **breakout ოთახებში** გაანაწილეთ. სთხოვეთ, ხუთი წუთის განმავლობაში ვირტუალურ დაფაზე ან საკუთარ ჩატში ჩამოწერონ საერთო ინტერესის საგანი (მაგალითად, შეიძლება, სამივე მოსწავლეს მოსწონდეს ერთი და იგივე წიგნი). 3-5 წუთის შემდეგ დახურეთ ჯგუფები და მოსწავლეები დააბრუნეთ საერთო სივრცეში, სადაც ერთმანეთს გაუზიარებენ შეთანხმებულ საერთო ინტერესის სფეროებს.

9. მარტივი გამოცანა

ა) რა ციფრი უნდა ეწეროს ბოლო სამკუთხედში?



პასუხი: 3

ამ ტიპის გამოცანები მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, დაფიქრდნენ გამოცნობის სხვადასხვა ხერხზე.

ბ) რა მიმართულებით მიდის სურათზე გამოსახული ავტობუსი?



პასუხი: **მარჯვნივ ან მარცხნივ**

გ) სად არის შეცდომა?

პასუხი: **პირველ რიგში, მარჯვნივ, 5-მდე წერია ციფრი 6.**

10. „დროის მანქანა“

ჰკითხეთ მოსწავლეებს, დროში მოგზაურობა რომ შეეძლოთ, რომელ საუკუნეს აირჩევდნენ სამოგზაუროდ? სად წავიდოდნენ და რატომ? ვისთან შეხვედრას ისურვებდნენ?

ნუ იდარდებთ, თუ ეს აქტივობა გათვალისწინებულზე მეტ დროს წაგართმევთ.

დისტანციური სწავლება ისედაც სტრესთანაა დაკავშირებული. თანაკლასელების მონატრება, დაძაბული ფონი, ტექნიკური ხასიათის და სხვა პრობლემები ახალგაზრდებზე უარყოფით გავლენას ახდენს. ასეთი მიდგომით მოსწავლეებს შეუქმნით დამატებით მოტივაციას, დაესწრონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასწავლო პროცესში. **აუცილებლად შესთავაზეთ მათ, თვითონვე მოიფიქრონ სახალისო/შემეცნებითი სავარჯიშოები და მომდევნო შეხვედრებისთვის მოამზადონ.**

წყაროები:

1. ახალგაზრდული ორგანიზაცია „მზიანი სახლი“
2. https://symondsresearch.com/icebreakers-for-online-teaching/
3. https://sharpbrains.com/brainteasers/

მაკა სახურია

როგორი არ უნდა იყოს ლიტერატურის მასწავლებელი

ჯონ აპდაიკის მოთხრობის მიხედვით

აბსურდულია მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება საზეპიროების მოთხოვნით, ანალიტიკური უნარების ფაქტობრივი ცოდნით ჩანაცვლება, რაც არაფრის მომცემია მათი განვითარებისთვის და, ამასთანავე, უინტერესო მოსასმენია, განსაკუთრებით – მხატვრული ლიტერატურის სწავლებისას.

დისტანციურმა სწავლებამ და ტელესკოლის პროექტმა უამრავი საფიქრალიც გაგვიჩინა, ფერადი ამბებითაც გაამდიდრა ჩვენი საგანმანათლებლო სივრცე, ბევრი უკმაყოფილება და პრეტენზიაც გაჩნდა, როგორც ხდება ხოლმე ყოველი ცოცხალი და მასშტაბური პროექტის ფარგლებში და მაინც...

ტელესკოლა არის და დარჩება ჩვენი განათლების აქტუალურ და სასარგებლო პროდუქტად.

ტელესკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფს ჰყავს არაჩვეულებრივი ლექტორი გია მურღულია, რომელიც, გარდა საინტერესო ლექციებისა, მრავალფეროვან რესურსებსაც გვიზიარებს ხოლმე. მის პროექტებს შორის უაღრესად აქტუალურია „მცირე პროზის“ სერიით მომზადებული მსოფლიო მწერლობის რჩეული მოთხრობების კრებული, თანდართული ავტორთა ბიოგრაფიებითა და გონებამახვილური გზამკვლევებით. ბატონი გია ტელესკოლის ჯგუფში თითქმის ყოველდღე დებს მოთხრობებს. ქართულის მასწავლებლებს ვურჩევ, ეს რესურსი აქტიურად გამოიყენონ, რადგან რამდენჯერაც მოვსინჯე ჩემს მოსწავლეებთან ამ მოთხრობების განხილვა, ინტერესმა მოლოდინს ყოველთვის გადააჭარბა. ბატონ გიას საგანგებოდ აქვს შერჩეული ტექსტები, რომლებიც ფიქრის, თანაგანცდის, ძიების, ტექსტზე დაკვირვებისა და ლიტერატურული კვლევის იმპულსს აღძრავს.

ამჯერად ყურადღებას შევაჩერებ ამ სერიის ერთ ნაწარმოებზე – XX-XXI საუკუნეების ამერიკული ლიტერატურის კლასიკოსის ჯონ აპდაიკის მოთხრობაზე „ხვალ, ხვალ და კიდევ ხვალ“.

მოთხრობის ფაბულა ასეთია: პროფესორი მარკ პროსერი ამერიკული კოლეჯის მეთერთმეტე კლასის ლიტერატურის მასწავლებელია. მიუხედავად იმისა, რომ უკვე მესამე წელია, ასწავლის, მოზარდებისა მაინც ვერაფერი გაუგია, აშფოთებს მათი უმართავი ქცევა და უმწეოა მათ წინაშე. „რა ეგენი და რა მგრძნობიარე ცხოველები. ჰაერის პატარა ცვალებადობა და უკვე კარგი ბარომეტრივით არიან მომართულები“, – ფიქრობს ის. მაგალითად, ბრუტ იანგსა და ბარი სნაიდერს ლიტერატურის გაკვეთილი და პროფესორი პროსერი სულაც არ ანაღვლებთ. ხმაურით შედიან კლასში. ბრუტი სკოლის ყოჩია, ხოლო პატარა ბარის მასთან სიახლოვე და საიდუმლოს გაზიარება ეამაყება, შექსპირის პიესისთვის სულაც არ სცხელა. მასწავლებელი ამჩნევს, რომ საუკეთესო მოსწავლის, ჯეფრი ლანგერის პერანგი ვიღაცას დაუთრევია. ჯეფრი მუდამ მლიქვნელობს, მასწავლებლის კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობს. მასწავლებელს ყურადღება გლორია ანგსტორმისკენ აქვს გაფაციცებული და ფიქრობს, ნეტავი დღესაც უსახელო მოვარდისფრო-ქარვისფერი სვიტერით მოვაო? უცნაურია, მაგრამ მასწავლებლის მეხსიერებას არ შორდება გოგონას „ნატიფი, სალუქი მკლავები, რომლებიც მისთვის ისეთივე ვნების აღმძვრელია, როგორც სიყვარულით მთვრალი ნებიერი ქალის სხეული“. აი, გამოჩნდა კიდეც საოცნებო სვიტერი, მაგრამ გოგონას მთელი ყურადღება წითური პიტერ ფორსტერისკენ მიუპყრია, რომელიც თავგამოდებით ცდილობს მის გაცინებას და გამოსდის კიდეც, რაც მასწავლებელს ამ ბიჭის წინააღმდეგ განაწყობს. მწერალი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მარკს თავად წაბლისფერი თმა ჰქონდა და წითური კაცები ყოველთვის სძულდა. მასწავლებელმა ბიჭზე იმით იძია შური, რომ შექსპირის „მაკბეტის“ შესახებ პირველი კითხვა მას დაუსვა: „იქნებ აგეხსნათ ამ სიტყვების ზუსტი

მნიშვნელობა - „ხვალე ხვალს მოსდევს და წვრილ ნაბიჯით დღე დღის უკან მიიზლაზნება!“ პიტერი გონებამახვილი ბიჭი იყო, მაგრამ მასწავლებელმა მისი მსჯელობა გააბიაბრუა.

პროსერის პრობლემას ავტორი ასე გადმოსცემს: „რამდენჯერ მიუხარებიათ მისთვის კოლეგებს – ბავშვები მასხრად გიგდებენ და შენი გულმავიწყობით

მარჯვედ სარგებლობენო“. მასწავლებელმა, ნაცვლად იმისა, რომ „მაკბეტიდან“ მოსწავლეებისთვის გაუგებარი საკითხები აეხსნა და დისკუსია გაემართა, დაიწყო ზოგადი მსჯელობა შექსპირის შემოქმედების შესახებ და მის სხვა ნაწარმოებს მიადგა. „შექსპირის ბოლო პიესა მეტად უჩვეულოა. ჩვენ მას „ქარიშხლის“ სახელწოდებით ვიცნობთ. შემდეგი სემინარი ათ მაისსა გვაქვს. იქნებ ზოგი დაინტერესდეს და წაიკითხოს. პიესა დიდი არაა“, – გამოაცხადა უგულოდ. მან არ იცოდა, რა უნდა ეკეთებინა დარჩენილ დროში. ამ დროს ერთი გოგონა პომადას ისვამდა, კლასი განცხრომაში იყო, ბარი სნაიდერი დაფასთან მაიმუნობდა, პოლონელ სიჯეკს, ღამის ცვლაში ნამუშევარსა და გამოუძინებელს, ბოლო მერხზე ეძინა. უფუნქციოდ დარჩენილი მასწავლებელი ისევ წითურს მიუბრუნდა, რომელიც გულწრფელად გამოუტყდა, რომ მონოლოგი ვერ გაიგო და მისი ახსნა სთხოვა. მარკმა კი მიუგო, რომ პასუხი თავადაც არ ჰქონდა და ახსნას პიტერისგან მოელოდა. კლასში მასწავლებლის უვიცობით გამოწვეული დამცინავი კმაყოფილება გაკრთა. უადგილო იყო მასწავლებლის სიტყვები: „პოეზია არითმეტიკა არ არის. აქ ვერცერთ ზუსტ პასუხს ვერ ნახავთ. არ მინდა, საკუთარი აზრები თავს მოგახვიოთ. ამისათვის როდი ვარ აქ!“

„მაშ, რისთვისა ხარ?“ – თითქოს თავისთავად ისმოდა ეს კითხვა.

მასწავლებელმა იეღოვას მოწმე ტერეზას მიმართა კითხვით. გოგონამ უპასუხა, რომ მაკბეტის მონოლოგი ღრუბლების ჩრდილს აგონებდა. მლიქვნელმა ჯეფრი ლანგერმა ტერეზას დასცინა. მასწავლებელს რეაქცია არ ჰქონია. ის მიუბრუნდა გლორია ანგსტორმს, რომლისთვისაც არადამაჯერებელი იყო შექსპირის გმირი. გოგონას უკვირდა, როგორ შეეძლო ომის ქარცეცხლში გახვეულ დაქვრივებულ დედოფალს არტისტული მონოლოგების წარმოთქმა, რაზეც პროსერს ისევ არ ჰქონდა პასუხი. მოცემულ ეპიზოდში ნათლად ჩანს მასწავლებლის კომპლექსები და მისი გროტესკული მდგომარეობა: „მარკს თითქოს ბზიკმა უკბინაო, ისე შეხტა. რა საშინელი სიცხადით ხედავდნენ ახლა მას მოსწავლეები, რა სასაცილო იყო მათ თვალში – ცარციანი ხელები, მასიურსათვალიანი ოფოფა, „ლიტერატურით“ გასივებული თავისი თავი ნათლად დაუდგა თვალწინ... მიხვდა, ბავშვებმა დიდსულოვნად შეიბრალეს. ო, რა აუტანელი იყო მათი სიკეთე, რა შიშისმომგვრელი – მათი თავშეკავება, რწმენა. მაინც როგორ მოითმინეს და კლასიდან სიცილით არ მიაბრძანეს!“

უფუნქციოდ დარჩენილმა მასწავლებელმა საზეპირო გამოჰკითხა ბერნარდ ემილსონს, რომელსაც ცუდი მეტყველება ჰქონდა, მაგრამ პროსერი მაინც ფრიადებს უწერდა, რაც ბავშვების თვალში მის ობიექტურობას ეჭვქვეშ აყენებდა.

უცებ მასწავლებელმა შეამჩნია, რომ გლორია ანგსტორმი პიტერ ფორსტერს წერილს აწვდიდა, გოგონას ნაზი მაჯა დაუჭირა და წერილი წაართვა. „მე მგონი, ცდები. ბატონი პროსერი შესანიშნავი კაცია და საინტერესო რაღაცებსაც გვასწავლის. პოეზია ხომ ნეტარებაა მისთვის. იცი, მიყვარს, გეუბნები, მართლა მიყვარს, კი, ასეა“, – წერდა გლორია. მარკმა წერილი ჯიბეში ჩაიდო და გოგონას გაკვეთილების შემდეგ დარჩენა სთხოვა. პროსერმა გლორია სისულელეში დაადანაშაულა, ხოლო მასწავლებლისადმი მის სიყვარულთან დაკავშირებით წარმოთქვა უადგილო ტირადა სიტყვა „სიყვარულის“ გაუფასურებაზე. ის გლორიას გამოუტყდა, რომ მის ასაკში ჯეფრი ლანგერს ჰგავდა, რაც დაუჯერებელი იყო გოგონასთვის. გლორია ტიროდა.

გოგონას წასვლის შემდეგ პროსერმა ფიზკულტურის მასწავლებელ დეივ სტრანქისგან შეიტყო, რომ გლორია მერკ მერჩინსონზე იყო შეყვარებული. ამ ამბავმა პროსერი გაღიზიანა, დეივს უთხრა, რომ ქალაქში ცოლი ელოდებოდა და თავიდან მოიშორა. დარწმუნებული იყო, რომ გლორია ანგსტორმს მასზე გულწრფელად ეტირებოდა.

მართალია, მოთხრობის ფაბულის გადმოცემა გაგვიგრძელდა, მაგრამ შევეცადეთ, საგანგებოდ გამოგვეკვეთა დეტალები, რომელშიც ნათლად იკითხება მასწავლებლის „არამასწავლებლური“ ქცევა:

1. მარკ პროსერი ვერ ახერხებს კლასში თანამშრომლობასა და კეთილგანწყობაზე და-

საგნობრივი კომპეტენციის ფლობა უცილობლად ითვალისწინებს მასალის გასაგებად ახსნისა და გადაცემის კომპლექსურ უნარებს. მასწავლებელს ეფექტურად უნდა შეეძლოს სასწავლო მასალის გადამუშავება და მიწოდება, უნდა ახერხებდეს ცოდნის რეფლექსირებას, ინდუქციას და დედუქციას.

ფუძნებული გარემოს შექმნას. მას არ ესმის თავისი მოსწავლეებისა, სრულიად გაუცხოებულია.

2. მასწავლებელს აკლია ტოლერანტობა და ჰუმანიზმი, აღიზიანებს განსხვავებული ადამიანები. თავად წაბლისფერთმიანია და წითურები სძულს, რაც ნებისმიერი პროფესიის ადამიანისგან მიუღებელია, ხოლო მასწავლებლისგან – კატეგორიულად დაუშვებელი. ავტორი ხაზს უსვამს განსხვავებული რელიგიური მრწამსის მოსწავლის მიმართ შეუფარავ ბულინგს, რომელზეც მასწავლებელს რეაქცია არ ჰქონია.
3. დანაშაულებრივია მასწავლებლის სექსუალური ლტოლვა მოსწავლისადმი. პედოფილია უმძიმესი დანაშაულია.
4. მასწავლებელს, გარდა ღირებულებების დევალვაციისა, პედაგოგიური კომპეტენციის პრობლემაც აქვს – გაკვეთილის არაორგანიზებულობა და დაუგეგმავობა მოსწავლეების თვალში მის კომპრომეტაციას იწვევს, ხოლო როცა მოსწავლეთა ნდობა იკარგება, მასწავლებელი სრულიად ამოვარდნილია სწავლა-სწავლების პოზიტიური კონტექსტიდან.
5. ვფიქრობ, მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი თვისება უნდა იყოს გაკვეთილის დინამიკურად წარმართვისა და ლიდერობის უნარი, რაც მარკ პროსერს არ გააჩნია.
6. საგნობრივი კომპეტენციის ფლობა უცილობლად ითვალისწინებს მასალის გასაგებად ახსნისა და გადაცემის კომპლექსურ უნარებს. მასწავლებელს ეფექტურად უნდა შეეძლოს სასწავლო მასალის გადამუშავება და მიწოდება, უნდა ახერხებდეს ცოდნის რეფლექსირებას, ინდუქციას და დედუქციას, რათა შესასწავლი თემა მრავალმხრივ დაანახოს მოსწავლეებს, ჩვენი გმირის შემთხვევაში კი ვხედავთ, რომ ზოგადი, უსაგნო მსჯელობა და მასალის აუხსნელად მიცემა მასაც და კლასსაც ცუდ მდგომარეობაში აყენებს.
7. შესაძლოა, ის კარგი ლიტერატორი იყოს და საკმარისზე მეტი ცოდნაც ჰქონდეს, მაგრამ უვიცივით იქცევა, რადგან მოსწავლეთა არცერთ კითხვაზე პასუხი არ აქვს, ბავშვებს კითხვას უბრუნებს და ლიტერატურის ბუნებაზე მორალისტური შეგონებებით შემოიფარგლება.
8. ასევე აბსურდულია მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება საზეპიროების მოთხოვნით, ანალიტიკური უნარების ფაქტობრივი ცოდნით ჩანაცვლება, რაც არაფრის მომცემია მათი განვითარებისთვის და, ამასთანავე, უინტერესო მოსასმენია, განსაკუთრებით – მხატვრული ლიტერატურის სწავლებისას.
9. პროსერის მორიგი აქილევსის ქუსლია შეფასება, რადგან არაადეკვატური და არაობიექტური შეფასების ერთი მაგალითიც კი სერიოზულად აზიანებს მასწავლებლის რეპუტაციას, მისდამი მოსწავლეთა ნდობას. ის ვერც გამოსადეგ განმავითარებელ შეფასებას სთავაზობს მოსწავლეებს და მისი დაწერილი ქულაც კითხვებს ბადებს. ჯონ აპდაიკი უაღრესად საინტერესო და მარად თანამედროვე მწერალია. ის ღრმად სწვდება პერსონაჟის ფსიქოპორტრეტს, დამაჯერებლად ახერხებს პროტაგონისტის უღრმესი სულიერი ძვრების დემონსტრირებას მკითხველის წინაშე. მისთვის დამახასიათებელია რეალობის შეულამაზებლად წარმოჩენა, ადამიანური ვნებების კრიტიკული აღქმა, შეფარული ირონია ადამიანის ცოდვილი ბუნების წარმოჩენისას. ის არ ცდილობს, შექმნას მითი თანამედროვე ადამიანის ანგელოზურ ბუნებაზე და მკითხველი სინამდვილის რომანტიზებით მოატყუოს. მისი გმირებისთვის უცხო არ არის დაცემა, ტკივილი, სინანული, სულიერი მსხვრევა, რასაც მკითხველი უაღრესად შთამბეჭდავ და დამაფიქრებელ მორალურ განსჯასთან მიჰყავს. მწერალი იდეალურს კი არ აჩვენებს, არამედ იმას, რაც არც ისე ჰარმონიულია და სწორედ ამით გვასწავლის სწორ ღირებულებებს. ეს მოთხრობა ნიმუშია იმისა, როგორი არ უნდა იყოს ლიტერატურის მასწავლებელი. მარკ პროსერი დაუვიწყარი სახე-სიმბოლოა.

ჩემს უფროსკლასელ მოსწავლეებს კი ვურჩევ, წაიკითხონ ჯონ აპდაიკის ავტობიოგრაფიული ტეტრალოგია „ბაჭია, გაიქეცი“, რომელიც მოიცავს ადამიანური ყოფის ყველა წახნაგსა და მიმართულებას, უბრალოდ, ცხოვრების გზის ზოგადადამიანური მოდელის საუკეთესო ლიტერატურული ილუსტრაციაა.

www.mastsavlebeli.ge

www.mastsavlebeli.ge

გურამ მეგრელიშვილი

„არავინ ურტყამს მკვდარ ძაღლს“

ერთხელ მოხდა ისე, რომ ჩემმა მოსწავლემ კლასის წინაშე აღიარა: სკოლაში გამუდმებით ამცირებდნენ და შეურაცხყოფდნენ.

ბიჭი ძალიან გონიერია, შესანიშნავად აღზრდილი, თავაზიანი და სრულიად უკონფლიქტო. და მაინც, შევატყვე, რომ ჩემს გაკვეთილზეც რაღაცნაირად ათვალწუნებული და გარიყული ჰყავდათ ბავშვებს. განსაკუთრებით აღიზიანებდათ, რომ მას 13 წლის ასაკში ერთნაირად შეეძლო ელაპარაკა მეორე მსოფლიო ომზეც და ნარუტოზეც (მასაში კიმიმოტოს მანგაზე, რომლის მიხედვითაც პოპულარული ანიმე-სერიალია გადაღებული), მოცარტზეც და ემინემზეც, კულინარიაზეც და მისი ასაკისთვის შეუფერებელ წიგნებზეც, რომლებიც უკვე წაკითხული ჰქონდა.

ეს გაღიზიანება ფარული, მაგრამ ჩემთვის შესამჩნევი იყო და რაკი ყოველთვის ვცდილობ, ვაჩვენო მოსწავლეებს საკუთარი პრობლემების მოგვარების გზა, შეგონებებისა და გარეგნული ჩარევის გარეშე ვცდილობდი, დავხმარებოდი ბავშვს იმ პრობლემის მოგვარებაში, რომელიც ძალიან, ძალიან აწუხებდა.

მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ძალით ვერასოდეს შეაყვარებ ჯგუფს ინდივიდს, რომელსაც ხშირად უმნიშვნელო მიზეზის გამო მოიძულებენ ხოლმე. ასეთ დროს მხოლოდ შემთხვევა თუ იქნება კლდის ის ნატეხი, რომელზეც პრობლემა შუშის ნაკეთობასავით უნდა დაიმსხვრეს. თანაც რაღაცნაირად ვამჩნევდი, რომ ჩემი გონიერი მოსწავლის ხასიათშიც იყო უცნაური ზადი თუ პრობლემა, რომელსაც ის ვერ უმკლავდებოდა და საკუთარ თავსაც თრგუნავდა და გარშემო მყოფებსაც აღიზიანებდა.

და აი, ერთ გაკვეთილზე მომეცა მიზეზი, მოსწავლეებთან ფრთხილად გამეშალა ჯგუფისა და ინდივიდის ღია თუ ფარული დაპირისპირების საკითხი.

სწორედ იმ დილით სამსახურისკენ მიმავალს Quora-მ დღის ფრაზა ამომიგდო. ფრაზა, რომელიც ამერიკელ ფსიქოლოგს, დეილ კარნეგის ეკუთვნის: „არავინ ურტყამს მკვდარ ძაღლს!“

„არავინ ურტყამს მკვდარ ძაღლს!“

რა გენიალური მიგნებაა, – ვფიქრობდი ის ოციოდე წუთი, სანამ სამსახურამდე მივიდოდი, ჩემს განუყრელ ჟურნალს გავხსნიდი და პირველ მოსწავლეს მივესალმებოდი.

„არავინ ურტყამს მკვდარ ძაღლს!“

შური, სხვისი უპირატესობის განცდა, საკუთარი ნაკლოვანებების დანახვა და ადამიანური ბუნება, რომ გვეცოდებოდეს დაჩაგრული, მაგრამ ვერ ავიტანოთ ჩვენზე უკეთესი – აი, რა იდგა ამ გენიალური გამოთქმის უკან.

განა სხვა რა მიზეზი ჰქონდათ ქართველებს, ილია ჭავჭავაძის სიკვდილს რომ ელოდნენ დღენიადაგ (შესანიშნავად აქვს ეს საკითხი განხილული როსტომ ჩხეიძეს)? ან ამერიკელებს, ქუჩაში მიმავალ ჯორჯ ვაშინგტონს რომ ხმამაღლა აგინებდნენ, აფურთხებდნენ და გაიძვერასა და ქურდს ეძახდნენ? ან საზღვაო აკადემიის ბრიტანელ მოსწავლეებს, პრინცი ჩარლზი რომ ეცემათ სკოლაში, რათა მერე სატრაბახოდ ჰქონოდათ – მეფე მყავს ნაცემი ბავშვობაში, მეფეო.

ადამიანის ბუნება ხომ ასეა მოწყობილი: ხშირად, თვითგანვითარების ნაცვლად, ობიექტს ამოვირჩევთ ხოლმე, ვისაც ვლანძღავთ, განვიკითხავთ, განვიხილავთ, განვაქიქებთ და ვესვრით ტალახს ისეც კი, რომ მასთან გადაკვეთის წერტილიც არასოდეს გვქონია (ეს ბევრჯერ გამოუცდიათ ე.წ. public figure-ებს (ცნობილ ადამიანებს)).

დუაიტ იორკი, იელის უნივერსიტეტის პრეზიდენტი, თავის დროზე პრეზიდენტობის კანდიდატ თომას ჯეფერსონზე წერდა: „თუ ამ კაცს ავირჩევთ, ჩვენი ცოლები გახდებიან მეძავები, ბავშვები – ქურდები და ყაჩაღები, ეკონომიკა ჩამოიქცევა და ქვეყანა აღარ იქნება, რადგან ლიბერალიზმი წალეკავს ამერიკას“.

ელონ მასკის დედა იხსენებდა პერიოდს, როცა მისი შვილი საჯარო სკოლაში წასვლის წინ ცხარე ცრემლებით ტიროდა, რადგან სამხრეთ აფრიკაში, სადაც ის სწავლობდა, „მახინჯი იხვის ჭუჭული იყო“. კლასში ყველაზე პატარა ელონს მასწავლებლები „სულელ, მეოცნებე ბავშვს“ ეძახდნენ. არასტანდარტულად ფიქრისა და აზროვნებისთვის სკოლელები ათასგვარ განსაცდელს უწყობდნენ ბიჭს, რომელიც ამტკიცებდა, ერთ დღესაც მარსზე უნდა გავფრინდეო („მარსზე გაფრენა“ მისთვის ალბათ საშიში გარემოსგან მოწყვეტის სურვილი იყო). ემინემს, რომლის სახელიც ალბათ ყველას გაუგონია დედამიწაზე, სკოლის საპირფარეშოში იატაკზე აგორავებდნენ უფროსკლასელი ბიჭები, რადგან ის „ზანგებივით“ სიმღერას ბედავდა.

ახლა ეს ხალხი ერთსაც და მეორესაც ტაშს უკრავს. მასკი მართლაც გაფრინდა მარსზე, ემინემი კი ყველა აფროამერიკელ რეპერზე ცნობილი მომღერალია.

ადამიანური ბუნება ასეთია: სადაც თავისზე უკეთესს ნახავს, იქ უჭირს ტაშის დაკვრა. თუმცა ტაში მაინც გარდაუვალია სიმართლისა და შრომის წინაშე და ამის ნათელი მაგალითი არქტიკის ამერიკელი მკვლევარი რობერტ პირია, პირველმა რომ დადგა ფეხი დედამიწის უკიდურეს ჩრდილოეთში.

დასასრული 28-ე გვერდზე



ნასტასია არაბული

მომავლის უნარები

ერთ დღესაც ეს ყველაფერი დამთავრდება, ხანგრძლივი იზოლაციის შემდეგ ბავშვები სკოლებში დაბრუნდებიან ახალი გამოცდილებით, მნიშვნელოვანი ცოდნითა და დანაკლისით, გაზრდილები, დამფრთხალები და ალბათ ცოტა გაუცხოებულებიც, დაქვეითებული სოციალური უნარებითა და სურვილით, აინაზღაურონ ის, რაც დაკარგეს. თუკი უკან დაბრუნებულებს ისეთივე განათლების სისტემა დახვდებათ, როგორიც პანდემიამდე იყო, კიდევ უფრო რთული იქნება მოზარდების დაინტერესება არსებული პროგრამებით, სრულფასოვანი ჩართვა სასწავლო პროცესში და დარწმუნება, რომ ჩვენ მათი უკეთესი მომავლისთვის, კარგი განათლებისთვის ყველაფერს ვაკეთებთ, ძალისხმევას არ ვიშურებთ.

ამბობენ, როცა ეს ყველაფერი დამთავრდება, აღარაფერი იქნება ისე, როგორც მანამდე იყო – ეს მოლოდინი ალბათ გადაჭარბებულია. თუმცა უკვე, ცხადია, პანდემიის გამოცდილება დიდხანს იქნება ჩვენთან. თუკი შეიძლება შიშში გატარებული თვეებისა და ათასობით გარდაცვლილი ადამიანის შემდეგ რაიმე ჩაითვალოს პანდემიის სიკეთედ, შეიძლება იყო ის, რომ კარგად გამოჩნდა ცოდნის ფასი, პროფესიონალიზმის მნიშვნელობა და მეცნიერების საჭიროება. ცხადი გახდა ისიც, როგორ ინგრევა მყიფე სისტემა, ნადგურდება ავტორიტეტები და საზოგადოებებში იქმნება კრიზისი, როცა პრობლემის მოგვარების ნაცვლად მათ დამალვას ცდილობენ, სხვების გამოცდილებებს არ იზიარებენ და დიალოგის ნაცვლად სარკეში თავიანთ თავთან საუბარს არჩევენ. პანდემიამ, ერთი მხრივ, გლობალიზაციის გზაზე დამდგარი სამყარო ჩაკეტა, მეორე მხრივ კი, ყველა ერთი საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაგვაბა – ახლა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მცხოვრებთან გაცილებით მეტი რამ გვაერთიანებს, ვიდრე მანამდე: შეცვლილი ცხოვრების წესი, დაკარგული სამსახურები და ადამიანები, იზოლაცია, დისტანციური სწავლება, შიში და მომავლის იმედი – მეტ-ნაკლებად ყველა ამ მოლოდინით ვცხოვრობდით მთელი წლის განმავლობაში.

ფილოსოფიური დროა. კარგი შესაძლებლობა არსებულ სისტემებსა და მათი უკეთესი მოდელებით ჩანაცვლების გზებზე ფიქრისთვის. საზოგადოებებზე, მმართველებზე, სახელმწიფო მოწყობის ფორმებზე მსჯელობისა და პრიორიტეტების გადაწყობისთვის, სისუსტეების აღმოსაჩენად და გაძლიერების გზების მოსაძებნად. ან უფრო მარტივად, დრო გაჩერებისა და დაფიქრებისთვის – ოჯახის წევრებზე, მეგობრებზე, მანამდე უხილავ და უცნობ ადამიანებზე დასაკვირვებლად და იმის დასანახად, რასაც აქამდე ვერ ან არ ვხედავდით. ჩვენი შიშების, იმედების, მოლოდინისა და შესაძლებლობების უკეთ შესასწავლად და გამოსაყენებლად.

შორენა წერდა როგორ დავინახეთ მშობლებმა უკეთ ჩვენი შვილები და მათი საჭიროებები პანდემიის დროს. მეც ხშირად ამავეს ვგრძნობ. მეტიც, გაზაფხულზე, როცა პირველად მომიწია მეყურებინა იმისთვის, როგორი იყო ჩემი შვილის გაკვეთილები, სემესტრი სკოლის შეცვლით დავამთავრეთ. ცვლილება გამართლებული აღმოჩნდა. ახლა ის მეტად ერთვება გაკვეთილში, მეტად ინტერესდება და უკეთ იგებს მას. მეც უკვე ვიცი, რომ მარტო ბავშვის დატოვება ამ ასაკში მის „საქმეებთან" სასურველი კია, მაგრამ არ გამოდის და ვცდილობ, მეტად გავამხნევო, დავეხმარო, მხარი დავუჭირო, მოვუსმინო და ველაპარაკო იმაზე, რა მოსწონს და რა არა, რას იგებს და რას ვერა. ამ პროცესს სიამოვნებასთან ერთად დიდი სევდაც ახლავს თან. რაც უფრო უახლოვდები, უფრო ცხადია, როგორი აცდენაა ჩვენს სასწავლო პროგრამებსა და თანამედროვე ბავშვების ინტერესებს შორის, როგორი მწირია ბავშვებისთვის განკუთვნილი რესურსი, როგორ ვერ ვაძლევთ მათ იმ უნარებს, რაც ახლა, თუნდაც დისტანციური სწავლის პროცესში სჭირდებათ და რა მარტო ვართ ჩვენს საფიქრალთან.

ბავშვების ერთი ნაწილი ახლა უფრო დაუახლოვდა ტექნოლოგიებს, მეორე კი – საერთოდ დაშორდა სასწავლო პროცესს. როგორ ვაგრძელებთ მათთან ურთიერთობას პოსტპანდემიურ პერიოდში?

როგორ ვიცავთ ბავშვებს – რომლებმაც ინტერნეტში სერფინგს გემო გაუგეს და ახლა ინფორმაციის ზღვაში ცურავენ – იმ ათასგვარი საფრთხის, დეზინფორმაციისა და სიძულვილის ენისგან, ან სულაც მდარე კონტენტისგან, რომელსაც გზად ხვდებიან?

როგორ ვაპირებთ ემოციურად მოშიმშილე და დაქვეითებული სოციალური უნარების მქონე ბავშვების ჩვეულ რეჟიმში დაბრუნებას?

რა ვიცით მათი სურვილების, შიშების, მოლოდინების შესახებ?

ამ და სხვა შეკითხვებზე პასუხების მოსაძებნად არაერთი ჯგუფი მუშაობს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში, ტარდება კვლევები, ისახება გეგმები, იწერება სტრატეგიები, მსჯელობენ და ფიქრობენ. ჩვენ ამ პროცესის მილმა ვართ, განსაცდელთან მარტო დატოვებული ბავშვებით, მასწავლებლებითა და მშობლებით, მათი სიყოჩაღისა და ადაპტაციის უნარების იმედად. სიყოჩაღე და ადაპტაციის უნარი მათ მომავალშიც დაეხმარებათ, თუმცა სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებიც დასჭირდებათ გზის გასაკვლევად: ფუნდამენტური მეცნიერებების ცოდნა, პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის უნარი, მოკლე და გრძელვადიანი გეგმების დასახვა და მიყოლა, გლობალურ სივრცეში საკუთარი ადგილის პოვნა და საკუთარი მიკროსოციუმის კორექტირება, სწორი შეკითხვების დასმა და ამ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხების მიგნება, საკუთარ საჭიროებებზე ხმამაღლა ლაპარაკი, სხვების მოსმენა, გაგება და ამ ხმების გადაწყვეტილების მიმღებამდე მიტანა, შფოთვის მართვა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა, საქმეების განაწილება და სხვების შრომის დაფასება, მადლიერება და სიცოცხლის სიყვარული.

აი რა უნდა ვასწავლოთ ბავშვებს ახლა ან მერე მაინც, როცა ეს ყველაფერი დასრულდება.

„არავინ ურტყამს მკვდარ ძაღლს"

◁◁ 27-ე გვერდიდან

ამ ფეხის რვა თითი ყინვამ და გზამ შეიწირა, სხვა მეცნიერები და მკვლევრები კი, კაბინეტებში რომ ცუდ გათბობაზე წუწუნებდნენ, ამუნათებდნენ ამ საოცარ მკვლევარსა და ადამიანს, რომ მთელი მისი „მოგზაურობა" ერთი დიდი ბლეფი იყო – სანამ მთელ მსოფლიოს ეგონა, ჩრდილოეთ პოლუსისკენ ციგურებით მიმავალი რობერტი სიკვდილს ებრძვისო, ის შემოწირულობებს და სახელმწიფოს ფულს ჰავაის კუნძულებზე, მზეს მიფიცხებული ხარჯავდაო (რამდენიმე ათეული წლის შემდეგ არქტიკის კვლევამ დაადასტურა, რომ პირი ნამდვილად პირველი ადამიანი იყო, ვინც ამ მხარეში, თეთრ დათვებთან იმოგზაურა).

რობერტ პირის კოლეგებივით კაბინეტში რომ ემთქნარებინა და მხოლოდ ვარაუდები გამოეთქვა იმის თაობაზე, რა შეიძლება ყოფილიყო დედამიწის უკიდურეს ჩრდილოეთში, ალბათ იმ რვა თითსაც შეინარჩუნებდა და არც არავინ დაუწყებდა ლანძღვა-გინებას.

გაკვეთილი დილ კარნეგის ამ მართლაც მაგარი სიტყვებით დავიწყე: „არავინ ურტყამს მკვდარ ძაღლს". იცით, რატომ?"

და მერე ბევრი, ძალიან ბევრი ვილაპარაკე ჩემზე, მათზე, სხვებზე, ამ წერილის მკითხველებზეც. ვეცადე, ვყოფილიყავი გულწრფელი და გაკვეთილი რომ დამთავრდა, ჩემმა გონიერმა მოსწავლემ მადლობა გადამიხადა. სწორედ მაშინ თქვა ის, რაც თქვა – რომ სკოლაში, სადაც ის სწავლობდა, ათვალწუნებული ჰყავდათ ბავშვებსაც და მასწავლებლებსაც.

არ ვიცი, როგორ გაგრძელდება მისი და სხვა ბავშვების ურთიერთობა. რაღაც იმ ბიჭსაც მოსაგვარებელი აქვს (დაბალი თვითშეფასება). ჯგუფი და საზოგადოება ასე უცბად არ იცვლება, მაგრამ მაინც მგონია, რომ იმ ორსაათიან გაკვეთილზე კლდის ნატეხზე ერთი პატარა მინის ჭურჭელი მაინც დაიმსხვრა, რადგან მართლაც არასოდეს, არასოდეს „არავინ ურტყამს მკვდარ ძაღლს!" და თუ ამ წერილს რომელიმე გულგატეხილი მოსწავლე ან მასწავლებელი კითხულობს, ეს გენიალური გამოთქმაც დაიხსომოს.

რუსუდან რუხაძე

Tango Echo Alpha

ამ სამყაროში ორი ყაიდის ხალხია – ჩაით სავსე და ჩაისგან დაცლილი. მართალია, იაპონელებისთვის ეს ამბავი ჩაის სიყვარულზე მეტად ყოფიერების თავისებურებებზე უფრო მიანიშნებს, მაგრამ კაკუძო ოკაკურა „ჩაის წიგნში“ ამაზე ენას ტყუილად არ დაასველებდა. წაკითხვისთანავე მენიშნა, რომ ჩაის დიდ მოყვარულს არც ჩაი მაკლია. მართალია, მთლად ნართაული აღარ გამომივიდა, მაგრამ ჩემი საყვარელი წიგნის ხსენება საშესავლოდ მაინც გამომადგა.

ხანდახან მგონია, მას შემდეგ, რაც ჩემმა დიდმა ბებიამ ქეთლი შემოდგა ცეცხლზე, ჩაიდანი ჩვენს ოჯახში აღარ გაგრილებულა. ხშირად გვითქვამს, რომ ჩაის სიყვარული სწორედ მისგან გამოგვყვა და რადგან ერთმანეთისთვის გულიც სწორედ ჩაის სმისას გადაგვიშლია, ჩვევად შემომრჩა, სულ რომ მდუმარედ დავეწვიო დედას ჩაიზე, ბოლოს მაინც ვეტყვი – აი, ასეთი ამბები.

ძველებს ემახსოვრებათ, 1967 წელს, ერთ ნისლიან დღეს ინდირა განდი თბილისს მეორედ ეწვია. ის კი ცოტას თუ ეცოდინება, რომ აეროპორტში დაშვებამდე, ქალაქის თავზე შემოფრენისას, თვითმფრინავი კინაღამ სატელევიზიო ანძას დაეჯახა. მართალია, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა და დამნაშავე მხოლოდ ამინდი აღმოჩნდა, მაგრამ საპასუხისმგებლო რეისის მიღების შემდეგ დისპეტჩერის თარჯიმანმა სამსახური დატოვა. იმ დროს დედაჩემს ახალი დამთავრებული ჰქონდა „ინიაზი“, უცხო ენათა ინსტიტუტი. ჩემი დიდი პაპა კი აეროპორტში ტექნიკოსად მუშაობდა და შვილიშვილისთვის უთქვამს, თარჯიმნის ადგილი გათავისუფლდა და იქნებ შენც გეცადაო. დედამაც სცადა და არაერთი გამოცდის ჩაბარების შემდეგ 12-წლიანი თავგადასავალიც დაიწყო – ცას და მიწას შორის შუამავლობა. მაშინდელი საავიაციო ლექსიკონი ჩვენს საოჯახო ბიბლიოთეკაში ახლაც ინახება. წიგნს რადიოსატელეფონო ანბანიც ერთვის, სადაც ყველა ასოს კოდური სიტყვა აქვს მინიჭებული. რადგან ავიაციაში შეტყობინება ადრესატამდე შეუცდომლად უნდა მივიდეს, პილოტი და დისპეტჩერი ერთმანეთს, პირობითად, Gandhi-ის ნაცვლად ეტყვიან – Golf Alfa November Delta Hotel India.

გავიდა წლები, დედა უკვე გამოცდილი თარჯიმანი იყო, როდესაც ერთ-ერთი მორიგეობის დროს ინდოეთის ავიახაზების თვითმფრინავი მოფრინდა. ეთერის შემდეგ, საბაჟო პროცედურების გავლისას, ეკიპაჟის წევრები პირადად გაიცნო, დამშვიდობებისას კი ხომალდის მეთაურმა, გვარად სინგჰმ, ჩაი აჩუქა ყუთზე წარწერით – Golden Tea. როგორც მაშინდელი წესი მოითხოვდა, დედამ ძღვენის შესახებ აეროპორტის განსაკუთრებულ საქმეთა განყოფილებას აცნობა, რადგან ანგარიშის ჩაბარების გარეშე აეროპორტის ტერიტორიას ვერ დატოვებდა. კგბ-ს თანამშრომლებმა ჩაის ყუთი გახსნეს, საგანგებოდ დაათვალიერეს და რახან ბომბი ვერ აღმოაჩინეს, სახლში წაღების ნებაც დართეს. ეს ამბავი მოგვიანებით შევიტყვე. იმ გამორჩეული დღიდან მხოლოდ სამზარეულოში გაწლილი არომატული ჩაი მახსოვს, და კიდევ ჩემი ახალგაზრდა მშობლების აღტაცებული შეძახილები – აი, ჩაი! აი, ნამდვილი ჩაი! მაშინ უკვე მაგიდაზე ერთი თავით მაღალი ვიყავი და მომეტებული სიხარულის დაფარვაც ვიცოდი, მაგრამ იმ დღის მერე ჩაის ფოთოლი და აღმაფრენა ჩემთვის ერთმანეთს სამუდამოდ დაუკავშირდა. შუქიც კი, რომელიც ჩაის ეფინებოდა, სამზარეულოს სანათიდან კი არა, ციდან გადმოსული მეგონა. იქნებ იმიტომაც, რომ ოქროს ჩაიმ ჩვენამდე მოსაღწევად გრძელი, საჰაერო გზა გამოიარა.

ნამდვილ ჩაისთან ზიარების შემდეგ, ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა. ზაფხულის ქვემომერული არდადეგები, მაყვლის მურაბის მოდუღებასთან ერთად, ჩაის კრეფასაც გულისხმობდა. პლანტაციაში, როგორც წესი, საღამოს მივდიოდით. მართალია, მზე უკვე გადაწვერილი იყო, მაგრამ ჩალის ქუდებს თავმოსაწონად მაინც დავიხურავდით და რეზინის ჩექმებსაც ამოვიცვამდით. საქმე არჩევაზე იყო: ან საგანგებოდ შეკერილი დიდჯიბეებიანი წინსაფარი უნდა მოგერგო, ან წელზე გრძელი თავშალი შემოგეკრა, ბოლოები სათავეში ჩაგემაგრებინა და კალთის ტომსიკად გექცია. ჩაის პლანტაციებთან მიახლოებისთანავე, უფროსები გადაკრეფილ ბუჩქებს უმალ ამოიცნობდნენ და იმ მწკრივებზე მიგვანიშნებდნენ, სადაც ჯერ კიდევ შერჩენილი იყო ნორჩი ფოთლები. თუ უფროსებისგან განცალკევებით გსურდა ჩაის კრეფა, უხსენებლის დასაფრთხობად სტვენა აუცილებლად უნდა გცოდნოდა. იყვნენ ისეთი გაწაფულებიც, ვისაც სტვენასთან ერთად, სხვა მწკრივში გადასასვლელად ბუჩქზე გადაგორება რომ შეეძლო.

მთავარი პირობა იყო, მხოლოდ ოქროსფერი დუყები – ჩაის ბუჩქის უნაზესი წვეროები – დაგეკრიფა და დაძახებისთანავე ვერცხლისფერ ეკალიპტებთან გაჩენილიყავი. ბოლოს ყველას ნაშრომ-ნაჯაფარი ერთ გოდორში იყრიდა თავს და იმავე გზას ვადგებოდით, რომელსაც პლანტაციამდე მივყავდით. თუკი ქალები ლაპარაკის დროს შეყოვნდებოდნენ, ერთი მათგანი იმარჯვებდა, გოდორში ხელს ჩაყოფდა და ჩახურებულ ჩაის ამოაბრუნებდა. სახლში მისვლისთანავე ძველ გაზეთებს დიდ მაგიდაზე დავფენდით, დაკრეფილ ჩაის გავშლიდით და მთელი სახლი ნესტიანი ფოთლების სურნელით ივსებოდა. რამდენიმე დღეში უსიცოცხლო ფოთლების ახალი ცხოვრება იწყებოდა. მაგიდის ზედაპირზე ხელის გულებით ვსრესდით, ხის დაფებზე წვრილად ვჭრიდით და დაქუცმაცებულ ჩაის ისევ გაზეთებზე ვშლიდით. მართალია, გამოშრობამდე ხელის ხლება აღარ ეკუთვნოდა, მაგრამ ბევრჯერ დამიმარტოხელებია თავი, შავი ნამცეცები მუჭში მომიქცევია, თვალდახუჭულს დამიყნოსავს და კვალის დასაფარად ქაღალდზე ისევ თანაბრად გადამინაწილებია. აგვისტოს ბოლოს ოქროს ფოთლებით სავსე გოდორი ერთ მომცრო ყუთში ჩაეტეოდა და თბილისში დიდი პატივით წამოვიღებდით.

როდესაც იმერეთში ჩაის პლანტაციები ამოთხარეს, ცხოვრება ქალაქშიც შეიცვალა. ჩემი სახლის წინ ერთი ძველი საჩაიე იყო, სახელად „ლილი“. ვეღარ ვიხსენებ, ღამით ანათებდა თუ არა ტრაფარეტზე გამოსახული ასოები, მაგრამ ჩემს მეხსიერებაში წარწერას ლურჯი შუქი დაჰკრავს. საუკუნის დასაწყისში იქ უკვე აღარავინ შედიოდა. ცხადი იყო, რომ სულ მალე ძველმოდურ სივრცეს რომელიმე ბანკი, აფთიაქი ან პარფიუმერული მაღაზია დაეპატრონებოდა. მხოლოდ ერთხელ ვნახე – ვიტრინის მხარეს, მრგვალ მაგიდასთან ქალი დამჯდარიყო, ფეხები სკამის ქვეშ ჯვარედინად შეეკეცა, შუშის ჭიქით ჩაის სვამდა და ქუჩას გაჰყურებდა. ქალს თეთრი, არშიებიანი წინსაფარი ეკეთა და ბრტყელძირიანი ფეხსაცმელი ეცვა. არ ვიცი, რა წარმოისახა საჩაიეს ოფიციანტმა სანატრელ სტუმრად გარდასახვისას, მაგრამ ჩაი კი ნამდვილად დალია. რა თქმა უნდა, შემეძლო, მემარჩიელა და ისიც მომეთხრო, თუ რას ფიქრობდა ის ქალი მაშინ, მაგრამ, როგორც ჩანს, იმ ჩაიში ლიტერატურა არ ერია. ეს იყო კინო, დაუვიწყარი კინოკადრი, რადგან, ფრანსუა ტრიუფოსი არ იყოს, „ვერავის დაარწმუნებთ, რომ ქალი, რომელმაც ჩვენ თვალწინ დალია ჩაი, მხოლოდ წარმოიდგენს, რომ ჩაი დალია. ქალმა დალია ჩაი, მორჩა და დამთავრდა“.

P.S. **თუ თქვენ მაინც წარმოსახვებში მოგზაურობა და ღრუბლებში ფრენა გირჩევნიათ, სავარძელში მოკალათდით, უსაფრთხოების ღვედი შეიკარით და ბორტგამცილებელს სამი სიტყვა უთხარით: Tango Echo Alpha.**

ირმა კახურაშვილი

ის, რაც შვილებს აუცილებლად უნდა ვასწავლოთ

იუვალ ნოე ჰარარი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პოპულარული თანამედროვე მეცნიერი, ისტორიკოსი, სამეცნიერო ფორუმების გამორჩეული სპიკერი და ბესტსელერების ავტორია. 2004 წლიდან რეგულარულად გამოსცემს ნაშრომებს. თუმცა ნამდვილი პოპულარობა მისთვის 2014 წელს გამოცემულ „Sapiens: კაცობრიობის მოკლე ისტორიას“ მოაქვს, შემდეგ – 2016 წელს გამოცემულ „Homo Deus: ხვალინდელი დღის მოკლე ისტორიას“ და ბოლოს – 2018 წელს გამოქვეყნებულ წიგნს „21 გაკვეთილი XXI საუკუნისთვის“. ამ უკანასკნელში მწერალი-ფუტუროლოგი განათლების სფეროში არსებულ გამოწვევებზეც საუბრობს და გვირჩევს, რა და რატომ ვასწავლოთ ბავშვებს.

გაურკვეველ სამყაროში გარკვევა

იუვალ ნოე ჰარარი დარწმუნებულია, რომ მომავალში ადამიანები სულ უფრო მეტად მიენდობიან ხელოვნურ ინტელექტსა და ალგორითმებს. მილიარდობით მომხმარებელი ისედაც ჩართულია ამ პროცესში – ბოლომდე ენდობიან Facebook-ს, რომელიც გეგმავს მათ დღეს, სჯერათ Google-ით გავრცელებული ინფორმაციის, ფილმების არჩევაში მათ Netflix-ი ეხმარება, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებაში კი – Amazon-ი.

ჰარარის თქმით, უახლოეს მომავალში ალგორითმები ისე „გაიწაფებიან“, რომ ადვილად შეძლებენ პროგნოზირებას, რამდენად ვარგისი იქნება ადამიანი სამსახურში, რამდენად მოახერხებს იღბლიან ქორწინებას და სხვ. ერთი სიტყვით, დადგება დრო, როდესაც ადამიანი გადაწყვეტილებებს უბრალოდ აღარ მიიღებს.

როგორია ობიექტური სამყარო და რა სჭირდებათ შვილებს ამ სამყაროში გადასარჩენად? ჰარარი ამბობს, რომ ადამიანებმა დროთა განმავლობაში ობიექტურ, არსებულ რეალობას გამოგონილი რეალობაც დააშენეს. გამოგონილ რეალობაში ის გულისხმობს ერებს, ფინანსებს, კორპორაციებს. ადამიანს უწევს ორშრიან, სწრაფად ცვალებად რეალობაში ცხოვრება.

ამიტომ დღის წესრიგში დგება კითხვა: რა აქვთ აუცილებლად სასწავლი ჩვენს შვილებს პროგრამირების გარდა? რომელ უნარებს უნდა ფლობდნენ კარგად? ჰარარის თქმით, ჩვენ გაურკვეველ სამყაროში ვცხოვრობთ. ის იმდენად ბუნდოვანია, რომ გაუგებარია, რისთვის უნდა ვიყოთ მზად. რაც მთავარია, როგორ მოვამზადოთ ამისთვის ჩვენი შვილები? ბოლოს და ბოლოს, რა უნდა ვასწავლოთ მათ? ჰარარის აქვს პასუხი ამ კითხვაზე, - ალბათ, ყველასთვის არცთუ მისაღები. ის არ ამბობს, რომ მათემატიკისა თუ ჩინური ენის სრულყოფილი ცოდნის გარეშე ვერ ვიცხოვრებთ. ის სხვა რეცეპტებს გვთავაზობს.

რა არის აუცილებელი

აუცილებელია, ისწავლო სწავლა – ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც შეგვიძლია ვასწავლოთ შვილებს, სწავლის სწავლაა. „21 გაკვეთილი XXI საუკუნისთვის“ დიდტირაჟიანი, უამრავ ენაზე თარგმნილი წიგნია. ავტორი წერს, რომ ცხოვრება ოდითგანვე ორ ნაწილად იყოფოდა: სწავლის პერიოდად და მუშაობის პერიოდად. პირველ ნაწილში ჩვენ ვაგროვებდით ცოდნას და ვივითარებდით უნარებს, მეორეში – ვიყენებდით მათ.

დღეს ამ მიდგომამ დრო მოჭამა. „ჩვენ წარმოდგენაც არ გვაქვს, რა უნდა ვისწავლოთ ოცი წლის მერე. ერთადერთი, რაც ზუსტად ვიცით, ის არის, რომ რაღაც ახლის შესწავლა მოგვიწევს“, – დარწმუნებულია ჰარარი. ამიტომ საუკეთესო გამოსავლად მიაჩნია ბავშვების შემზადება ცოდნისა და უნარების მუდმივი განახლებისთვის.

აუცილებელია, შეაკავო დარტყმა – კიდევ ერთი საჭირო უნარი მარცხის ატანის უნარია. „თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა წარმატებას უდიდეს ყურადღებას უთმობს, მაგრამ საერთოდ არ ასწავლის დარტყმის ატანას. ეს მნიშვნელოვანია, რადგან, როგორც ვთქვი, ეკონომიკაში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით, ბევრს ხელახლა მოუწევს სწავლა. ისინი იძულებულნი იქნებიან, აღიარონ, რომ რაც ოცი წლის წინ იცოდნენ, აღარ არის ღირებული. ასე რომ, მოუწევთ წარუმატებლობის წინაშე დადგომა და არდანებება – მუშაობის გაგრძელება“.

აუცილებელია სტრესთან ბრძოლა – ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის განვითარება კაცობრიობას ტოტალური მეთვალყურეობის საფრთხეს უქმნის. ჰარარის სჯერა, რომ ღირს შვილების მომზადება, რათა იცოდნენ – ბევრი სირთულე შეხვდებათ, ამიტომ უნდა ისწავლონ სტრესთან გამკლავება.

„სტრესის დონე ისედაც ძალიან მაღალია და კიდევ უფრო გაიზრდება მუდმივი ცვლილებებისა და ტოტალური მეთვალყურეობის გამო. ყველაფერი, რასაც აკეთებთ, სისტემაში „შედის“. და თქვენ აგიტანთ შფოთვა იმის გამო, რომ ისინი მეთვალყურეებად გიხდებიან, მთელ თქვენს ცხოვრებას ერთ დიდ გასაუბრებად აქცევენ“, – გვაფრთხილებს მწერალი.

„2050 წლისთვის „უსარგებლო“ ადამიანთა კლასი გაიზრდება არა მხოლოდ სამუშაო ადგილებისა თუ ადეკვატური განათლების ნაკლებობის გამო, არამედ ფსიქიკური გამძლეობის უქონლობის გამოც... სავარაუდოდ, ჩვენ უფრო და უფრო მეტი ცვლილება გველის, მთელი კასკადი – იმის გათვალისწინებით, რომ ხელოვნურ ინტელექტს ბოლომდე ჯერ კიდევ არ გაუშლია ფრთები. სამუშაო ადგილები გაქრება, გაჩნდება ახალი, მაგრამ მერე ეს სამუშაოც შეიცვლება და გაქრება. თუ ადრე ადამიანები ექსპლუატაციის წინააღმდეგ იბრძოდნენ, XXI საუკუნეში მათ უსარგებლობასთან შებრძოლება მოუწევთ. და ბევრად უარესია, იყო უსარგებლო, ვიდრე ექსპლუატირებული. ამ ბრძოლაში დამარცხებულები უსარგებლო კლასის რიგებში აღმოჩნდებიან. რა თქმა უნდა, ისინი არ იქნებიან უსარგებლონი ოჯახის წევრებისა და მეგობრების თვალში. უფრო – ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის თვალსაზრისით. უსარგებლო კლასი მზარდი უფსკრულით გამოეყოფა უფრო ძლიერ ელიტას“, – ასეთია ჰარარის პროგნოზი.

როგორ შეიძლება გავუმკლავდეთ სტრესს? თავად ჰარარი უპირატესობას მედიტაციას ანიჭებს. „მაგრამ ეს არ არის უნივერსალური რჩევა, ის ჩემთვისაა გამოსადეგი. თქვენ თუ სპორტი გირჩევნიათ, ახლავე დადექით სარბენ ბილიკზე“.

აუცილებელია, იყო მოქნილი – გაურკვევლობა XXI საუკუნის ახალი ჰიტია. „როგორ მოვიქცეთ, როცა უჩვეულო სიტუაციაში აღმოვჩნდებით? როგორ მოვიქცეთ, თუ უზარმაზარმა ინფორმაციამ დაგვტბორა და მისი გაანალიზებისა და ანალიზის საშუალება არ გაგვაჩნია? როგორ ვიცხოვროთ სამყაროში, რომლის მახასიათებელიც გაურკვევლობაა?“ – კითხულობს ავტორი.

დასასრული იხილეთ www.mastsavlebeli.ge-ზე

თეონა ბექიშვილი

ინტეგრირებული ონლაინგაკვეთილი – „ჰარი-ჰარალე, დედაო!“

„ჰარი-ჰარალე, დედაო,
გადავჯე კურდღელზედაო,
გავაჭენ-გამოვაჭენე,
გავუშვი მინდორზედაო“.
ხალხური

მსოფლიოში შექმნილმა ეპიდემიოლოგიურმა სიტუაციამ, ჩაკეტილობამ, ონლაინსწავლებამ მოსწავლეც და მასწავლებელიც სრულიად ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. ერთი-ერთი უმთავრესი პრობლემა ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნებაა, რადგან სოციალიზაციასა და ფიზიკურ აქტივობას მოკლებულმა ადამიანმა ადვილად შეიძლება დაკარგოს წონასწორობა, დაკარგოს მოტივაცია და ნელ-ნელა ჩაეფლოს უიმედობის, უსურვილობის საშიშ ჭაობში. ამ რთულ სიტუაციაში სწავლება-აღზრდის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მოსწავლეთათვის განწყობის, მოტივაციის შენარჩუნება უნდა იქცეს.

რუტინა, რომელიც, ერთი მხრივ, აუცილებელია ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის, მეორე მხრივ, ხშირად მოსაწყენი ხდება და მოტივაციას კლავს, ამიტომ მასწავლებელმა ხანდახან უნდა გადაუხვიოს ე. წ. პროგრამას, ჩვეულ, მოსალოდნელ მასალას, მოსწავლესთან ერთად გახდეს „კანონდამრღვევი“ და ალტერნატიული გზებით შეეცადოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას.

ონლაინრეჟიმით სწავლებამ უამრავ სირთულესთან ერთად ახალი შესაძლებლობებიც გააჩინა. ერთი მათგანია ვიდეოს ყურების, ეკრანის გაზიარების საშუალება. თანამედროვე ახალგაზრდისთვის უმრავლეს შემთხვევაში ვიდეოპროდუქცია უფრო მომხიბვლელია, ვიდრე წიგნი. თანამედროვე მასწავლებელს შეუძლია, ფილმი თუ მულტფილმი წიგნთან, სიტყვასთან მისასვლელ გზად გამოიყენოს.

ამ სტატიაში ერთ უნიკალურ ანიმაციურ ფილმზე მოგიყვებით და შევეცდები, დაგანახოთ სასწავლო რესურსად მისი ქცევის შესაძლებლობა. ეს არის 2017 წელს შექმნილი „ჰარი-ჰარალე, დედაო“. მისი რეჟისორი ლეო გაბრიაძეა, სცენარის ავტორი, მხატვარი და მთხრობელი კი - XX-XXI საუკუნეების სრულიად გამორჩეული ქართველი შემოქმედი – რეზო გაბრიაძე. ნაწარმოები ჟანრობრივად ავტობიოგრაფიულ-დოკუმენტურია და მოიცავს საბჭოთა ადამიანის ისტორიას 1941 წლის 22 ივნისიდან მეოცე საუკუნის ბოლომდე. თავისთავად ცხადია, ერთი ადამიანის ისტორია ქვეყნის ისტორიასაც ჰყვება და თავისუფლად შეიძლება, ის სასწავლო მიზნით გამოვიყენოთ. ვფიქრობ, ამ ფილმის ყურება-განხილვა შესაძლებელია ისტორიის, ქართულის, მოქალაქეობის, ხელოვნების მასწავლებლების ჩართულობით.

ფილმი ახლახან დაიდო პოპულარულ პლატფორმაზე – Netflix-ზე, რაც, ვფიქრობ, ახალგაზრდებისთვის დამატებითი ინტერესის აღმძვრელი იქნება.

პირველი, რაზეც მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება, ნახატის ხარისხი და ხასიათია. როდესაც წიგნსა და ფილმს ერთმანეთს ადარებენ, სიტყვიერი ხელოვნების სასარგებლოდ უმთავრესად ის არგუმენტი მოჰყავთ, რომ წიგნში მეტი ადგილია წარმოსახვისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ანიმაციაც ვიზუალური ხელოვნებაა, გაბრიაძის შეუდარებელი ნახატები კარიკატურულ-პრიმიტივისტული სტილითაა შესრულებული და, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, თითქოს ისევე უტოვებს სივრცეს წარმოსახვას, როგორც სიტყვა. ამ მულტფილმში მონახაზი თუ ფერი იმდენად ზოგადი თუ პირობითია, რომ, ერთი

მასწავლებელმა ხანდახან უნდა გადაუხვიოს ე. წ. პროგრამას, ჩვეულ, მოსალოდნელ მასალას, მოსწავლესთან ერთად გახდეს „კანონდამრღვევი“ და ალტერნატიული გზებით შეეცადოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას.

მხრივ, მკაფიოდ გამახსოვრდება, მეორე მხრივ კი არაფრის წარმოდგენაში არ გიშლის ხელს, ისევე საჭიროებს შენი, მაყურებლის, მსმენელის ფანტაზიას, როგორც ნათქვამი სიტყვა.

ფილმის ყურებამდე, ვფიქრობ, ურიგო არ იქნებოდა გონებრივი იერიში. საინტერესოა, რა მოლოდინს აღუძრავს მოზარდებს მხოლოდ სათაური? თავისთავად ცხადია, სწორი პასუხის ალბათობა მცირეა, ამიტომ, ვფიქრობ, შეიძლება, განხილვის საგნად სიმღერის მთელი ტექსტი გამოვიტანოთ:

„ჰარი-ჰარალე, დედაო,
გადავჯე კურდღელზედაო,
გავაჭენ-გამოვაჭენე,
გავუშვი მინდორზედაო“.

ასევე სასურველია ფილმის ყურებამდე მცირე შესავალი საბჭოთა კულტურის შესახებ, იმის აღნიშვნა მაინც, რომ დომინანტი რუსული ენა და კულტურა იყო, თუმცა საბჭოთა ცენზურა არ ერჩოდა კლასიკას (ფილმში ჟღერს ჩაიკოვსკის, ადანის, იოჰან შტრაუსის მუსიკა); მიუხედავად შევიწროებისა, არ განიდევნა ქართული – ფოლკლორი, ქალაქური სიმღერები თუ საბჭოთა ეპოქის კომპოზიტორების ჰანგები რუსული მუსიკისა და საოპერო კლასიკის გვერდით ჟღერდა.

ფილმის ყურების შემდეგ, ვფიქრობ, მოდერატორმა უნდა დასვას კითხვები და საშუალება მისცეს მოზარდებს, იმსჯელონ შემდეგ საკითხებზე:

ვფიქრობ, უფროსკლასელებს ეს ტექსტი მიახვედრებს, რომ საუბარი იქნება ბავშვურ, წარმოუდგენელ თავგადასავლებზე, რომლებითაც სავსეა ქართული და მსოფლიო ფოლკლორი (აქვე შეიძლება შევახსენოთ ამ ე. წ. ყირამალა ამბების მნიშვნელობა ბავშვის განვითარებისთვის, მოვიყვანოთ მაგალითები).

ომის შემდგომ მძიმე გარემოში რა აძლევს მთავარ გმირს გადარჩენის საშუალებას? რატომ არის უსაფრთხო სივრცე ბიბლიოთეკა და რატომ აღმოჩნდება ყველაზე საშიში ადრახინა უწყინარი ამ სივრცეში? რისი სიმბოლოა ვირთხა? ნიშნავს თუ არა წიგნების კითხვა (შეჭმა) უპირობოდ კარგ ადამიანად ჩამოყალიბებას?

ონლაინრეჟიმით სწავლებამ უამრავ სირთულესთან ერთად ახალი შესაძლებლობებიც გააჩინა. ერთი მათგანია ვიდეოს ყურების, ეკრანის გაზიარების საშუალება. თანამედროვე ახალგაზრდისთვის უმრავლეს შემთხვევაში ვიდეოპროდუქცია უფრო მომხიბვლელია, ვიდრე წიგნი. თანამედროვე მასწავლებელს შეუძლია, ფილმი თუ მულტფილმი წიგნთან, სიტყვასთან მისასვლელ გზად გამოიყენოს.

მოსწავლეთა პასუხების შემდეგ სასურველია, მოდერატორმა შეაჯამოს და გამოკვეთოს წიგნის როლი და შესაძლებლობა – რომ მას შეუძლია, საინტერესო გახადოს ყოფა აუტანელ სამყაროში, იხსნას ადამიანი და იტვირთოს იმ მთავარი საყრდენის ფუნქცია, რომელიც ხანდახან მარტო დარჩენილ მოზარდს ადამიანთა შორის აღარ ეგულება.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია კულტურათა ზეგავლენის საკითხი, გლობალიზაცია, რომელიც მაშინაც კი შესაძლებელია, როცა უფრო მაღალი კულტურის მატარებელი დამარცხებულია. მოსწავლეები ისტორიიდან ძირითადად იცნობენ კულტურათა გადაცემის იმ მოდელს, როცა დამპყრობელი ქვეყანა ცდილობს, გაამეფოს მისთვის მისაღები კულტურული ნორმები. აქ პირიქითაა და, ვფიქრობ, ამის გააზრება მნიშვნელოვანია უფროს კლასებში.

საბჭოთა რეპრესიულ მანქანასა და მის მიერ დატოვებულ შიშებზე, პიროვნების კულტსა და მის მავნებლობაზე გენიალურად მეტყველებს სკოლის დერეფნის კედლებზე დაკიდებული ნახატებიდან გადმოსული და გაცოცხლებული სტალინის, ლენინისა და პატარა ლენინის პერსონაჟები.

ერთ-ერთი აუცილებელი საკითხია ფალოსის გამოსახულებით რელიგიური რიტუალის ჩატარება, „გინება“, როგორც თავად გაბრიაძე ამბობს. ქართულ სკოლას ხშირად ეხამუშება მსგავს თემატიკასთან შეხება, მსგავსი ლექსიკის ხმარება, თუმცა ამით თანამედროვე ახალგაზრდებში ბილწსიტყვაობის დონე დაბლა არ იწევს. ვფიქრობ, პირიქით, არ უნდა მოვერიდოთ ამგვარ საკითხებზე სამეცნიერო თუ სამედიცინო ტერმინოლოგიით მსჯელობას. რაც უფრო ნაკლები იქნება ტაბუ, მით უფრო დაიწმინდება ახალგაზრდების მეტყველება.

ძალიან საინტერესოა, რომ პერსონაჟის ბაბუას ეს რიტუალი რუსეთ-იაპონიის ომიდან მოაქვს და აქედან, საქართველოდან, გადადის გერმანიაში, გერმანია კი ტყვეობაშიც ძალიან დახვეწილი და კულტურულია, თუმცა ბუნების პირისპირ გერმანელიც კარგავს რაციონალურობას. აქ შეიძლება გაიმართოს მცირე დისკუსია იმის შესახებ, საერთოდ რატომ იგინება ადამიანი. ვფიქრობ, სასარგებლო იქნება მოწაფეებისთვის იმის გაგება, რომ გინება, ვერბალური ძალადობა, ადამიანის უმწეობის გამოვლინებაა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ჩანს, რომ, მიუხედავად ტექნიკური პროგრესისა, მიუხედავად კულტურისა, ბუნების წინაშე ადამიანი უწინდებურად უმწეოა და ეს უმწეობა აბრუნებს თავის პირველყოფილ ქცევასთან, თავის მითოსურ საწყისთან.

ასევე მნიშვნელოვანი და სიმბოლურია ფილმის დასასრულს პერსონაჟის ფესვებთან დაბრუნება, დაკარგული ემოციური კავშირის აღდგენის ჯერ წარუმატებელი მცდელობა, მერე კი პოვნა - მშვენიერი მარგალიტას საფლავზე, სადაც მისი ბავშვური შემოქმედების საფლავიცაა, მაგრამ ამავე საფლავთან მისი შემოქმედების წყალობით დაბადებული ორი ადამიანიც დგას.

საბოლოოდ, **ქართულის** მასწავლებელმა შეიძლება შეაჯამოს დისკუსია და პარალელი გაავლოს ვაჟა-ფშაველასთან, რომელიც ასევე არ ერიდება მტრის მორალურ პიროვნებად დახატვას - როგორც ქისტი ჯოყოლაა ჰუმანიზმის მხარეს, ასევეა გერმანელი ტყვეც, რომელიც აშკარად მთელი გულით ემსახურება ბებიას.

აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება სახე-სიმბოლოებზე, რომლებიც ფილმში უხვადაა.

ისტორიის მასწავლებელმა შეიძლება კიდევ ერთხელ ისაუბროს რეპრესიებზე, ერთპარტიულობაზე, პარტიის აგიტაცია-პროპაგანდაზე.

ხელოვნების მასწავლებელმა შეიძლება დაწვრილებით აღწეროს ყველა ის მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც ანიმაციაში ისმის და მხოლოდ საბჭოთა ესთეტიკისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ეკლექტურობას ქმნის. აქვე შეგვიძლია ვუთხრათ მოსწავლეებს, რომ ზოგიერთი ჟანრი, მაგალითად, როკი, ანტისაბჭოთად მიიჩნეოდა და იდევნებოდა.

ამგვარად, რევაზ გაბრიაძის, ამ მართლაც უნიკალური ქართველი შემოქმედის ანიმაციის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია მოსწავლეებს ერთი უჩვეულო, არასტანდარტული დღე ვაჩუქოთ, მათი თვალსაწიერი საგრძნობლად გავაფართოოთ, რაც მთავარია, ერთად ნახვის, გაზიარების სიხარული მივანიჭოთ, დისკუსიაში ჩართვის გამოცდილება შევძინოთ და სამომავლოდ მოტივაციაც ავუმაღლოთ.

მაია ჯალიაშვილი

ავტორიტეტული აზრი და მასწავლებელი

დისტანციური სწავლება, დიდი ხანია, ისედაც არსებობდა, თავისი სტრუქტურით თუ სისტემური მახასიათებლებით, მაგრამ ჩვეულებრივი ცოცხალი სასწავლო პროცესის ერთი სივრციდან მეორეში უდანაკარგოდ გადატანა, რა თქმა უნდა, იოლი არ აღმოჩნდა.

თუ რომელიმე პედაგოგს ჰკითხავთ, ვისი აზრია მისთვის მნიშვნელოვანი სწავლების ამა თუ იმ საკითხზე, ის აუცილებლად დაგისახელებთ საზოგადოებისა თუ პედაგოგიკური მეცნიერებისთვის ცნობილ და მნიშვნელოვან ადამიანებს, მაგრამ მის პასუხებში უცნობებმაც შეიძლება ამოყვინთონ. ერთისთვის ავტორიტეტულია დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური კონცეფციები, მეორისთვის – ჯონ დიუისა, მესამისთვის – მარია მონტესორისა და სხვ. საგანმანათლებლო სისტემებისა თუ ფორმების შესახებ შეხედულებები იცვლება, ტრანსფორმირდება და კონკრეტული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული კონტექსტების სივრცეში მოიაზრება. ავტორიტეტთა შორის – იშვიათად, მაგრამ მაინც – შეიძლება მოხვდნენ კოლეგებიც. თუმცა, როგორც ნებისმიერ სხვა სფეროში, აქაც მოქმედებს ბიბლიური პრინციპი: „არ არის წინასწარმეტყველი თავის ქვეყანაში“.

რა თქმა უნდა, ყველაზე და მათ შორის მასწავლებელზეც ახდენს გავლენას ერთგვარი, თანამედროვე ტერმინებს თუ გამოვიყენებთ, ტრენდული, მეინსტრიმული შეხედულებები. მაგალითად, წელს პანდემიამ მთელ მსოფლიოში გააქტიურა ონლაინსწავლების თემა. ამ ერთგვარად იძულებითი საყოველთაო ელექტრონული სწავლების ფორმამ მთელ მსოფლიოში მსგავსი და ყოველ კონკრეტულ ქვეყანაში სპეციფიკური პრობლემები გამოკვეთა. დისტანციური სწავლება, დიდი ხანია, ისედაც არსებობდა, თავისი სტრუქტურით თუ სისტემური მახასიათებლებით, მაგრამ ჩვეულებრივი ცოცხალი სასწავლო პროცესის ერთი სივრციდან მეორეში უდანაკარგოდ გადატანა, რა თქმა უნდა, იოლი არ აღმოჩნდა. სოციალურ ქსელებსა თუ ელექტრონულ გამოცემებში უხვად იბეჭდება წერილები, მოსაზრებები, რომლებიც სწავლების ამ ფორმის ნაკლოვანებებსა თუ უპირატესობებს გამოკვეთს. ნაკლოვანებათა შორის, ძირითადად, ტექნიკურ ხარვეზებს ასახელებენ, რომელთა დანახვა განსაკუთრებით კარგად შეიძლება საქართველოსა და მისნაირი სუსტი ეკონომიკური შეძლების ქვეყნების მაგალითზე.

საინტერესოა ამ თემაზე ავტორიტეტული აზრის მოსმენა. ციფრული სწავლების კრიტიკოსთა შორისაა ნუჩო ორდინე, რომელიც ამგვარი რადიკალიზმით ეხმიანება ამ საკითხს: „დისტანციური სწავლებისადმი აღვლენილი ქებათა ქება მაშინებს“. ის კალაბრიის უნივერსიტეტის იტალიური ლიტერატურის პროფესორია, რენესანსის მკვლევარი, არაერთი უნივერსიტეტის (აშშ-ში, საფრანგეთში, ბრიტანეთში) მიწვეული პროფესორი, მწერალი, ფილოსოფოსი, ავტორი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომებისა, რომლებიც თარგმნილია სხვადასხვა ენაზე. მისი აზრით, ვირტუალური სწავლებისა და დისტანციური განათლების თემა უფრო მეტ პრობლემას შეიცავს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. იგი ფიქრობს, რომ დისტანციური განათლება ტროას ცხენია, რომელიც პანდემიით სარგებლობს და ცდილობს, დაანგრიოს ადამიანთა პირადი ცხოვრებისა და განათლების უკანასკნელი ბასტიონები. რა თქმა უნდა, ის არ გულისხმობს ერთგვარ ექსტრემალურ თუ ფორსმაჟორულ ვითარებებსა და გარემოებებს.

მთელი სამყარო შეეცადა, მორგებოდა ვირტუალურ სწავლებას, უპირველესად, იმისთვის, რომ სასწავლო წელი გადაერჩინა. პროფესორს აღელვებს ის ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ კორონავირუსის პანდემიამ შესაძლებელი გახადა, გაკეთებულიყო დიდი ხნის ნანატრი ნახტომი წინ. ისი-

ნი ასაბუთებენ, რომ ჩვენ უკვე ვეღარ შევძლებთ, დავუბრუნდეთ ტრადიციულ განათლებას და ერთადერთი, რისი იმედიც შეიძლება გვქონდეს, ჰიბრიდული სწავლებაა: გაკვეთილთა, ლექციათა თუ ტრენინგთა გარკვეული ნაწილი გაიმართება ცოცხალი შეხვედრებით, ხოლო დანარჩენი – დისტანციურად. პროფესორი ნუჩო ორდინე დარწმუნებულია, რომ მოსწავლეებთან ურთიერთობა, აუდიტორიასთან ცოცხალი, უშუალო კონტაქტი ერთადერთი რამაა, რაც არა მხოლოდ განათლებას, არამედ მასწავლებლის ცხოვრებასაც სძენს ჭეშმარიტ აზრს. იგი თავის თვალსაზრისს დამაჯერებელად, ხატოვნად და მახვილგონივრული მეტაფორულობით გამოხატავს. მისი აზრით, საეჭვოა მომავლის დიდაქტიკის მომხრეთა ამგვარი ენთუზიაზმი, რომელიც ტალღებივით წინ მიისწრაფვის და ამ მდინარებაში კრიტიკულ აზრს ნთქავს. პროფესორი ვერ ეგუება ცხოვრებას იმგვარ სამყაროში, რომელსაც ვეღარ სცნობს, რადგან ბევრი გაურკვევლობაა მოზღვავებული. ამიტომ მხოლოდ ერთ რამეშია დარწმუნებული: აუდიტორიაში მოსწავლეებთან კონტაქტი ერთადერთია, რაც განუმეორებელ და განსაკუთრებულ აზრს ანიჭებს სწავლების პროცესს.

ნუჩო ორდინე ოცდაათ წელზე მეტია ასწავლის და წარმოუდგენლად მიაჩნია სხვადასხვა სასწავლო აქტივობის, გამოცდისა თუ საკონტროლო, შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარება ცივი ეკრანის საშუალებით, ამიტომ ძალიან აღელვებს ის ამბავი, რომ თუ კიდევ გაგრძელდა ამგვარი აგრესიული ვირუსული ინფექციები, სასწავლო კურსის განახლება კვლავ ონლაინრეჟიმში მოუწევს. წლების განმავლობაში ხომ ყალიბდება გარკვეული სასწავლო რიტუალები, რომლებიც სიხალისეს სძენს პედაგოგისა თუ მოსწავლეთა ცხოვრებას. მას ეეჭვება, რომ შეძლებს კლასიკური ტექსტების წაკითხვას, თუ მოსწავლეებს თვალებში არ შეხედა, თუ არ დაინახა მათი რეაქცია, თანაგრძნობა თუ გაოცება. მისი აზრით, მასწავლებლებისა და მოსწავლეების გარეშე სკოლები, უნივერსიტეტები და სხვა სასწავლო დაწესებულებები სასიცოცხლო სუნთქვას იქნებიან მოკლებულნი. ვერანაირი ციფრული პლატფორმა ვერ შეცვლის სტუდენტის, მოსწავლის ცხოვრებას. ეს მხოლოდ კარგ მასწავლებელს შეუძლია ცოცხალი და უშუალო ურთიერთობისას.

საგულისხმო და დამაფიქრებელია მისი ის დაკვირვებაც, რომ ციფრული სწავლებისას

მთავარია ყველა ხელმისაწვდომი გზისა თუ ფორმის მოსინჯვა, გაბედულება და კრიტიკული აზროვნება, რათა არცერთი ავტორიტეტული აზრი არ იქცეს დამოუკიდებელი და თავისუფალი შემოქმედებითი თვალთახედვის დამაბრკოლებლად.

იკარგება უმნიშვნელოვანესი რამ – განათლება აღარ არის დაკავშირებული ადამიანის შინაგანი სამყაროს სრულყოფასთან, სულიერ განვითარებასთან. ცოდნის შეძენა თითქოს აღარ არის იმისთვის, რომ ადამიანი გახდეს უკეთესი, განათლება აღარ არის მოწოდებული იმისთვის, რომ ცოდნა იქცეს თავისუფლების მოპოვების ინსტრუმენტად – კრიტიკული აზროვნების განსავითარებლად, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გასააზრებლად.

თანამედროვე ახალგაზრდობა სულ უფრო მეტადაა ორიენტირებული სარგებელზე. მისი მიზანია, მიიღოს სპეციალობა და პრაგმატული, მომხმარებლური სურვილები დაიკმაყოფილოს. ნუჩო ორდინე ფიქრობს, რომ დაიკარგა სკოლისა და უნივერსიტეტის იდეა როგორც საზოგადოებისა, რომელიც მომავალ მოქალაქეს აყალიბებს – მოქალაქეს, რომელსაც ექნება არა მხოლოდ სპეციალობა, არამედ მყარი ეთიკური პრინციპები და ადამიანური სოლიდარობის ღრმა განცდა, სურვილი, იზრუნოს საზოგადო კეთილდღეობისთვის. მოსწავლისა და მასწავლებლის ცოცხალ ურთიერთობას კი ვერანაირი ციფრული კონტაქტი უდანაკარგოდ ვერ ჩაანაცვლებს. ნუჩო ორდინეს აზრით, ეს უფრო ამძაფრებს გაუცხოების კრიზისს, მარტოსულობის განცდას. გამუდმებული ონლაინკომუნიკაცია მოსწავლეებს თითქოს აქცევს უზარმაზარ რეზერვუარებად, რომლებიც ცოდნით უნდა ამოავსო. არადა, სტუდენტებს სჭირდებათ დიალოგი, ურთიერთობა. საყოველთაო კარანტინმა აჩვენა, რომ ცოცხალი ურთიერთობები ერთგვარი ფუფუნების ნაწილად იქცა. პროფესორი იმოწმებს ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის ფრაზას: „ჩემთვის ცობილი ერთადერთი ფუფუნება ადამიანებთან ურთიერთობის ფუფუნებაა“. თანდათან გამოჩნდა ღრმა განსხვავება საგანგებო და ნორმალურ ვითარებას შორის. ეპიდემიის დროს გააქტიურდა სხვადასხვა ტიპის ვიდეო- თუ აუდიოზარი და ეს ინსტრუმენტი იქცა სახლებში ჩაკეტილი ადამიანების ურთიერთობის ერთადერთ ფორმად. არის საშიშროება, რომ ვითარების ნორმალიზებისას ეს ინსტრუმენტები დარჩება და დიდ იმედგაცრუებამდე მიგვიყვანს. სმარტფონები და სხვა ტიპის ტექნოლოგიები (რომელთა გარეშე, ცხადია, წარმოუდგენელია თანამედროვე ყოფა) სასარგებლოა მანამდე, სანამ მათ მონებად არ გადავიქცევით.

პროფესორი კიდევ ერთ უდიდეს სოციალურ პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას. მას მოჰყავს მაგალითი: გაზეთ „ნიუ იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნდა წერილების სერია, რომლებშიც წარმოჩენილია ამერიკის მდიდარი ოჯახების მისწრაფება, ბავშვებმა ისწავლონ ისეთ კოლეჯებში, რომლებშიც მასწავლებლები მოსწავლეებს ცოცხლად ეკონტაქტებიან. საშუალო და ღარიბ ფენებში კი იზრდება ონლაინსწავლებაზე დამოკიდებულება. გამოდის, რომ ღარიბი მოსახლეობა განწირულია უხარისხო განათლებისთვის. პროფესორი ნუჩო ორდინე კიდევ ერთხელ შეახსენებს ყველას, რომ ადამიანს თანაბრად სჭირდება სულიერ-ხორციელი განვითარება. სახარებისეული სწავლება რომ გავიხსენოთ: „არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი“ (მათე 4,4).

მთელ მსოფლიოში, უპირველეს ყოვლისა, გაიხსნა სუპერმარკეტები, მაგრამ არა ბიბლიოთეკები. 1931 წელს ფედერიკო გარსია ლორკამ, ფრანკისტების ხელით დახვრეტამდე ცოტა ხნით ადრე, მშობლიურ სოფელში, ფუენტო-ვაკეროში, ბიბლიოთეკა გახსნა, რადგან დარწმუნებული იყო, რა დიდი როლი ეკისრებოდა კულტურას ადამიანის სულიერ აღზრდაში, მორალურ-ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებაში.

რა თქმა უნდა, არის გარემოებები, რომელთა წინაშე ადამიანი უძლურია. ამან შეარყია ცივილიზაციის, პროგრესის ყოვლისშემძლეობის რწმენა. ვაჟასეული მსოფლმხედველობის ჭეშმარიტება, რომ „ბუნება მბრძანებელია“, კიდევ ერთხელ დადასტურდა. „დედამიწის ავადმყოფობაც“ უფრო სერიოზული რომაა, ვიდრე ამას კაცობრიობა გაიაზრებდა, ესეც თვალნათლივ წარმოჩნდა. მსოფლიო პანდემიამ ყველაფერი შეცვალა, მათ შორის – განათლების ტრადიციული ფორმებიც. ნუჩო ორდინეს თვალსაზრისმა მასწავლებელსაც კრიტიკული აზროვნებისკენ უნდა უბიძგოს და იმაზე დააფიქროს, როგორ შეიძლება გადაილახოს წინააღმდეგობები ისე, რომ ცოცხალი სასწავლო ურთიერთობები შენარჩუნდეს. შეიძლება, მომავლის რობოტმამასწავლებელმა ყველა ინფორმაცია იდეალურად გადასცეს მოსწავლეს, მაგრამ სიყვარული, სულიერება ციფრულ ენაზე არ გადაითარგმნება, რადგან მატერიალური და სულიერი სამყაროების გამყოფი ზღვარი გადაულახავია.

1998 წელს ოფთალმოლოგთა ამერიკული ასოციაციის ინიციატივით გაჩნდა ტერმინი „კომპიუტერის სინდრომი“, რომელიც იმ დაავადებებს აღნიშნავდა, რომლებიც უშუალოდ კომპიუტერთან მუშაობისას ჩნდებოდა. მართალია, მას შემდეგ ტექნოლოგიები დაიხვეწა, პერსონალური კომპიუტერები, ტელეფონები, პლანშეტები და სხვა ტიპის ელექტრონული მოწყობილობები, რომლებიც სწავლებისას გამოიყენება, დღეს დამცავი ფილტრებითაა აღჭურვილი, მაგრამ ხანგრძლივი მუშაობა კვლავ ხიფათის შემცველია. ექიმთა რჩევაა, მონიტორებთან კონტაქტის უწყვეტი რეჟიმი 40 წუთს არ სცილდებოდეს.

პროგრესი მატერიალური ცხოვრების თანამდევია, ამიტომ საგანმანათლებლო სისტემები თუ პედაგოგები კიდევ არაერთი გამოწვევის წინაშე დადგებიან. მთავარია ყველა ხელმისაწვდომი გზისა თუ ფორმის მოსინჯვა, გაბედულება და კრიტიკული აზროვნება, რათა არცერთი ავტორიტეტული აზრი არ იქცეს დამოუკიდებელი და თავისუფალი შემოქმედებითი თვალთახედვის დამაბრკოლებლად.

შორენა ტყეშელაშვილი

რატომ უნდა მოვუსმინოთ ბავშვებს

„დედა, გთხოვ, ღამით გამაღვიძე, რომ ვილაპარაკოთ“, – თითქმის ყოველ საღამოს, ძილის წინ, მთხოვს ჩემი რვა წლის შვილი. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ცხრა თვეა, ყოველ დღეს სახლში, ერთად ვატარებთ, ხშირად გვჭირდება ერთმანეთისთვის იმის შეხსენება, რომ სასაუბროდ და მოსასმენად მაინც საჭიროა „სხვა“ დროის გამოყოფა.

მშობლობის რვაწლიანი გამოცდილების შემდეგ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ისე არაფერი აბედნიერებთ ბავშვებს, როგორც ის, რომ მათთვის იცლიან და მათ უსმენენ. მშობლებთან პოზიტიური ურთიერთკავშირი მათ იმაში ეხმარება, უკეთ გამოხატონ თავიანთი სურვილები და უფრო მეტი ისაუბრონ საკუთარი თავის შესახებ, მშობლებს კი – იმაში, რომ გაიგონ შვილების ემოციები, გამოხატონ თანადგომა და პატივი სცენ მათ მდგომარეობას.

ახლა უფროსებიც არ ვართ კარგ დღეში... ახალმა რეალობამ ბევრს მძიმე დანაკარგი მოუტანა. თუმცა ამ სიტუაციაშიც ყველაზე მნიშვნელოვანი ბავშვები არიან, რომლებსაც ჩვენთან საუბარი და მეგობრობა სჭირდებათ.

ბავშვებსაც უწევთ სირთულეების გადალახვა. ისინიც, ჩვენსავით, ბევრ უჩვეულო ამბავს უმკლავდებიან – პანდემიის მიერ ნაკარნახევ დღის რეჟიმს, დისტანციურ სწავლებას, იზოლაციას, ერთფეროვნებას, ცუდ ამბებს და ყველაზე დიდ განსაცდელს – მეგობრების მონატრებას.

ამ რთულ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფიქრი ბავშვების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და იმაზე, როგორ დავეხმაროთ მათ, როგორ განვაწყოთ სასაუბროდ, როგორ წავახალისოთ ნაფიქრალის გამოთქმისკენ, რომ თავი უკეთ იგრძნონ. ამ დარგის სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მშობლებისა და გარემოს დამოკიდებულება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ბავშვების ფსიქიკურ ჯანმრთელობას. მშობლების მზრუნველობა, ვფიქრობ, დაეხმარება ბავშვებს, მომავალში უკეთ გაუმკლავდნენ პრობლემებს და საამისო მექანიზმები საკუთარ თავში იპოვონ.

მათ, ვინც კოვიდ-19-ით გამოწვეულ სტრესს ვებრძვით, მეგობარმა ფსიქოლოგმა ცოტა ხნის წინ ასეთი რამ გვირჩია: თუ ამის შესახებ ვერავის ვუყვებით, დავწეროთ ამ ყველაფერზე, ანუ წერილობით ვისაუბროთ იმაზე, რასთან გამკლავებაც გვიწევს. ეს მეთოდი ბავშვებთანაც შეიძლება გამოვიყენოთ - შევთავაზოთ, წერილობით აღწერონ საკუთარი ემოციები. მით უმეტეს, ამ ფორმით სათქმელის გამოხატვა შესაძლოა მათთვის სულაც არ იყოს უცხო: ბევრი ბავშვი აწარმოებს დღიურს, სადაც ის სრულიად თავისუფალია და არც მისი ხმა იკარგება.

ახლა კი იმ წიგნის შესახებ მოგიყვებით, რომელიც მშობლებმა და მასწავლებლებმა შეიძლება ურჩიონ ბავშვებს საკუთარი ემოციებისა და აზრების ჩასაწერად. ეს არის „წიგნი-დღიური“ მოზარდებისთვის, რომელიც ფსიქიკური ჯანმრთელობის მაგისტრთა ასოციაციამ მოამზადა. მისი სათაურია „ფანჯარა საკუთარ თავთან“. ის ონლაინფორმითაც ხელმისაწვდომია.

დღიური ილუსტრირებულია და ერთი შეხედვით ჰგავს წიგნს, რომელსაც ავტორი არ ჰყავს. ყველა, ვინც მასზე მუშაობას იწყებს, თავად იქცევა მწერლად და ქმნის თავის ისტორიას, თავის წიგნს.

ბავშვებსაც უწევთ სირთულეების გადალახვა. ისინიც, ჩვენსავით, ბევრ უჩვეულო ამბავს უმკლავდებიან – პანდემიის მიერ ნაკარნახევ დღის რეჟიმს, დისტანციურ სწავლებას, იზოლაციას, ერთფეროვნებას, ცუდ ამბებს და ყველაზე დიდ განსაცდელს – მეგობრების მონატრებას.

წიგნ-დღიურს ჰყავს მთავარი პერსონაჟი – მეგზური, რომელიც მთელ ამ თავგადასავალში თან დაჰყვება პოტენციურ მწერალს. მისი მიზანია, მოზარდებს მიაწოდოს ინფორმაცია სხვადასხვა ემოციური მდგომარეობის, მათი მართვის სტრატეგიებისა და ტექნიკების შესახებ. აქ იპოვით ემოციური რეგულაციის სავარჯიშოებს, სუნთქვის ტექნიკებს, საკუთარ თავზე ზრუნვის სტრატეგიებს, პრობლემაში რესურსის დანახვის სავარჯიშოებს... დამტკიცებულია, რომ სწორედ მოზარდობაა ის პერიოდი, როდესაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებმა შეიძლება იჩინოს თავი. ამ ტექნიკების ცოდნა, პრაქტიკაში მათი დანერგვა კი არაერთი პრობლემის პრევენციის საშუალებაა და მნიშვნელოვნად ამცირებს უკვე თავჩენილი სირთულეების დამძიმების რისკს.

წიგნი-დღიური ბავშვებს საკუთარ ემოციებზე დაკვირვებაში, მათზე საუბარში დაეხმარება. გარდა ამისა, მათ თავს გადახდებათ ბევრი საინტერესო ამბავი, რომლებმაც ისინი შესაძ-

ამ რთულ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფიქრი ბავშვების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და იმაზე, როგორ დავეხმაროთ მათ, როგორ განვაწყოთ სასაუბროდ, როგორ წავახალისოთ ნაფიქრალის გამოთქმისკენ, რომ თავი უკეთ იგრძნონ.

ლოა იმაზე დააფიქროს, რა მნიშვნელობა აქვს განწყობას სირთულეთა დაძლევის პროცესში. თითქოსდა უბრალო კითხვები: რას გრძნობდი? რა აზრები მოგდიოდა თავში? როგორ გამოხატე ისინი? რა განიჭებს ყველაზე დიდ სიხარულს? როდესაც ბედნიერი ხარ, რას გრძნობ სხეულში? როგორი იყო შენი დღე? – ბავშვებს უბიძგებს, დააკვირდნენ საკუთარ ემოციებს, მათი ამოცნობა, მათზე საუბარი ისწავლონ და მათი გაზიარების მნიშვნელობა დაინახონ.

ლელა მანგოშვილი

როგორ? რატომ? საიდან? ანუ როგორ ვასწავლოთ ფიქრი

როდის იწყებს ბავშვი ფიქრს?

ჯონ დიუი აღნიშნავდა, რომ ბავშვების ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას განვითარება სჭირდება: „ბავშვი მხოლოდ მაშინ იწყებს ფიქრს, როცა ჩვენ კონკრეტულ პრობლემებთან შებრძოლების საშუალებას ვაძლევთ და მას რთული სიტუაციიდან გამოსავლის ძიება უხდება“.

მაღალი საზროვნო უნარების განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწავლების ეფექტური სტრატეგიების გამოყენება, როგორიცაა:

- პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება;
- კრიტიკული აზროვნება;
- მეტაკოგნიცია (აზროვნება აზროვნების შესახებ).

პრობლემაზე ორიენტირებული სწავლებისას მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვებს, რომლებიც მათგან მოითხოვს ინფორმაციის წარმოდგენის ალტერნატიული გზების ძიებას, სთავაზობს აქტივობებს, რომლებიც გულისხმობს ერთი და იმავე მოვლენის სხვადასხვა კონტექსტში განხილვასა და შედარებას, განსხვავებული დასასრულის ძიებას, ინტერპრეტაციას – „რა იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ...“, ისეთი იდეის ჩართვას, რომელიც ტექსტში არ არის მოცემული.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დროს მასწავლებლები ხშირად მიმართავენ პროექტით სწავლების სტრატეგიას, რომელიც რამდენიმე საფეხურისგან შედგება:

- პრობლემის გამოკვეთა/განსაზღვრა/აღწერა;
- პრობლემის შესახებ ინფორმაციის შეგროვება;
- პრობლემის გადაჭრის გზების ძიება;
- სტრატეგიების შერჩევა და განხორციელება;
- შედეგების შემოწმება;
- შეფასება.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგიაა. მისი მეშვეობით მოსწავლეები ეჩვევიან ფიქრს და რეალური ცხოვრებისეული პრობლემების კვლევის გზით იძენენ მნიშვნელოვან გამოცდილებას, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში გამოადგებათ.

მახსენდება ლუსი მორალის არაჩვეულებრივი სიტყვები: „ფიქრები, რომლებიც გაქვთ, სიტყვები, რომლებსაც წარმოთქვამთ, საქციელი, რომელსაც სჩადით, საბოლოო ჯამში, სიკეთისა და ბოროტების კეთების თვისებად იქცევა – ძალად, რომელიც თავისი განვითარებით ან ზრდით მასვე უბრუნდება, ვინც იგი თავისგან გარეთ მიმართა“.

ხშირად ვეუბნები მოსწავლეებს: არ აქვს მნიშვნელობა, თქვენს ფიქრს გაასიტყვებთ თუ არა, ის უკვე თქვენს გონებაში წარმოსახული ქმედებაა, ამიტომ ეცადეთ, იფიქროთ პოზიტიურად, იფიქროთ სიკეთეზე, რათა უფრო მეტი კეთილი საქმე გააკეთოთ.

იმავდროულად, კარგად მესმის, რომ დედამიწა სამოთხე არ არის და მოზარდ თაობას ბევრი ცხოვრებისეული სირთულის გადალახვა მოუწევს. ამისთვის ისინი მზად უნდა იყვნენ.

როგორ?

უნდა ვასწავლოთ ფიქრი, რათა კრიტიკული აზროვნების უნარის დახმარებით შეძლონ ფაქტების, მსჯელობებისა და წარმოდგენების ხელახალი გააზრება, არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების მოძიება, სიტუაციის გაანალიზება და, შესაბამისად, მტკიცებულებების

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგიაა. მისი მეშვეობით მოსწავლეები ეჩვევიან ფიქრს და რეალური ცხოვრებისეული პრობლემების კვლევის გზით იძენენ მნიშვნელოვან გამოცდილებას, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში გამოადგებათ.

საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების გამოტანა.

ძალიან მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ისე მიაწოდოს მოსწავლეებს მასალა, რომ მათ ფიქრის, განსჯის, ინტერპრეტირების საშუალება დაუტოვოს და თავს არ მოახვიოს საკუთარი შეხედულებები; დასვას არა მხოლოდ მარტივი კითხვები: „რა?“, „სად?“, „როდის?“ – არამედ ყველა საჭირო კითხვა: „როგორ?“, „რატომ?“, „საიდან იცი?“ – და ა.შ. ამგვარად დასმული კითხვები მოსწავლეებს ეხმარება, თავისუფლად, დაუბრკოლებლად გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები.

მასწავლებელმა უნდა წაახალისოს მოსწავლეთა დამოუკიდებლობა. ხშირად მოსწავლეები შეცდომის შიშის, საკუთარ პასუხში დაურწმუნებლობისა თუ პასუხისმგებლობისთვის თავის არიდების გამო მიჯაჭვულნი არიან მასწავლებელს, რაც აფერხებს მათში კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას. ამის თავიდან ასაცილებლად მასწავლებელმა უნდა მიაგნოს მიჯაჭვულობის მიზეზს და ხელი შეუწყოს დამოუკიდებლობის განვითარებას.

კრიტიკული აზროვნება მოითხოვს დამაჯერებელ არგუმენტაციას. ყველა არგუმენტს აქვს თავისი კონტრარგუმენტი, ამიტომ არგუმენტაციის ჩამოყალიბებას სერიოზული მოფიქრება და წესების დაცვა სჭირდება. მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა ასწავლოს დამაჯერებელი არგუმენტირება, რომელიც სამი კომპონენტისგან შედგება.

- მტკიცება ანუ თეზისი;
- საბუთი;
- მტკიცებულება.

კრიტიკული აზროვნება აზროვნების მაღალი დონეა. ეს თანდაყოლილი უნარი არ არის და ვითარდება პედაგოგის დახმარებით. კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანით მანიპულირება თითქმის შეუძლებელია. ამდენად, კრიტიკული აზროვნების უნარი ადამი-

კრიტიკული აზროვნება მოითხოვს დამაჯერებელ არგუმენტაციას. ყველა არგუმენტს აქვს თავისი კონტრარგუმენტი, ამიტომ არგუმენტაციის ჩამოყალიბებას სერიოზული მოფიქრება და წესების დაცვა სჭირდება. მასწავლებელმა მოსწავლეებს დამაჯერებელი არგუმენტირება უნდა ასწავლოს.

ანისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. განათლების სპეციალისტები გვარწმუნებენ, რომ XXI საუკუნის ადამიანისთვის ის, უბრალოდ, სასიცოცხლოდ აუცილებელია. საქმე ის არის, რომ ინფორმაციული ინდუსტრიის ეპოქაში ჩვენ ყოველდღიურად გვიწევს მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება (თამარ ტალიაშვილი).

კრიტიკული აზროვნების განვითარება და პრობლემების სწორად გადაჭრის გზების ძიება სხვა ადამიანებთან კამათის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის გარეშე შეუძლებელია. ამიტომ მასწავლებელმა მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშესაწყობად უნდა გამოუმუშაოს სხვათა მოსმენისა და მათი აზრის გათვალისწინების, საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისა და დაცვის უნარები.

როდესაც მოსწავლე ახდენს რეფლექსიას, შეუძლია საკუთარი და სხვათა შეხედულებების ადეკვატურად შეფასება, საჭიროების შემთხვევაში საკუთარი შეცდომის აღიარება, ეს უკვე მეტაკოგნიციის, მაღალი სააზროვნო დონის (აზროვნება აზროვნების შესახებ) პროცესია.

მეტაკოგნიციის დროს ხდება იმის შემეცნება, რა ვიცით (მეტაკოგნიტიური ცოდნა), იმის გაცნობიერება, რას ვაკეთებთ, როგორ ვიქცევით (მეტაკოგნიტიური უნარი), როგორია ჩვენი მიმდინარე კოგნიტიური და ემოციური მდგომარეობა (მეტაკოგნიტიური შეგრძნება). მეტაკოგნიცია მოიცავს მეტაკომპონენტებს – მართვის პროცესებს, რომლებიც ინფორმაციის გადამუშავების პროცესებს არეგულირებს.

ეს კომპონენტებია:

- პრობლემის აღიარება;
- პრობლემის გაცნობიერება და იმ პროცესების ამორჩევა, რომლებიც გამოდგება მის გადასაჭრელად;
- სტრატეგიის არჩევა;
- გონებრივი რესურსების განაწილება;
- პრობლემის გადაჭრის მსვლელობის კონტროლი, პრობლემის გადაჭრის ეფექტიანობის შეფასება.

სწავლისა და აზროვნების მარეგულირებელი სამი მეტაკოგნიტიური უნარი: დაგეგმვა, მონიტორინგი და შეფასება – მეტაკოგნიციის განვითარების საფუძველია.

დაგეგმვა გულისხმობს იმის განსაზღვრას, რამდენი დრო უნდა დაუთმოს მოსწავლემ დავალების შესრულებას, რა სტრატეგიები უნდა გამოიყენოს. ამ დროს მან საკუთარ თავს უნდა დაუსვას შემდეგი კითხვები: რა ტიპის წინარე ცოდნა აქვს პრობლემის გადასაჭრელად? როგორ აპირებს მის გადაჭრას? რა არის არსებითი, რა უნდა გამოკვეთოს?

მონიტორინგი გულისხმობს, რამდენად სწორად შეარჩია მოსწავლემ სტრატეგიები და მოიძია შესაბამისი რესურსები, საჭიროა თუ არა რამის შეცვლა უკეთესი შედეგის მისაღებად.

შეფასება უმნიშვნელოვანესი მეტაკოგნიტიური უნარია, რომელიც მოიცავს განსჯას სწავლისა და ფიქრის პროცესებისა და შედეგების შესახებ. ამოცანის დასრულების შემდეგ მოსწავლემ შესაძლოა ჰკითხოს საკუთარ თავს, რამდენად სწორად გადაჭრა ამოცანა, მიაღწია თუ არა დასახულ მიზანს, საჭიროა თუ არა რამის შეცვლა.

თუ გვსურს, ბავშვებმა შეძლონ ცხოვრების რთულ გამოწვევებთან გამკლავება, მათ, უპირველეს ყოვლისა, ფიქრი უნდა ვასწავლოთ. თქვენ გევალებათ, დაუსვათ ზუსტი კითხვები, მოუსმინოთ და რეაგირება მოახდინოთ. ბავშვების მოვალეობაა, იფიქრონ იმაზე, როგორ გადმოსცენ თავიანთი აზრები თქვენთვის გასაგები ენით. ეს საუკეთესო გზაა ცოდნის გასამყარებლად (ბრაიან უშირო).

ზუსტი კითხვების დასმა ძალიან მარტივია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16652
2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი – სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიები
3. http://mastsavlebeli.ge/?p=2190 – რატომ უნდა ვასწავლოთ კრიტიკული აზროვნება
4. https://at.ge/2020/06/09/kritikuli-azrovneba/

მაია ფირჩხაძე

ევრისტიკული სწავლების მოდელირება დიალოგური ფორმით – გზა შემოქმედებითი კომპლექსური დავალებისკენ

ევრისტიკული სწავლების სისტემაში დიალოგის კომპონენტების ჩართვით (მიზანი, შინაარსი, ფორმა, მეთოდები, კრიტერიუმები, შეფასება) საშუალებას ვაძლევთ მოსწავლეს, მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება და უფრო შემოქმედებითი გახდეს.

საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში აქტიურად ინერგება კომპლექსური, შემოქმედებითი ხასიათის დავალებების შესრულება, რამაც კიდევ უფრო გაზარდა საგაკვეთილო პროცესში ტრადიციული პედაგოგიკური მეთოდებისა და მიდგომების ჩართულობის ხარისხი. ეს ბუნებრივია, რადგან კომპლექსური დავალებების ხასიათი და შინაარსი თავად მიუთითებს მოცემული მეთოდებისა და მიდგომების აქტუალობაზე.

შინაარსის მიხედვით, კომპლექსური დავალებები იყოფა:

- შემეცნებითი, კვლევითი ხასიათის დავალებებად,
- ლოგიკურ ამოცანებად და
- დავალებებად, რომლებიც არასტანდარტულ მიდგომებს მოითხოვს.

ცნობილია, რომ სამუშაოს ორგანიზების ხასიათს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შედეგიანობის თვალსაზრისით. თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ კომპლექსური დავალებები ერთმნიშვნელოვნად შემოქმედებითი ხასიათის დავალებებია. შემოქმედებითი ხასიათის დავალებების ორგანიზებით კი, ერთი მხრივ, ახალ დონეზე ადის მოსწავლის კოგნიტიური და კომუნიკაციური, ინფორმაციის დამოუკიდებლად და შემოქმედებითი გზით გადაწყვეტის უნარები, მეორე მხრივ კი მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის რეკონსტრუირება და ინფორმაციის ძიების, კვლევის, ანუ ევრისტიკული პროცესები.

ევრისტიკული მეთოდი ცნობილია სოკრატული სწავლების სახელითაც, რომელიც ძირითადად გულისხმობს მოსწავლეების აქტიურად ჩართვას საკუთარი ცოდნის აგებაში კითხვა-პასუხის გზით (მეთოდის სახელწოდება მომდინარეობს ფილოსოფოს სოკრატესგან, რომელიც მოსწავლეებს სწორედ ამ გზით ასწავლიდა ფილოსოფიას).

ევრისტიკული ძიების (ანუ სოკრატული მეთოდის) გამოყენებისას მასწავლებელი:

- წაახალისებს მოსწავლეთა აზროვნებას და ხელს უწყობს ინტერაქციას;
- სთხოვს მოსწავლეებს აზროვნებას, რათა ისინი დამოუკიდებლად მივიდნენ პრობლემის გადაწყვეტამდე;
- სვამს მხოლოდ პრობლემურ (და არა ინფორმაციულ) კითხვებს (მაგ., რას ფიქრობთ ამაზე? რა განმარტებები გვჭირდება ამისთვის?) და არ აწვდის არანაირ ინფორმაციას;
- პრობლემური კითხვების დასმისას მასწავლებელს მოჰყავს ფაქტები მოსწავლეთა მოსაზრებების საწინააღმდეგოდ, მაგრამ არ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას;
- ხელს უწყობს იმ პასუხების ეჭვქვეშ დაყენებას, რომლებსაც გვაძლევენ ავტორიტეტები;
- ამ დროს მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს პრობლემის თაობაზე, თამამად წამოაყენებენ ჰიპოთეზებს და ვერსიებს;
- აანალიზებენ ერთმანეთის არგუმენტებს;
- ცდილობენ ფაქტებისა და ცნებების ანალიზს, მასალაში მოცემული ფარული არსის გაგებას;
- პრობლემური კითხვების დასმით მიმდინარეობს საგნობრივი ცოდნის უნიკალური განხილვა;
- მოსწავლეები აკავშირებენ სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ცოდნას;
- გამოაქვთ დასკვნები და ახდენენ შეფასებას საკუთარ არგუმენტაციაზე დაყრდნობით;
- სხვადასხვა ელემენტისგან ქმნიან ახალ სტრუქტურას და შედეგად იღებენ უნიკალურ შემოქმედებით, საგანმანათლებლო პროდუქტს.

და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ევრისტიკული, კვლევა-ძიებითი მეთოდი შემოქმედებითი სწავლების დაკონკრეტებაა და პირიქით – ნებისმიერი შემოქმედებითი ხასიათის დავალება თავის თავშივე მოიცავს ევრისტიკულ მიდგომებს. აქედან გამომდინარე, თუ სასწავლო პროცესში ევრისტიკული ძიების მეთოდებს აქტიურად ჩავრთავთ, კომპლექსურ დავალებებს მოსწავლეები კიდევ უფრო საინტერესოდ გადაწყვეტენ.

მასწავლებლის მიერ მიცემულ ინსტრუქციებში, კომპლექსური დავალებების შესრულების გზებისა და ფორმების აღწერილობებში, აქტიურად ფიგურირებს ჰუმანისტური პედაგოგიკის ისეთი კომპონენტები, როგორიცაა:

1. კონსტრუქტივიზმი – როდესაც მასწავლებელი მხოლოდ შემოქმედებითი ხასიათის დავალებას იძლევა და მაორიენტირებელ ფუნქციას ასრულებს და
2. ევრისტიკა – რამდენადაც:
   ა) „სისტემური, კომპლექსური მიგნებები“ მეტწილად დამოკიდებულია აღმოჩენებსა და ინოვაციებზე, ადრე შესწავლილი წესებისა და ახალი ფაქტების სინთეზსა და გაგებაზე, ცოდნის უნიკალურობაზე (ხოლო ევრისტიკული ცოდნა ეფუძნება ინდივიდუალურ ემპირიულ წესებს) და
   ბ) საზოგადოდ, ევრისტიკული ძიება ორიენტირებულია ამოცანების, პრობლემური საკითხების ორიგინალურ გადაწყვეტაზე. ამიტომაც არის ევრისტიკული ძიებით მიღებული შედეგი შემოქმედებითი პროდუქტი; მით უფრო, რომ შემოქმედებითი აზროვნების პროცესში ადამიანი ხშირად ისეთ რამეს აღმოაჩენს, დაინახავს ან შექმნის, რაც მანამდე არავის მოსვლია აზრად. ეს კი ყველაზე უკეთესად თამაშის პროცესში წარმოჩნდება. კომპლექსური დავალებების შესრულებაში თამაშის ელემენტების აქტიური გამოყენებაც ერთ-ერთი მანიშნებელია მასწავლებლისთვის, რომ მას შეუძლია, „აქტიურად გადართოს“ მოსწავლე „ევრისტიკულ ძიებაზე“ და ამით საინტერესო შემოქმედებითი პროდუქტის მისაღებად მნიშვნელოვანი „სვლა“ გააკეთოს.



პედაგოგიური პოზიციიდან, მოსწავლის მიერ დასმული შეკითხვა ის შემოქმედებითი პროდუქტია, რომელშიც ჩანს დიალოგი ცოდნასა და უცოდინრობას შორის, ადამიანსა და გარე სამყაროს შორის, კულტურასა და ცივილიზაციას შორის.

მაგრამ დისტანციურმა რეჟიმმა მრავალი გამოწვევის წინაშე დააყენა თანამედროვე სწავლება და კომპლექსური დავალებების შესრულებაში ევრისტიკული მიდგომის გამოყენებამაც თითქოს დაკარგა უწინდელი მნიშვნელობა. თუმცა ეს – მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში დისტანციურმა სწავლებამ ტრადიციული მეთოდებისა და მიდგომების უნიკალურობა და ახალ-ახალი შესაძლებლობები გამოავლინა. მათ შორისაა ევრისტიკული ფორმით სწავლებაში გარკვეული ინოვაციების შეტანა. კერძოდ, დისტანციური მუშაობისას (თამაშის ელემენტების გამოყენებასთან ერთად) აშკარად გამოიკვეთა კომუნიკაციის დიალოგური ფორმების უპირატესობა. ამიტომ დისტანციურ გაკვეთილებზე ევრისტიკული და დიალოგური სწავლების ფორმების „შეერთებით“ უნიკალური შემოქმედებითი პროდუქტის მიღების ახალი შესაძლებლობები გაჩნდა.

ამგვარი მუშაობისას დიალოგი ერთგვარი მეთოდოლოგიური პრინციპიცაა და განხორციელების ინსტრუმენტიც. ამავე დროს, ის მოსწავლეთა თვითრეალიზაციასაც უზრუნველყოფს. მთავარია, მასწავლებელმა შეძლოს დისტანციურ გაკვეთილზე ევრისტიკული სწავლების მოდელირება დიალოგის საფუძველზე და თანაც ისე, რომ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მოსწავლეთა თვითრეალიზაციას და დასახული მიზნის მიღწევას.

როგორ შეიძლება განხორციელდეს ეს?

ევრისტიკული სწავლების მთავარი ელემენტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის შეკითხვა. პედაგოგიური პოზიციიდან, მოსწავლის მიერ დასმული შეკითხვა ის შემოქმედებითი პროდუქტია, რომელშიც ჩანს დიალოგი ცოდნასა და უცოდინრობას შორის, ადამიანსა და გარე სამყაროს შორის, კულტურასა და ცივილიზაციას შორის. და **ეს ხორციელდება შეკითხვების სამი მეთოდოლოგიური ჯგუფის გააერთიანებით: „რა?“, „როგორ?“, „რატომ?“** – ანუ დიალოგის წარმოების ძირითადი კომპონენტების შერწყმის გზით. იმავდროულად, ეს კითხვები ის ძირითადი ნიშნულებია, რომელთა გარშემოც აიგება კომპლექსური შემოქმედებითი ხასიათის დავალებები, და ეს ევრისტიკული სწავლების მოდელირებას დიალოგური ფორმით კიდევ უფრო აქტუალურს ხდის.

ევრისტიკული სწავლების სისტემაში დიალოგის კომპონენტების ჩართვით (მიზანი, შინაარსი, ფორმა, მეთოდები, კრიტერიუმები, შეფასება) საშუალებას ვაძლევთ მოსწავლეს, მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება და უფრო შემოქმედებითი გახდეს. ამ მიდგომის გამოყენებისას მოსწავლეები გამოავლენენ:

- სწრაფვას, ღრმად გაიაზრონ მასალა და გაიღრმავონ ცოდნა (დასვან კითხვები, რითაც ახალ შინაარს შესძენენ ცოდნას, სწავლას);
- კრეატიულობას (კითხვების დასმის, მტკიცებულებებისა და არგუმენტირების, მეტასაგნობრივი კომპეტენციების გამოყენების, ევრისტიკული ხასიათის დავალებების შესრულების, დიალოგის წარმოების უნარების დემონსტრირება);
- კოგნიტიურობას (მუშაობისას ისინი შექმნიან საინტერესო შემოქმედებით პროდუქტს, გაიღრმავებენ ცოდნას და ა.შ.).

მაგალითი 1. სწავლის ზედა საფეხური. ისტორიის გაკვეთილზე მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეს, მოიგონოს შესაძლო დიალოგი ოპონენტებს შორის თემაზე: „რა არის ისტორია?“ იწყება ევრისტიკული, კვლევა-ძიებითი პროცესი და მოსწავლე ასრულებს დავალებას – წარმოადგენს დიალოგს, სადაც, ერთის აზრით, ისტორია მოვლენათა შემთხვევითი ჯაჭვია, ხოლო მეორის აზრით – კანონზომიერი და აუცილებლობით გამოწვეული მოვლენების შედეგი. მოცემულ კითხვაზე პასუხი ამავე დროს მოიცავს პასუხს კითხვაზე: „როგორ?“ მასწავლებლის თხოვნაზე, მოიყვანოს არგუმენტი, თუ რატომ ფიქრობს ასე (რითაც აქტიურდება დიალოგისთვის აუცილებელი მესამე შეკითხვაც – „რატომ?“), მოსწავლე ახდენს რეფლექსიას, განიხილავს რამდენიმე თვალსაზრისს, აწარმოებს დიალოგს ისტორიული შინაარსის ტექსტებს შორის, ისტორიკოსებს შორის, დიალოგს საკუთარ თავთან და ა.შ. წარმოდგენილი დასკვნებით კი მივიღებთ რეალურ შემოქმედებით პროდუქტს, რასაც ისახავდა კიდეც მიზნად მოცემული აქტივობები.

მაგალითი 2. საბაზო საფეხური. თემა – „ქრისტიანობა“. იმის შესამოწმებლად, რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა ქრისტიანობის ისტორიისთვის მნიშვნელოვანი დეტალები, მასწავლებელმა ორ კლასს მისცა შემდეგი ტიპის კომპლექსური დავალება:

გაეცანით ინფორმაციას და ააგეთ ჰიპოთეზა, რომელიც პასუხს გასცემს ტექსტში აღნიშნულ განსხვავებას:

„ერთ-ერთ გორაკზე რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა არქეოლოგიური გათხრები. მუშაობის პროცესში გორაკის ძირას გამოიკვეთა ორი ნამოსახლარის ნაშთები: ერთი უნდა ყოფილიყო გაუმაგრებელი დასახლება, მეორე – თავის დროზე კარგად გამაგრებული ციხე-ქალაქი. ორივე დასახლების ფენები ერთმანეთს იყო შერეული. არქეოლოგებმა ციხე-ქალაქის ნანგრევებში იპოვეს ძირითადად ქრისტიანული რწმენისთვის



დამახასიათებელი ნიშნები, ხოლო გაუმაგრებელი დასახლების ნანგრევებში - მხოლოდ წარმართული რელიგიის კვალი“.

ერთი კლასის მოსწავლეებმა მეტ-ნაკლებად გადაწყვიტეს ამოცანა, მეორე კლასის მოსწავლეებს კი დავალების შესრულება გაუჭირდათ. ასეთ დროს მასწავლებელი პრობლემის გადასაჭრელად მიმართავს ევრისტიკული დიალოგის ფორმას.

ევრისტიკული დიალოგი, სავარაუდოდ, ასეთ სახეს მიიღებს:

„მასწავლებელი: ამოცანაში საუბარია არქეოლოგიურ გათხრებსა და ორი ტიპის დასახლებაზე – გამაგრებულ ციხე-ქალაქსა და გაუმაგრებელ დაბაზე, რომლებიც ერთმანეთშია შეჭრილი. თქვენთვის ცნობილია, რა საქმიანობას ეწევა არქეოლოგი და რა საკითხების გადაჭრა უწევს. აღწერილ შემთხვევაში, რა კითხვა გაგიჩნდებოდათ თქვენ, როგორც არქეოლოგს?

მოსწავლე: ერთსა და იმავე პერიოდს მიეკუთვნება ეს დასახლებები თუ სხვადასხვას?

მასწავლებელი: ვფიქრობ, საკითხი სწორადაა დასმული. მაგრამ რატომ მაინცდამაინც ეს კითხვა გაგიჩნდათ პირველად? ან რა გაძლევთ მასზე პასუხს?

მოსწავლე: თუ დასახლებები ერთი და იმავე პერიოდისა არ არის, მაშინ პასუხი ნათელია - ჯერ იყო წარმართული ხანის დასახლება, შემდეგ - ქრისტიანული.

მასწავლებელი: მაშინ რატომ იყო სხვადასხვა რელიგიის ნაშთები სხვადასხვა ადგილას? ხომ შეიძლებოდა, ისინი ერთსა და იმავე, ანუ შესაფერის ადგილას ყოფილიყო?

მოსწავლე: ეს ხომ ნათელია: ესე იგი, დასახლება ერთი და იმავე პერიოდისა იყო. რამდენიმე ნაშთი ერთგვარია, ორივე დასახლებაში ერთნაირი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთმანეთს კვეთენ, შეჭრილები არიან ერთმანეთში.

მასწავლებელი: კარგი, დავუშვათ, ისინი ერთი და იმავე პერიოდისაა. რა გამოდის აქედან?

მოსწავლე: ის, რომ ეს იყო ორი ნაწილისგან შემდგარი დასახლება.

მეორე მოსწავლე: და რომ სიმაგრეში ცხოვრობდნენ მეომრები, გაუმაგრებელ დასახლებაში კი – მათ მიერ დამორჩილებული ხალხი, ან უბრალოდ რიგითი მოქალაქეები.

მესამე მოსწავლე: რომ ციხე-ქალაქში ცხოვრობდნენ დიდებულები, გაუმაგრებელ დასახლებაში კი – ღარიბები.

მასწავლებელი: რა არის სიმართლე, რომელი უფრო დასაჯერებელია?

მეოთხე მოსწავლე: ციხესიმაგრეში უნდა ცხოვრობდნენ დამპყრობლები, რომლებიც დამორჩილებული მოსახლეობის თვალში დიდებულები არიან.

მასწავლებელი: კარგი, მაგრამ რისი ბრალი უნდა ყოფილიყო, რომ სხვადასხვა რწმენის კვალი სხვადასხვა ადგილას აღმოჩნდა გაბნეული? რით აიხსნება ეს?

მოსწავლე: რამდენადაც ციხე-ქალაქში აღმოჩნდა ქრისტიანული რელიგიის ნიშნები, ე.ი. მდიდრებს შორის ეს სარწმუნოება უკვე იყო გავრცელებული, ხოლო ღარიბები რჩებოდნენ წარმართებად.

მასწავლებელი: რით აიხსნება ეს?

მოსწავლე: ჩვენ ვიცით, რომ ხალხი ეწინააღმდეგებოდა დიდებულებს და მათ გამოც არ სურდა ახალი რწმენის მიღება, თუმცა დიდებულები უფრო წიგნიერები იყვნენ და მათ შორის ადვილად ვრცელდებოდა ახალი რწმენის ნიშნები.

მასწავლებელი: მაშ, რატომ არის ეს მხოლოდ ჰიპოთეზა?

მოსწავლეები: იმიტომ, რომ როცა გამოითქმის მოსაზრება, უნდა მოიძებნოს დამადასტურებელი ფაქტებიც, ამ შემთხვევაში – ისეთი, რომელიც დაადასტურებს, რომ გორაკზე მცხოვრები ხალხი სარგებლობდა რელიგიური ელემენტებით, რომელთა ნაშთები მართლაც იპოვეს არქეოლოგებმა.

მასწავლებელი: მაშასადამე, რა შეიძლება ითქვას ჰიპოთეზაზე?

მოსწავლეები: ჰიპოთეზა – ეს მხოლოდ ვარაუდია, რომელიც ეფუძნება დასკვნების წყებას, მაგრამ ეს ვარაუდი ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლება მტკიცებულებად".

მოსწავლეთა პასუხები ის განსაკუთრებული, უნიკალური შემოქმედებითი პროდუქტებია, რომლებიც ევრისტიკული დიალოგის გზით იქნა მიღებული, თანაც ისე, რომ დისტანცია მოსწავლე-მასწავლებელს შორის სრულებით არ ქცეულა ინფორმაციის წვდომისთვის ხელის შემშლელ ფაქტორად.

მაგალითი 3: დაწყებითი საფეხური. თემა – „ზმნის ფორმები". მოსამზადებელი სამუშაოს შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს მიუთითა წინასწარ მომზადებულ სქემაზე და შესთავაზა, განესაზღვრათ გრამატიკული ნიშანი, რომლის მიხედვითაც გაარჩევდნენ ზმნებს შეთავაზებული ორი სვეტიდან.

I ეტაპზე მოსწავლეებს გაუჭირდათ დავალების შესრულება, მაგრამ მერე იპოვეს მათთვის ცნობილი ინფორმაცია (ზმნის ნიშნები) და მის საფუძველზე გამოთქვეს ვარაუდები, თუმცა მალევე მიხვდნენ, რომ წინარე ცოდნა ამ ვითარებაში ნაკლებად გამოადგებოდათ. ერთ-ერთმა განაცხადა, რომ გრამატიკული განსხვავება აქ საერთოდ არ იყო, თუმცა მისი აზრი კლასმა არ გაიზიარა. მეორემ გამოთქვა აზრი რომელიღაც უცნობი ნიშნის „ზედმეტობის" შესახებ, რომლის განხილვის დროსაც გამოიკვეთა მიზანი – ამ ახალი გრამატიკული ნიშნის პოვნა.

II ეტაპზე მასწავლებელმა მოსწავლეებს ძიება დააწყებინა ორი დაუმთავრებელი წინადადებით: „მე დიდხანს ... მარკებს" და „მე ... ყველა მარკა". მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზა, ჩაესვათ ზმნა შესაფერის ფორმაში.

მათ ადვილად შეასრულეს ეს დავალება, მაგრამ განსხვავების პოვნა ამ ორს შორის ვერ მოახერხეს.

III ეტაპზე მასწავლებელმა სხვა ხერხს მიმართა – მოსწავლეებს შესთავაზა, წაეკითხათ პატარა მოთხრობა: „დედამ სამსახურიდან შვილებს დაურეკა და ჰკითხა, საქმე როგორ არისო? ერთმა უპასუხა, მე ვსწავლობდი გაკვეთილებს, ვასრულებდი დავალებას, ვემზადებოდი კარნახისთვის, ოთახის დალაგებისა და იატაკის დასუფთავებისთვისო; მეორემ – მე ვისწავლე გაკვეთილები, ამოვხსენი ამოცანები, მოვემზადე კარნახისთვის, დავალაგე ოთახი და იატაკიც დავასუფთავეო".

მოთხრობის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელმა იკითხა: „როგორ ფიქრობთ, რომელ შემთხვევაში შეუძლია დედას, იყოს მშვიდად და რატომ?"

პასუხი: „მოთხრობის იმ ნაწილის გათვალისწინებით, როცა მეორე შვილმა დაასრულა სამუშაო, ადვილია განსხვავების პოვნა იმ სიტყვებს შორის, რომლებიც სინამდვილეში წარმოადგენს პირველ შემთხვევაში მოცემული დაუმთავრებელი მოქმედების აღმნიშვნელ ზმნებს". ამით მოსწავლეები დაეუფლნენ ცნებების – „ზმნის დასრულებული და დაუსრულებელი ფორმები" – განმსაზღვრელ აზრს და დიალოგური ფორმით მუშაობისას შექმნეს შემოქმედებითი პროდუქტიც – საკუთარი არგუმენტები, შეკითხვები, პასუხები და შეიძინეს ახალი ცოდნაც (იმისთვის, რომ მიღებული ცოდნა უფრო სრულყოფილი იყოს, მასწავლებელს შეუძლია მოიყვანოს დამატებითი მაგალითები და მეტი თვალსაჩინოებისთვის შესთავაზოს მოსწავლეებს ცხრილის, ტაბულის, სქემის აგება, რასაც დისტანციური მუშაობის რეჟიმში ადვილად დაძლევენ ეკრანის გაზიარების გზით).

ევრისტიკული მეთოდის მოდელირება დიალოგის ფორმით ამაღლებს მოსწავლის მოტივაციას დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობისთვის, ხელს უწყობს თვითკონტროლს და უნარების განვითარებას, ცოდნის აქტუალიზაციას. მუშაობისას მოსწავლე და მასწავლებელი თანაბრად ერთვებიან სასწავლო პროცესში და სწორი კომუნიკაციური კავშირის გზით საინტერესო შედეგამდე მიდიან.

ნინო ჭიაბრიშვილი

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება

სამოქალაქო განათლება ნიშნავს მოსწავლეთა (ა) პოლიტიკურ წიგნიერებას, (ბ) კრიტიკულ აზროვნებას და განსაზღვრული დამოკიდებულებისა და ღირებულებების განვითარებას, (გ) აქტიურ მონაწილეობას. მოქალაქეობრივი განათლების წარმატებული გამოცდილების სტრატეგიებიდან ამჯერად საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლებას (სსს) შევეხებით.

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლებას, როგორც პოპულარულ საგანმანათლებლო ფილოსოფიას, ხანგრძლივი ისტორია აქვს. ბევრი მის ფესვებს ჯონ დიუისა და ჟან პიაჟეს ნაშრომებში პოულობს, ზოგი კი უფრო შორს, ალექსის დე ტოკვილამდე მიდის. ამ ფილოსოფოსებს სჯეროდათ, რომ სწავლა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი პროცესში და როდესაც სწავლას კონკრეტული მიზანი აქვს.

ტერმინი „საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება“ გულისხმობს მეთოდს, რომლის დროსაც მოსწავლეები სწავლობენ გააზრებულად, ორგანიზებულ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობით. ის რამდენიმე თავისებურებით ხასიათდება:

- ხორციელდება საზოგადოებაში და ეხმიანება მის საჭიროებებს;
- შესაძლებელია დაიგეგმოს სწავლების ნებისმიერ საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო, უმაღლესი);
- ხელს უწყობს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებას;
- ინტეგრირებულია, აძლიერებს და აფართოებს (ძირითად) აკადემიურ კურიკულუმს ან საზოგადოებრივი საქმიანობის პროგრამების საგანმანათლებლო კომპონენტებს, რომლებშიც მოსწავლეები მონაწილეობენ;
- მოსწავლეებს ან მონაწილეებს სთავაზობს სტრუქტურირებულ დროს მიღებულ გამოცდილებაზე ფიქრისთვის.

სსს-ის ყველაზე დიდი ხიბლი ის გახლავთ, რომ რაღაც რეალური და კონკრეტული კეთდება. სწავლა სხვა განზომილებაში გადადის. როცა მოსწავლეები ინტელექტუალურად და ემოციურად ჩართულები არიან, რაღაც ახალს აღმოაჩენენ ან ცალკეულ იდეებს შორის კავშირებს ამყარებენ. ის, რაც სკოლაში ისწავლეს, უცებ მნიშვნელოვანი ხდება მათი გონებისა და გულისთვის. გარდა ამისა, შედეგით მოსწავლეც და საზოგადოებაც თანაბრად მოგებულები რჩებიან.

სსს-ს საზოგადოების/თემის ჩართულობით სწავლებასაც უწოდებენ, რადგან ის სასწავლო მიზნებსა და საზოგადოების სამსახურს აერთიანებს ისე, რომ მოსწავლეთა განვითარებასაც უწყობს ხელს და საზოგადოების კეთილდღეობასაც. ის სწავლებისა და სწავლის სტრატეგიაა, რომელიც მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმიანობას სწავლებასა და აზროვნებასთან აერთიანებს, რითაც ხელს უწყობს სწავლის გამოცდილებას, ასწავლის სამოქალაქო პასუხისმგებლობას და აძლიერებს თემს.

სსს-ის სარგებელი რამდენიმე მიმართულებით შეიძლება წარმოვადგინოთ: სწავლის სარგებელი, პიროვნული სარგებელი, სარგებელი თემისთვის/საზოგადოებისთვის, პროფესიული წინსვლა, სხვადასხვა ინსტიტუციასთან ურთიერთობა. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების ყველაზე დიდი ხიბლი ის გახლავთ, რომ რაღაც რეალური და კონკრეტული კეთდება. სწავლა სხვა განზომილებაში გადადის. როცა მოსწავლეები ინტელექტუალურად და ემოციურად ჩართულები არიან, რაღაც ახალს აღმოაჩენენ ან ცალკეულ იდეებს შორის კავშირებს ამყარებენ.

სწავლის სარგებელი:

- დადებითი გავლენა აქვს მოსწავლეთა აკადემიურ მაჩვენებლებზე;
- უვითარებს მოსწავლეებს უნარს, ნასწავლი ცხოვრებაში გამოიყენონ;
- დადებითი გავლენა აქვს ისეთ ზოგად უნარებზე, როგორიცაა გააზრება, პრობლემის ანალიზი, პრობლემის გადაჭრა, კრიტიკული აზროვნება და შემეცნება;
- ავითარებს სირთულესა და ბუნდოვანებასთან გამკლავების უნარს.

პიროვნული სარგებელი:

- პიროვნული ეფექტურობის ზრდა, იდენტობის ჩამოყალიბება, სულიერი და მორალური განვითარება;
- პიროვნებათაშორისი ურთიერთობების, განსაკუთრებით – სხვებთან შეწყობილად მუშაობის უნარის განვითარება, ლიდერობისა და კომუნიკაციის უნარების სრულყოფა.

თემის/საზოგადოების სარგებელი:

- სტერეოტიპული დამოკიდებულებების შემცირება და ინტერკულტურული ურთიერთობების განვითარება;
- საზოგადოებრივი პასუხისმგებლობისა და მოქალაქეობრივი უნარების სრულყოფა;
- სკოლის დასრულების შემდგომ უფრო აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობა.

პროფესიული წინსვლა:

- კავშირები პროფესიონალებთან და, ზოგადად, საზოგადოების წევრებთან სწავლისა და პროფესიული წინსვლის შესაძლებლობისთვის;
- აკადემიური წარმატება, ლიდერობის უნარები და პიროვნული ეფექტურობა აფართოებს პროფესიული ზრდის შესაძლებლობებს.

ინსტიტუციებთან ურთიერთობა:

- აკადემიურ პერსონალთან მჭიდრო ურთიერთობა;
- კმაყოფილების ზრდა სკოლის ფარგლებში და მის მიღმა ინსტიტუციებში;
- კურსდამთავრებულთა მაღალი აკადემიური მაჩვენებლები.

ზოგადი რეკომენდაციები სსს-ისთვის

წარმატებულ სსს-ის განსაზღვრული ფორმატი აქვს, რაც მის მონაწილეებს მიზნების მიღწევაში უწყობს ხელს. ცალკეული ეტაპისთვის დეტალური გეგმის შექმნა საშუალებას გვაძლევს, მთლიანობაში წარმოვიდგინოთ საქმიანობა, დავაინტერესოთ მოსწავლეები და დავიცვათ წარმატებისთვის აუცილებელი ძირითადი სტანდარტები.

განვიხილოთ ფორმატის ძირითადი პუნქტები:

მომზადება – ამ საფეხურზე მასწავლებელი საკუთარ თავსაც და მოსწავლეებსაც ამზადებს სსს-ში ჩასართავად. შეიძლება დაწყება იმ პროექტის შერჩევით, რომელზე მუშაობაც გსურთ; იმაზე ფიქრით, როგორ დაუკავშიროთ ეს პროექტი სასწავლო პროგრამას; მოსწავლეთა და ადგილობრივ ორგანიზაციათა შესაძლო კავშირებზე ფიქრით; საზოგადოების საჭიროებებზე საუბრით და მოსწავლეთა ინტერესის აღძვრით, მოქმედებისთვის მომზადებით. დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ თქვენ მიერ შერჩეული პროექტი აქტუალურია/რელევანტურია საზოგადოებისთვის.

მოსწავლეთა ინტერესის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია, რომ ამ და ყველა მომდევნო ეტაპზე მათ ჰქონდეთ ხმის უფლება. მაგ., შესაძლოა კლასმა კენჭისყრით გადაწყვიტოს, რომელი საზოგადოებრივი საკითხის მხარდაჭერა სურთ ან პროექტში რა ინდივიდუალური წვლილის შეტანას ისურვებდნენ.

მოსწავლეებმა გადასაჭრელი პრობლემის შესახებ შეიძლება გაიგონ:

- საკლასო ან მცირე ჯგუფებში დისკუსიით;
- ვიზუალური გონებრივი იერიშით;
- წიგნებით;
- ინტერნეტკვლევით;
- ახალი ამბების ანონსით;
- ინფოგრაფიკით;
- ვიდეოთი.

მოქმედება – ეს პრაქტიკული კომპონენტია, რომლის დროსაც მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ ნასწავლი და ის რეალურ საზოგადოებრივ საქმიანობას მიუსადაგონ. ამ ეტაპზე მოსწავლეები უშუალოდ ეხმარებიან საზოგადოების წევრებს და მათ, ვისზეც არსებულმა პრობლემამ იმოქმედა.

მოსწავლეებს შეუძლიათ, შეარჩიონ საქმიანობის შემდეგი გზები:

- საველე გასვლები;
- კვლევითი პროექტები;
- ღონისძიებები;
- ხელგარჯილობა/ხელოსნობა;
- ფონდების მოზიდვა;
- სწავლება;
- საინფორმაციო კამპანია;
- სხვადასხვა მომსახურება (დასუფთავება, მშენებლობა, გამწვანება და სხვ.).

გააზრება – ეს ეტაპი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, გაიაზრონ განხორციელებული საზოგადოებრივი საქმიანობა, გააანალიზონ, რა ისწავლეს და როგორ გამოიყენებენ ნასწავლს სასწავლო პროგრამაში. ამგვარი რეფლექსია წახალისებული უნდა იყოს ყველა ეტაპზე, თუმცა ამ საფეხურზე პროცესი უფრო სიღრმისეულია და მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, დაფიქრდნენ, რა ისწავლეს და რას გრძნობენ იმ საქმიანობისადმი, რომელიც საზოგადოებისთვის განახორციელეს.

მოსწავლეებს საკუთარ გამოცდილებაზე რეფლექსიისას შეუძლიათ გამოიყენონ:

- ჯგუფური დისკუსია;
- ჟურნალში ჩანაწერები;
- სამუშაო ფურცლები;
- ესე;
- ბლოგი;
- ვიდეო;
- ლექსი ან სიმღერა;
- ნახატები/ფოტოგამოფენა.

დანართის (N1) სახით გთავაზობთ რეფლექსიის ფორმის ნიმუშს.

დემონსტრირება – მოსწავლეებს შეუძლიათ, კლასს, სკოლას ან საზოგადოებას აჩვენონ/გააცნონ, რა ისწავლეს პროექტის ფარგლებში პრობლემისა და მისი გადაჭრის გზების შესახებ. ეს მათ საშუალებას აძლევს, უფრო სიღრმისეულად გაიაზრონ საზოგადოებაში არსებული პრობლემები და ის, თუ რა წვლილის შეტანა შეუძლიათ მის გადაჭრაში სხვა ადამიანებს.

მოსწავლეებს შეუძლიათ, თვალსაჩინოდ წარმოადგინონ ნასწავლი შემდეგი საშუალებებით:

- დასკვნითი პრეზენტაცია;
- სკეტჩი;
- სლაიდშოუ;
- ვიდეო;
- ინფოგრაფიკა;
- გრაფიკები/დიაგრამები;
- წიგნი/პორტფოლიო.

მიღწევის აღნიშვნა – მოსწავლეებს შეუძლიათ, მიულოცონ საკუთარ თავს და სხვებს საზოგადოებისთვის გაწეული სამსახური და პრობლემის მოგვარებაში შეტანილი წვლილი.

ამ ეტაპზე შედეგებზე მნიშვნელოვანია ძალისხმევაზე ყურადღების გამახვილება. ცხადია, არაჩვეულებრივია დადებითი შედეგის აღნიშვნა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი მოსწავლეთა თავდადებული შრომა და ერთგულებაა.

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება გულისხმობს მეთოდს, რომლის დროსაც მოსწავლეები სწავლობენ გააზრებულად, ორგანიზებულ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობით.

მუყაითობა და წარმატება მოსწავლეებმა შეიძლება აღნიშნონ შემდეგი ფორმით:

- მადლიერების ბარათებით ან მცირე საჩუქრებით თანატოლებისა და თემის წევრებისთვის;
- სკოლის შეკრებაზე ან სოციალურ მედიაში აღიარებით;
- საკუთარი ძალისხმევის შედეგებზე მსჯელობით;
- საკლასო წვეულებით (პიცა, ტკბილეული და სხვ.).

შთაგონებისთვის რამდენიმე მაგალითს გთავაზობთ, რომლებიც შესაძლოა გეგმის შედგენისას გამოგადგეთ:

1) საკითხი: წიგნიერება

მომზადება: აუხსენით მოსწავლეებს წიგნიერების მნიშვნელობა და წიგნიერების დაბალი დონის შედეგები ადამიანისა და საზოგადოებისთვის.

მოქმედება: შეაგროვეთ წიგნები და გადაეცით დაბალშემოსავლიან სკოლებს ან საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს დაავალეთ, ასწავლონ კითხვა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს. გახდით წიგნიერების ხელშემწყობი ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციის პარტნიორი.

2) საკითხი: ცხოველებზე ზრუნვა

მომზადება: ესაუბრეთ მოსწავლეებს ცხოველთა თავშესაფრის, აყვანის, რეაბილიტაციისა და ცხოველებისადმი სასტიკად მოპყრობის თავიდან აცილების შესახებ.

მოქმედება: შეაგროვეთ ცხოველების საკვები და სათამაშოები ადგილობრივი ჰუმანიტარული ორგანიზაციის დახმარებით, მერე კი დაგეგმეთ საველე გასვლა თავშესაფარში ცხოველების მოსანახულებლად და მათ დასახმარებლად.

3) საკითხი: სიღარიბე და შიმშილი

მომზადება: ესაუბრეთ მოსწავლეებს საზოგადოებაში არსებული სიღარიბის, შიმშილის და ბავშვის განვითარებასა და ჯანმრთელობაზე მათი უარყოფითი გავლენის შესახებ. იმსჯელეთ იმაზე, რისი გაკეთება შეიძლება ასეთი ადამიანების დასახმარებლად.

მოქმედება: დაუკავშირდით ადგილობრივ ორგანიზაციას, რომელიც სიღარიბეს ებრძვის და მისი რეკომენდაციით, მოსწავლეებთან ერთად, თავი მოუყარეთ იმ სურსათსა და საგნებს, რომლებიც აუცილებელია უსახლკაროებისთვის.

4) საკითხი: გარემო

მომზადება: იმსჯელეთ აქტუალურ ეკოლოგიურ პრობლემებზე; დედამიწაზე მავნე ნარჩენების გავლენასა და მათი შემცირების გზებზე. ისაუბრეთ „შეამცირე, გადაამუშავე, ხელახლა გამოიყენე“ ციკლის მნიშვნელობაზე გარემოზე ზრუნვის თვალსაზრისით.

მოქმედება: დასახეთ სკოლაში ნარჩენების ხელახლა გამოყენების შესაძლო გზები (მაგ., მაკულატურის შეგროვება). გააცანით სკოლის პერსონალსა და მოსწავლეებს, რისი გადამუშავება შეიძლება და რისი – არა. მოამზადეთ მოკლე ინფორმაციული პლაკატები.

5) საკითხი: მრავალფეროვნება და ინკლუზია

მომზადება: აუხსენით მოსწავლეებს, რას ნიშნავს უთანასწორობა. განსაზღვრეთ და აუხსენით მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის მნიშვნელობა. იმსჯელეთ იმაზე, როგორ შეუძლიათ მრავალფეროვნების მხარდაჭერა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მოქმედება: მოსწავლეებთან ერთად დაგეგმეთ და მოაწყ-

ვეთ სკოლაში „მრავალფეროვნების ზეიმი“. მოსწავლეები გაეცნობიან თანატოლთა განსხვავებულ კულტურებსა და ჯგუფებს. გახდით მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის ხელშემწყობი ადგილობრივი ორგანიზაციის პარტნიორი.

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების გეგმის შექმნის შესაძლებლობები უსაზღვროა და ამ პროცესში, როგორც, საზოგადოდ, სწავლებაში, მნიშვნელოვანია შემოქმედებითი მიდგომა. სსს-ის წარმატებული გეგმა თანამშრომლობითი სწავლების ხელშეწყობის საუკეთესო საშუალებაა და წაახალისებს ჯანსაღ კომუნიკაციასა და რეფლექსიას. არ აქვს მნიშვნელობა, რომელ პროექტს აირჩევთ, რადგან საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება ნებისმიერ შემთხვევაში აკადემიური მიზნების მიღწევის, გუნდური მუშაობისა და ურთიერთობის ხელშეწყობის, სკოლის დადებითი კულტურის ჩამოყალიბების არაჩვეულებრივი გზაა.

დანართი N1

ფიქრებისთვის

მე მქვია _____

ვარ _____ წლის, ვსწავლობ _____ კლასში

ვარ ბიჭი გოგო

სხვა დროსაც გიმუშავია თუ არა საზოგადოებისთვის? დიახ ____ არა ____

დღეს მუშაობის მერე თავს ასე ვგრძნობდი:

აქ დახატე, რა გააკეთე დღეს:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თამარ მოსიაშვილი, საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება. ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“, 2016
2. http://mastsavlebeli.ge/?p=12113
3. Bandy Joe (2018). What is Service Learning or Community Engagement? Center for Teaching, Vanderbilt University. https://cft.vanderbilt.edu/guides-sub-pages/teaching-through-community-engagement/
4. Corporation for National Service, National and Community Service Act of 1990.
5. Schmitz Suzanne (2012). How Local Schools can Promote Civic Education. Simon Preview.

გიტა თვალაბეიშვილი

„ზარმაცი“ თუ უხილავი პრობლემების მქონე ბავშვები

ალბათ ბევრმა მასწავლებელმა თუ მშობელმა ნახა და შეიძლება საკუთარ კედელზეც კი გააზიარა ვიდეო მოსწავლეთა მოკლე მიმართვით, რომლის მთავარი ადრესატი მასწავლებლები არიან. ვიდეომ სოციალურ ქსელში საკმაოდ დიდი პოპულარობა მოიპოვა.

ნოემბერ-დეკემბერში USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში მთელი ქვეყნის მასშტაბით საჯარო სკოლების დირექტორთა და დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგები დაიწყო. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლება და მათი საგაკვეთილო პროცესში ჩართვა ამ პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელსაც ორგანიზაცია „ბავშვი, ოჯახი და საზოგადოება“ (CFS) უძღვება. სატრენინგო სესია სწორედ ამ ვიდეო-მიმართვით დაიწყო. მერე კი ხაზი გაესვა ისეთ სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას, როგორიცაა დისლექსია, სწავლის (ვიწრო ცნებით კითხვის) უნარის დაქვეითება. იქვე დაისვა კითხვა, რა იყო სესიის გზავნილი. ბევრ ფიქრს არ საჭიროებდა ის ფაქტი, რომ სესიის მიზანი საკითხზე ცნობიერების ამაღლება იყო, რადგან ჩვენ, მასწავლებლებს არ გაგვიჭირდეს პრობლემის დროული იდენტიფიცირება და შესაბამისი ზომების მიღება. სწორი და დროული დიაგნოსტირებისთვის კი აუცილებელია კარგად ვიცნობდეთ პრობლემის არსს, რაც შემდეგში მდგომარეობს:

ბოლო დროს მომრავლდა ისეთი პრობლემების მქონე მოსწავლეები, როცა პრობლემა თვალნათლივ არ ჩანს. მათ ხშირად უინტერესო, ჯიუტ და ზარმაც მოსწავლეებად თვლიან. უნდა ვაღიაროთ, რომ მეტწილად სწორედ აქ უშვებენ შეცდომას, რადგან იგი შეიძლება გამოწვეული იყოს თავის ტვინის გარკვეული უნარის დისფუნქციით. ზუსტად ასეთი უხილავი პრობლემაა დისლექსია – სწავლის უნარის დაქვეითება, რაც ძირითადად კითხვისა და მართლწერის სირთულეებში ვლინდება, შესაძლოა ანგარიშის დროსაც.

დისლექსია დაწყებით კლასებში სიტყვების დონეზე კითხვის ჩამოყალიბების დეფიციტია, რაც ვიზუალური სიმბოლოების ბგერებთან დაკავშირების დაქვეითებული უნარის გამო იქმნება. ვარაუდობენ, რომ დისლექსია ბავშვის განვითარების პროცესში ყალიბდება. მისი ხარისხი შესაბამისი მკურნალობითა და დამხმარე, სწორად შერჩეული მეთოდების გამოყენებით შეიძლება შემცირდეს.

დისლექსიის დიაგნოზი კვალიფიცირებული ნევროლოგისა და განათლების სფეროში სპეციალიზებული ფსიქოლოგის მიერ ისმება. მულტიდისციპლინარული გუნდის შეფასება ძირითადად მოიცავს კითხვის უნარის დონის განსაზღვრას, საგნების სწრაფი დასახელების ტესტს, მოკლევადიანი მეხსიერებისა და თანმიმდევრულობის უნარის შეფასებას. ასევე არარსებული სიტყვების კითხვას, რათა შეფასდეს დეკოდირების უნარი.

როგორ ამოვიცნოთ დისლექსიის მქონე მოსწავლე?

ასეთი მოსწავლე შეიძლება იყოს გონებამახვილი, საზრიანი და კარგი მეტყველების მქონე, თუმცა მისი კითხვის, წერისა და მართლწერის დონე ჩამორჩებოდეს ასაკობრივ ნორმას;

შესაძლოა ჰქონდეს დაბალი აკადემიური მოსწრება კითხვასა და წერასთან დაკავშირებული სირთულეების გამო;

დისლექსია ძირითადად გავლენას ახდენს კითხვის უნარზე და არა ზოგადად მოსწავლის ინტელექტზე;

დისლექსია დაწყებით კლასებში სიტყვების დონეზე კითხვის ჩამოყალიბების დეფიციტია, რაც ვიზუალური სიმბოლოების ბგერებთან დაკავშირების დაქვეითებული უნარის გამო იქმნება. ვარაუდობენ, რომ დისლექსია ბავშვის განვითარების პროცესში ყალიბდება. მისი ხარისხი შესაბამისი მკურნალობითა და დამხმარე, სწორად შერჩეული მეთოდების გამოყენებით შეიძლება შემცირდეს.

ის შესაძლოა ფუთავდეს კითხვით სისუსტეს სხვა, კარგად განვითარებული უნარით;

ასეთი მოსწავლე უკეთ სწავლობს შეხებით, დემონსტრირებით, ექსპერიმენტით, დაკვირვებითა და მხედველობის დახმარებით;

შესაძლოა გამოავლინოს ტალანტი სხვა სფეროში, როგორიც არის ხელოვნება, დიზაინი, მუსიკა, სპორტი, ბიზნესი, მშენებლობა, ინჟინერია;

სკოლაში შესაძლოა შეექმნას ყურადღებასთან დაკავშირებული პრობლემები. მაგალითად: იფრინოს „ოცნებებში", დაკარგოს დროის შეგრძნება, უჭირდეს ყურადღების კონცენტრირება;

შესაძლოა გაუცნობიერებლად გამოავლინოს სარკისებური კითხვა ან წერა;

შეიძლება ციფრებს კითხულობდეს უკუღმა ან ნახტომით;

უცხო ენის სწავლა მისთვის ხშირად დიდ სირთულესთანაა დაკავშირებული.

დისლექსიის ნიშნების ამოცნობა სასკოლო ასაკამდე ძნელია. პრობლემა ძირითადად თავს იჩენს სკოლაში მისვლის შემდეგ, როცა საანბანო პერიოდი სრულდება და მოსწავლეები შინაარსობრივი ტექსტების კითხვაზე გადადიან. მასწავლებელი შეიძლება პირველი აღმოჩნდეს, ვინც ეს შეამჩნიოს. სწორედ აქ უნდა გადაიდგეს სწორი ნაბიჯები.

მეტყველება/სმენა დისლექსიის დროს:

- ასეთ მოსწავლეს უჭირს ტექსტის გაგება, რომელიც წინა გამოცდილებას არ უკავშირდება;
- ერთმანეთში ერევა ჯერ/შემდეგ, მარჯვენა/მარცხენა და ა.შ.
- უჭირს ანბანის დასწავლა;
- უჭირს ტექსტში სიტყვების ამოცნობა;
- უჭირს სიტყვებიდან ხმოვნების გამოყოფა;
- უჭირს სიტყვებში ბგერების ერთმანეთისგან განსხვავება;
- სირთულე აქვს ასოების ბგერების დასწავლაში;
- უჭირს საგნისა და მისი შესაბამისი გამოსახულების ერთმანეთთან დაკავშირება;
- წინადადებაში ერევა სიტყვათა თანმიმდევრობა;
- შეცდომით ლაპარაკის შიშის გამო, შეიძლება ზოგი ბავშვი გახდეს მორცხვი და გარიყული ან მშფოთვარე.

კითხვა და მართლწერა

- ასოებისა და ბგერების ვერშესატყვისობის გამო, მოსწავლემ შეიძლება არასწორად დაწეროს სიტყვა;
- ხშირად ისინი წერენ და კითხულობენ სარკისებურად. მაგ: ხერხი – ძერძი; შიში – წიწი და ა.შ;
- კარგი და ხანგრძლივი მეხსიერების წყალობით ასეთი მოსწავლე იზეპირებს სიტყვის გამოსახულებებს და წინადადებებში ყურადღებას არ აქცევს მათ დაბლოებებს. მაგ. „წიგნისთვის" ნაცვლად შეიძლება წაიკითხონ „წიგნით";
- მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მას მდიდარი ლექსიკური მარაგი ჰქონდეს, წერისას იყენებს მის მხოლოდ მცირე ნაწილს;
- ხშირია მოტორული უნარების დარღვევა: მოუქნელობა და კოორდინაცია. ასევე შენელებული წერა და ცუდი კალიგრაფია;
- დისლექსია თავს იჩენს მათემატიკაშიც, რადგან კითხვის პრობლემის გამო ასეთი მოსწავლე ვერ იგებს პირობას, უჭირს გამრავლების ტაბულის დამახსოვრება, განტოლების ამოხსნის ეტაპების თანამიმდვრობა და ა.შ;

მართალია დისლექსიისგან საბოლოოდ თავის დაღწევის გზა არ არსებობს, თუმცა ადრეული შეფასება და მიზანმიმართული ჩარევა საუკეთესო შედეგს იძლევა. ზოგჯერ იგი წლების განმავლობაში რჩება შეუმჩნეველი და სრულწლოვანებამდე არ აღიარებენ მას, მაგრამ დახმარების მიღება გვიანი არასდროსაა. ამისთვის კი საჭიროა 3 ძირითადი რამ:

- ადრეული დიაგნოსტირება - რაც უფრო მალე მოხდება დისლეექსიის აღმოჩენა, მით უფრო გაუადვილდება მოსწავლეს სწავლა, მასწავლებელს კი – მუშაობა;
- სწავლებისთვის საჭირო ინდივიდუალური გეგმის შემუშავება – მოხდეს ძლიერი მხარეების დადგენა და მასზე აქცენტირება;
- ურთიერთშეთანხმება და თანამშრომლობა მშობელსა და სკოლის გუნდს შორის – მოსწავლე უმეტეს დროს შინ ატარებს და უწევს დავალებების შესრულება. ასეთ დროს მშობელთა ჩართულობა მისთვის წარმატების საწინდარია.

დისლექსიის ნიშნების ამოცნობა სასკოლო ასაკამდე ძნელია. პრობლემა ძირითადად თავს იჩენს სკოლაში მისვლის შემდეგ, როცა საანბანო პერიოდი სრულდება და მოსწავლეები შინაარსობრივი ტექსტების კითხვაზე გადადიან. მასწავლებელი შეიძლება პირველი

აღმოჩნდეს, ვინც ეს შეამჩნიოს. სწორედ აქ უნდა გადაიდგეს სწორი ნაბიჯები:

1. მასწავლებელმა უნდა აწარმოოს ფოკუსირებული დაკვირვება ზემოთ ჩამოთვლილ გამოვლინებებზე;
2. მოაწყოს ინდივიდუალური შეხვედრა მშობელთან, საფუძვლიანად და უმტკივნეულოდ გააცნოს მას პრობლემის არსი;
3. მშობელთან და სკოლის დირექციასთან შეთანხმებით მოხდეს დარღვევის ადეკვატური შეფასება და შედგეს ინდივიდუალური სამუშაო გეგმა;
4. ინდივიდუალური გეგმის საფუძველზე მშობელმა და სკოლის გუნდმა უნდა აწარმოოს კოორდინირებული მუშაობა, რათა სწავლება გახდეს ეფექტიანი და მოსწავლემ შეძლოს სირთულეების დაძლევა.

ქვემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციები შეიძლება მცირე დამხმარე საშუალებად მივიჩნიოთ:

- კითხვის დროს ტექსტისთვის თითის მიდევნება;
- ხმამაღლა კითხვა;
- წყვილში ერთობლივი კითხვა;
- ფერადფონიანი ტექსტების (ძირითადად პასტელის ფერები) გამოყენება. ან ტექსტზე ფერადი სახაზავის დადებით, ფერადი შუშის გამოყენებით კითხვა;
- ასოების წერისას მიმართულების მიმცემი აღნიშვნების გამოყენება;
- ქვიშაზე, მარცვლეულზე, ფქვილზე წერა;
- დიდი ზომის ფურცელზე წერა, ეტაპობრივი დაპატარავებით;
- მეტი დროის მიცემა წერითი დავალების შესრულებისას.

რამდენიმე მიზანშეწონილი აქტივობა:

- სიტყვის ბარათები – მოსწავლე პოულობს სურათის შესაბამის სიტყვას სიტყვების გროვაში;
- მოძრავი ანბანს დამატებული სურათები – მოსწავლე ასო-ასო აწყობს სურათის და ტექსტის დახმარებით, სურათის შესაბამისად ან კარნახით და ადარებს მოცემულ ტექსტს;
- კომპიუტერული ფაზლი-ანბანი – თავიდან მოსწავლე აწყობს ფაზლად დაშლილ ასოებს, შემდეგი ეტაპისთვის – სიტყვებს, შესაბამისი ვიზუალური გამოსახულებით;
- ფერადი სიტყვები – ფერად სიტყვაში არსებულ ნაცნობ ასოებს ეძებს და პოულობს სხვა, მისთვის უცნობ სიტყვაში;

ხმოვანი, ილუსტრირებული წიგნები – მოსწავლეს მისცემს საშუალებას, მოისმინოს, დააკვირდეს ილუსტრაციას და პარალელურ რეჟიმში თანდართულ ტექსტსაც მიადევნოს თვალი თითის გაყოლების პრინციპით.

(ეს და სხვა მსგავსი ტიპის აქტივობები შეგიძლიათ ასევე იხილოთ დამხმარე ელექტრონულ სახელმძღვანელოში ან გზამკვლევში).

ლიტერატურის გაცნობის შემდეგ გადავწყვიტე საკითხის ირგვლივ მცირე მოკვლევა ჩამეტარებინა. გავესაუბრე დადასტურებული დისლექსიის მქონე მოსწავლეთა პედაგოგებსა და სპეციპედაგოგს. მერე კი სოციალური ქსელის დახმარებით ჩავატარე მინი-გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სულ 174-მა რესპონდენტმა (159 პედაგოგი და 15 სპეციპედაგოგი) საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.



მათი უმრავლესობა (89%) საჯარო სკოლის პედაგოგი გახლდათ, კერძო სკოლის კი – 11%.



კითხვაზე – „გყავთ თუ არა დისლექსიის მქონე მოსწავლე?“, პასუხები ამგვარად გადანაწილდა:

როგორც აღმოჩნდა:

- 88 პედაგოგი ფიქრობს, რომ არ ჰყავს ასეთი მოსწავლე, თუმცა იმდენად კარგად არიან ინფორმირებულნი, რომ არ გაუჭირდებათ მისი ამოცნობა;
- 43 რესპონდენტი ფიქრობს, რომ კარგი იქნება საკითხის ირგვლივ ფლობდნენ მეტ ინფორმაციას, რადგან სხვა შემთხვევაში გაუჭირდებათ ამოცნობა;
- 15 პედაგოგს უკვე ჰყავს მოსწავლე დადასტურებული შეფასებით;
- 12 – ვარაუდობს რომ ჰყავს, მაგრამ მშობელი არ თანხმდება შეფასებას;
- 11 – აპირებს მშობელთან მოლაპარაკებას შეფასების საკითხზე;
- 5 რესპონდენტმა კი არ იცის, რა არის დისლექსია.

ზოგად კომენტარებში ბევრი საუბრობდა იმაზეც, რომ ჰყავდათ ასეთი მოსწავლე, თუმცა სტერეოტიპული შეხედულების გამო მშობელი ვერ დაარწმუნეს იმაში, რომ შვილისთვის შეფასება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა მოეთხოვათ. ასეთ დროს აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დისლექსია არ წარმოადგენს დაბალ ინტელექტს, შეზღუდულ შესაძლებლობას, დაბალ მოტივაციას ან სენსორულ დარღვევებს. მას ნევროლოგიური საფუძველი აქვს, რომელიც მეტწილად გენეტიკურია. ასეთ დროს ყველაზე მნიშვნელოვანი ბავშვისთვის ემოციური მხარდაჭერაა. აუცილებელია გამოვავლინოთ მისი ძლიერი მხარეები და ავუმაღლოთ მოტივაცია, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება მის წარმატებაზე. სწორი დამოკიდებულებები და მხარდაჭერა ბევრი ცნობილი ადამიანისთვის წარმატების საწინდარი გამხდარა. ამის საილუსტრაციოდ კი შეგვიძლია ცნობილი დისლექსიკები გავიხსენოთ: ლეონარდო და ვინჩი, აგათა კრისტი, ტომას ალვა ედისონი, ალბერტ აინშტაინი, პაბლო პიკასო, ჰანს კრისტიან ანდერსენი, უოლტ დისნეი, მერლინ მონრო, ტომ კრუზი და სხვა.

მასწავლებლებს, მშობლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს ვურჩევ, გამონახონ დრო და აუცილებლად უყურონ ფილმს „როგორც ვარსკვლავი დედამიწაზე“, რომლის მთავარი პერსონაჟი 8 წლის მესამეკლასელი ბიჭუნა – იშან ავატია. ის დისლექსიამ ოჯახს მოსწყვიტა და ბავშვობა საშინელ კოშმარად უქცია. თუმცა ვერავინ ხვდება მის მთავარ პრობლემას, ხელოვნების მასწავლებლის გარდა, რომელმაც შეძლო ამ ბიჭუნაში დარღვევის აღმოჩენა, ნიჭზე ორიენტირება და ყველაზე მნიშვნელოვანი, ხელი შეუწყო მის თავდაჯერებულ და წარმატებულ ბავშვად ჩამოყალიბებას.

წერილიც ამ ფილმის დამამთავრებელი წინადადებით მინდა დავასრულო. იგი დაახლოებით ასე ჟღერს: „მსურს, მადლობა გადავუხადო იმ მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს, რომლებმაც შეძლეს ფანჯრის ფართოდ გაღება და მის მიღმა სინათლის სხივის აღმოჩენა“.

რთული და შრომატევადია, მაგრამ ვიცი, რომ ყველა ჩვენგანი ცდილობს, საკუთარ თავში გამონახოს ძალა, რომელიც ბევრ ბავშვს გაუღებს სარკმელს მზის სხივის დასანახად.

წარმატებებს გისურვებთ!

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვისწავლოთ ერთად, ინკლუზიური განათლება, თბილისი, 2008.
2. სწავლების მეთოდები ინკლუზიურ განათლებაში, ქართული ენა და ლიტერატურა, გზამკვლევი მასწავლებლებისთვის, ინკლუზიური განათლება. https://drive.google.com/file/d/1xYiODW4Ya1kJWbA1sAb15iWab1YP10QW/view?usp=sharing
3. კითხვის სარემედიაციო პროგრამის განხორციელება სკოლებში https://drive.google.com/file/d/12ZOlsollyR_ZhY5b1dJWeeWtQSdNY4qC/view?usp=sharing

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„ვწერ მასწავლებლისთვის“



ცნობილი გერმანელი კომიკოსი კარლ ვალენტინი სასამართლოში მოწმედ გამოდიოდა.

– ბატონო ვალენტინ, სასამართლოს უნდა მოახსენოთ მხოლოდ საკუთარი თვალით ნანახი და არა სხვისგან გადმოცემული ამბები, – განუმარტა მოსამართლემ. მოწმემ თავი დაუქნია.

– მაშ ასე. როდის დაიბადეთ?

– მე ეგ მხოლოდ მშობლების გადმოცემით ვიცი, ბატონო მოსამართლევ.